სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 2 ივნისი 1999 №101 (874) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორის ბარსელონის ფოტო

გუშინ ვლადიმერ სტეფანია პირველად ჩამოვიდა თბილისში როგორც „სიეტლ სუპერსონიქსის“ მოთამაშე

ბოსკამპანია დაიწყო

იოჰან მრისხანემ ზაზა ჯანაშია ნაკრებიდან გააძევა!

ბორის ფოლეევაშვილის ფოტო

გუშინ, სადღაც ექვსი სრულდებოდა, დიღმის საწვრთნელი ბაზის მოედანზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა ისე იღრიალა, ლამის მთელი უბანი იქ შეიყარა. GO, GO! — ყვიროდა მწვრთნელი და ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს აყოლებდა. ზაზა ჯანაშიამ ხელები გაშალა, მინდვირის განაპირას გამოვიდა, სათადარიგო ბუცებს ხელი დაავლო და... ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმაც ზუსტად ეს მომენტი აღბეჭდა .

ვლადიმერ სტეფანია ველოსიპედის პედლებს ატრიალებს

...მშვიდი, აუღელვებელი იერით დააბიჯებს შუახნის მამაკაცი თბილისის აეროპორტის მოსაცდელში. ეს ერთი შეხედვით, თორემ მის თვალებში რაღაც განსაკუთრებული მოლოდინი იკითხება. მარტოა, მალიმალ საათზე იყურება და ელის — მოუთმენლად ელის...

მივესალმეთ და თითქოს გაუკვირდა, ერთი კი თქვა, არ გელოდითო, მაგრამ... ახლა უკვე ვსაუბრობთ, ერთმანეთს ვუღიმით, თუმცა აშკარაა, მოლოდინი გვიმძაფრდება.

ეს-ესაა აეროპორტში თვითმფრინავი დაეშვა, ვენა — თბილისი.

...ცოტაც და ვლადიმერ სტეფანიაც გამოჩნდა — მონატრებული მამა-შვილი ერთმანეთს ჩაეხუტა.

ხარობდნენ გუშინ სტეფანიები. წელიწადია, მამას შვილი არ უნახავს. ბატონი ზაური უზომოდ ბედნიერია, მისი საამაყო ვაჟი ახლა უკვე თბილისშია, მის გვერდით.

იხილეთ მეათე გვერდი

ბურაგ ფოლეევაშვილის ფოტო

იოჰან ბოსკამპი: ან მე, ან ჯანაშია!

ბოსკამპი მკაცრია, სამართლიანი, მომთხოვნი, ამიტომაც დაატოვებინა ზაზა ჯანაშიას იქაურობა, შეკრებიდან გააგდო.

— აქ არავინაა პრივილეგირებული. ჩემთვის ყველა ერთია, რასაც ვამბობ, ის უნდა გაკეთდეს. საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას, გუნდის ავდებას არავის ვაპატიებ. ზაზა ჯანაშია ბერძნებთან არ ითამაშებს. სულ რამდენიმე წუთის წინ იგი ნაკრებიდან გავაგდე. თუ ვარჯიშობ, ივარჯიშე, ბუზღუნი და ხელების გაშლა რა საკადრისია. აგერ, ლევან კობიაშვილს თითქმის სამი კვირა არ უვარჯიშია, მაგრამ აქ ჩამოვიდა და დავალება უსიტყვოდ შეასრულა. მორჩა, ვთქვი და დავამთავრე. თუ ფეხბურთის ფედერაცია ჯანაშიას ნაკრებში დაბრუნებას მთხოვს, მაშინ მე დავტოვებ საქართველოს ეროვნულ გუნდს — გვითხრა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ იოჰან ბოსკამპმა.

არ გაემტყუნება ამ კაცს. არც ბოდიში ულბობს გულს. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, ჯანაშია თავის „ჯიპით“ ეგებ თბილისი-მოსკოვის გზასაც ადგას.

იხილეთ მეორე გვერდი

გუშინ იოჰან ბოსკამპმა საქართველოს ნაკრებს გაკვეთილი ჩაუტარა

იოჰან ბოსკამპი: ან მე, ან ჯანაშია!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ნორვეგიიდან დაბრუნებულ და გუშინ, ოთხ საათზე დიღომში შეკრებილ ფეხბურთელებს ვარჯიშისას კვადრატი რომ გაეჩაღებინათ, ეგ ამბავიც მაშინ მოხდა. ბოსკამპმა ფრაიბურგიდან ჩამოსული ნაავადმყოფარი ლევან კობიაშვილი, დავით ჭიჭვეიშვილი და, მოგვიანებით, აღრეც მისგანვე შერისხული ზაზა ჯანაშია მინდვრის განაპირას გაიყვანა და თანაშემწე ფრანსუა დე იონგთან ერთად სპრინტერულად არბენინა. გავიდა ათი წუთი, თხუთმეტი, თითქოს სამივენი ასრულებდნენ ბოსკამპის ნათქვამს, მაგრამ...

ზაზა ჯანაშიამ, ერთ-ერთი, როგორც აღმოჩნდა, ბოლო დისტანციის ჩამთავრებისას ხელები გაშალა, ბოსკამპს რაღაც უთხრა, მწვრთნელმა უპასუხა. მერე ისევ ჯანაშია, რასაც ბოსკამპის ღრიალიც მოჰყვა. ჯანაშია უსიტყვოდ მოტრიალდა, მოგვიახლოვდა და თქვა, კუნთები დამეჭიმა, ბოსკამპს ვუთხარი, ხვალ ორ ამდენს ვირბენ, სამი დღის უვარჯიშებელი ვარ-მეოქი.

მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი დიდხანს აღარ შეყოვნებულა, გასაღები ითხოვა და ოთახში განძარტოვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ვარჯიში უკვე დამთავრებული რომ იყო, ბოსკამპს ერთხელაც დაენახვა, მაგრამ მწვრთნელმა შორს დაიჭირა, ჯანაშიას პროტეჟეს კი მკვახედ უპასუხა — წავიდეს!

და ჯანაშიაც წავიდა. უფრო, ბოსკამპმა გააგდო.

ახლა საქართველოს ეროვნული გუნდი გამოცდილი თავდამსხმელის გარეშე დარჩა. ბოსკამპის განკარგულებაში წმინდა ფორვარდთაგან მხოლოდ გიორგი დემეტრაძე, მიხეილ აშვეთია და სრულიად ახალგაზრდა, დებიუტანტი გიორგი იმედაძეა არიან. მწვრთნელსაც, ალბათ, ამათვან მოუწევს ბერძნებთან თამაშისას თავდასხმის ხაზის დაკომპლექტება. თუმცა კი ბოსკამპი მაინც იმედიანადაა. ჩვენს კითხვაზე, ნაკრებში ფორვარდთა ნაკლებობას რომ ეხებოდა, გვიპასუხა — მერე რა, გუნდში ბევრი ფეხბურთელია, საქმე ასარჩევად მაქვს, ბერძნებთან მატჩისთვის ამის პრობლემა არ არისო.

ნორვეგიელებთან, ოსლოში, მოთამაშე ერთადერთი ქართველი თავდამსხმელი მიხეილ ყველაშვილი კი, რომელმაც კვირას მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, კახა კალაძის მსგავსად თავის კლუბს დაუბრუნდა. გუშინ დიღომში არც ყველა გახლდათ, არც კალაძე. შესაბამისად ისინი ვერც ბერძნებთან ითამაშებენ.

ისევ საეჭვოა, უფრო სწორად, ნაკლებმოსალოდნელი, 5-ში ნაკრებს ფეხმტკივანნი ტყუპი არველაძეები დაეხმარნონ. მათ ამჯერადაც გარედან უცქირეს თანაგუნდელთა ვარჯიშს.

თურმე ვალტერ გუჩუასაც ფეხი აწუხებდა და მალავდა. ბოსკამპს რამდენჯერაც მისთვის უკითხავს, რაიმე ხომ არ გაწუხებსო, გუჩი, როგორც თავად მწვრთნელი მიმართავს, ჯიუტად აქნევდა თავს და ამბობდა, ყველაფერი კარგადაა. მერე კი იოჰან ბატონი რომ დაეჭვებულა, რაღაცას მატყუებსო, ექიმებისთვის უთხოვია, კარგად გასინჯეთო. მათაც უნახავთ გუჩუას ფეხი და მისთვის ვარჯიშიც დაუშლიათ. ტრავმა სერიოზულია თუ არა, ორიოდ დღეში გაირკვევა. გუჩის გუშინ არ უვარჯიშია.

სამაგიეროდ, ნაკრებს შეუერთდა და თავს კარგად გრძნობს ფრაიბურგელი ლევან კობიაშვილი. იგი გუშინწინ ჩამოფრინდა თბილისში და პირველივე ვარჯიშისას ბოსკამპი კმაყოფილი დატოვა — კარგი ბიჭია, ძალიან მონდომებულიო, ასე გვითხრა ლევანზე მწვრთნელმა. თუმცა ათამაშებს თუ არა კობის შაბათს, ბოსკამპს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს.

ნაკრებში კიდევ ერთი დებიუტანტია, ისიც კოპალეიშვილის 18-წლამდელთა გუნდიდან — მცველი ოთარ ხიზანეიშვილი. მან გუშინ ეროვნულთან ერთად პირველად ივარჯიშა და იოჰან ბოსკამპმაც ბერძნებთან აუცილებლად მოთამაშე პირველი ფეხბურთელის გვარიც გაგვანდო — გადაწყვეტილი მაქვს, ეგ ბიჭი, თუ რამ სასწაული არ მოხდა, 5 ივნისს ძირითად შემადგენლობაში იქნებაო.

სულ ბოლოს კი, ვარჯიში რომ მორჩა, მწვრთნელმა, რომელსაც უხასიათობისა არაფერი ეტყობოდა და მხოლოდ მაშინ ღიზიანდებოდა, როცა ჯანაშიას ახსენებდნენ ჩვენთვის საინტერესო, ნორვეგიასთან წაგების უმთავრეს მიზეზზე და ბერძნებთან მომავალ მატჩზეც გვითხრა:

— ნორვეგიელებთან თამაშით მთლად უკმაყოფილოც არ ვარ. ძალიან კარგად გამოიყურებოდა კალაძე-წერეთლის დუეტი დაცვის ცენტრში. მართალია, ერთი ორჯერ შეცდნენ, მაგრამ მთლიანობაში ჩემი დავალება კარგად შეასრულეს. წაგების მიზეზი კი ელემენტარულია — ჩვენები ხუთი წუთით გვიან გამოფხიზლდნენ და ამასობაში გოლიც გაუშვეს. რაც შეეხება ბერძნებს, ვთვლი, რომ ისინი ნორვეგიელებზე კარგ ფეხბურთს თამაშობენ, გაცილებით გარგს. სამწუხაროდ, მათზე ინფორმაცია ნაკლებად მაქვს, მხოლოდ რამდენიმე მატჩის ფირი ვნახე, ტელევიზორის ეკრანიდან გუნდის ავ-კარგი ცუდად ჩანს.

ბოსკამპმა ჩვეულად გადაიხარხარა და გზას გაუყვა. ზაზა ჯანაშია კი, რომელიც შეკრებაზე დაგვიანების, თავნებობის გამო მწვრთნელმა ნორვეგიაშიც არ წაიყვანა, ყველაზე ცოტა, ეროვნულ გუნდში, ალბათ, კაი ექვს თვეს ვერ ითამაშებს. ბოსკამპის კონტრაქტიც ხომ სწორედ ამდენხნიანია.

ძოგბა ინასარიძე

დე იონგს და ბოსკამპს ჯანაშიას საქციელი გამოცანად დაურჩათ

ბერძნებს თბილისში ეროვნული ნიკოლაიდისი მერ ეთჭიმებთ

დემის ნიკოლაიდისი, საბერძნეთის ნაკრების მთავარი თავდამსხმელი და კაპიტანი, გუშინ ვარჯიშზე იმდენად სერიოზულად დაშავდა, რომ ჩვენი ათეული კოლეგის, ვასილის საბრაკოსის თქმით, თანაგუნდელებთან ერთად თბილისისკენ აღარც გამოემართება. საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქის ბანაკში, რამდენადაც სატელეფონო საუბრისას შევნიშნეთ, ამ ფაქტმა გვარიანი შეშფოთება გამოიწვია.

სხვა სირთულეებს ბერძნები შეგუებულნი იყვნენ. კერძოდ, თემურ ქეცბაიას ნიუკასლელი თანაგუნდელი ნიკოს დაბიზასი ორი ყვითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულია, ნიკოს ლიბეროპულოსი ამ დღეებში ოპერაციას იკეთებს, ხოლო სტილიანოს იანაკოპულოსს საქმე მართალია საოპერაციოდ არ აქვს, მაგრამ საექიმო მაინც არის.

მეტოქის მწვრთნელი, ვასილის დანიელი, კვირას, ოსლოში, ნორვეგიისა და საქართველოს თამაშს დასწრებია. ბერძნულ პრესაში მის ოსლოურ შთაბეჭდილებებს, გუშინ, საგანგებო ადგილი ეთმობოდა.

„საქართველოს ნაკრები ძნელად დასამარცხებელი, კარგი გუნდია" — უთქვამს დანიელს — „მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ თბილისში გასამარჯვებლად მივდივართ, ვინაიდან სხვა გზა, უბრალოდ, არ გვაქვს. მასპინძლებისგან შემტევ ფეხბურთს ველი. არც მათ აქვთ სხვა გზა. ამიტომაც, ჩვენ შეუვალი დაცვა და სწრაფი კონტრშეტევები უნდა დავუპირისპიროთ. თბილისში ბევრ სახიფათო მომენტს არ შევქმნით, მაგრამ სწრაფი ფეხბურთელების წყალობით იმ მომენტებისგან, რაც გვექნება, მაქსიმალური შედეგი უნდა მივიღოთ. ყველაზე მეტად კი მოთამაშეების დაღლილობა მაფიქრებს. საბერძნეთის ჩემპიონატი სულ რამდენიმე დღეა რაც დამთავრდა და მათ ამოსუნთქვის საშუალება ფაქტობრივად არ ჰქონდათ".

ვასილის საბრაკოსის ცნობით, საქართველოს ნაკრების სტუმართა გუნდში ორი ახალგაზრდა, დიდ ბრძოლებში გამოუცდელი ფეხბურთელია: თავდამსხმელი ნიკოს ფრუსოსი, „იონიკოსიდან" და მარჯვენა ნახევარმცველი ვასილის ლაკისი, რომელიც ზემოხსენებული ქეცბაიას ყოფილ გუნდში, აეკ-ში თამაშობს. თუ ლაკისის თბილისში თამაში საეჭვოა, ნიკოლაიდისის დაშავების შემდეგ ფრუსოსის მოედანზე გამოჩენა მოულოდნელი არ უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ფრუსოსი ახალდამთავრებული ჩემპიონატის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე გავიდა.

საბერძნეთის ეროვნული გუნდი დღეს ერთ, ბოლო საშინაო ვარჯიშს ჩაატარებს, ხოლო ხვალ საქართველოს დედაქალაქს ეწვევა.

ბაბუნა კედია

საბერძნეთის ნაკრების საუკეთესო თავდამსხმელი დემის ნიკოლაიდისი (№8) გუშინდელი ვარჯიშისას დაშავდა

		1	2	3	4	5	6	ბ	ქ
1	ნორვეგია		1:3			1:0	2:2	12:7	13
2	ლატვია			0:0		1:0	0:0	4:2	8
3	საბერძნეთი	0:2			2:2	3:0		5:4	6
4	სლოვენია	1:2	1:0					5:5	5
5	საქართველო	1:4			1:1		1:0	3:10	4
6	ალბანეთი			0:0				2:3	3

საქართველოს ჩემპიონატი

გადათამაშება
პირველ ჯგუფში
დასარჩენი მატჩი

ნახვამდის, მომავალ გადათამაშებამდე!

მურმან გოგოლაძემ (წინა პლანზე) სტუდენტებს ტანჯვა გაუხანგრძლივა

ნუგზარ ყიფლეანის ფოტო

გორი
1 ივნისი
18 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 230)

სიონი 2:0 თსუ

1:0 მოსეშვილი (7), 2:0 გოგოლაძე (80)
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ტყავაძე, მ. სამხარაძე, დ. სვანიძე, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი (ლ. გაგუა 62), მოსეშვილი (ჩალაძე 79)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, ვ. ასათიანი
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე (ადამია 79), ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, დ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე (გონჩაროვი 61), როსტიაშვილი
სათადარიგონი: მერლანი; ინწკრიველი, დეკანოსიძე, ბუკია
გაფრთხილება: მ. სამხარაძე (16), მ. გოგოლაძე (42), ილურიძე (50)
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ო. ბუნთაძე (ლანჩხუთი), თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. შილაკაძე (თბილისი)
სფფ-ს ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
სფფ-ს დელეგატი: გ. ფირცხალავა

მამუკა კვანტალიანი გორიდან

თითქოს უჩვეულო არც არაფერი იყო. მორიგი, რიგითი მატჩი. ასეთი გორელებს არაერთი უხილავთ. ის კი არა, „ცენტრალურზე" გაცილებით დაბალი და უფრო დიდი მნიშვნელობის თამაშები ჩატარებულა, მაგრამ ის მაინც იგრძნობოდა, რომ გამარჯვებული სიხარულით აღსავსე, ტვირთმოხსნილი და სამშვიდობოს თავდაგულებული დაბრუნდებოდა მშობლიურ ქალაქს. დამარცხებული კი კიდევ ცოტა ხნით დარჩებოდა გაურკვევლობაში, ნერვებდაჭიმული დაელოდებოდა მომავალ მეტოქეს და მერე ან გადაიჩეხებოდა, ანაც...

„სიონმა" მოიგო. კოკამ კიდევ ერთი წელი ზიდა წყალი და გატყდომას მომავალ ამ დრომდე მაინც გადაურჩა. ბოლნისელებს ისეთი გუნდი ჰყავთ, მსგავს დღეში არ უნდა ჩავარდნილიყვნენ. გადათამაშებამდე საქმე არ უნდა მიეყვანათ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებს ფეხბურთი და „სიონი" მაინცდამაინც ზაფხულის დასაწყისში ახსენდებათ და...

ისე, ბოლნისელებს „სიონი" ახსენდებათ მაინც, ხოლო თსუ ერთ დღეს ვიღაცას დაავიწყდა და აღარც გახსენებია. კლუბის არსებობა ოთარ გაბელიას, ელგუჯა ხუციშვილს, ზაზა დიდებაშვილს და ო�oდე ფეხბურთელსაც ახსოვთ. ამათ ხუთიოდე გულშემატკივარი მიუმატეთ და ყველაფერი ნათელი იქნება.

თსუ-ს დაავიწყდა როდის იყო ბოლოს ხელფასი ან პრემია. გუნდის წამყვანი ფეხბურთელები რამდენიმე ტური არც თამაშობდნენ. მწვრთნელ-ფეხბურთელებს ბოლოს მაინც დაენანათ კლუბი გასაწირად, ჩვენს ხელში გუნდი აღარ გავაგდოთო. შეიკრნენ, მოინდომეს და გორს ავტობუსით ეწვივნენ, რომელიც სანახევროდ ძლივს შეევსოთ.

„სიონი" მიკროავტობუსით და მსუბუქი ავტომანქანებით ჩამოვიდა სათამაშოდ. გუნდის შემადგენლობა 18-ს არ ასცილებია, მაგრამ გორში სტადიონზე იყვნენ ბოლნისისა და მისი შემოგარენის ხელმძღვანელები და რაც ყველაზე მთავარია, იყვნენ ბოლნისელი ფეხბურთის ქომაგები, რომლებიც ყველაფრისთვის მზად არიან, ოღონდ „სიონს" არ გაუჭირდეს. აკი ლამის შემოელახათ კიდეც გორის პოლიციის ნახევარი. დასავლეთ ტრიბუნის მარჯვენა მხარეს ჩოჩქოლი და აურზაური ხუთი წუთი არ შეწყვეტილა.

თითქოს „სიონს" არც უნდა მოეგო, გადასარევი და გასაგიჟებელი ბოლნისელებს არაფერი უკეთებიათ, მაგრამ, ყველაფრის გათვალისწინებით, მათი გამარჯვება კანონზომიერი იყო.

თსუ ფლობდა სათამაშო უპირატესობას, უტევდა მთელი ორი ტაიმი, ის კი არა, ფიზიკურად და სისწრაფეშიც სჯობნიდა მეტოქეს, მაგრამ...

მაშ, რატომ წააგეს სტუდენტებმა? იმიტომ რომ გამოცდილება არ ეყოთ. იმიტომ რომ არ ჰყავდათ ბუბა ტყავაძე, არჩილ შაკიაშვილი, ლავრენტი გაგუა და ბებერი, მრავლისმნახველი კაპიტანი გიორგი ყიფშიძე.

სწორედ უკეთესი შემსრულებლების წყალობით იმარჯვა „სიონმა". 90 წუთის მანძილზე ორჯერ შექმნა სახიფათო მომენტი და ორივე გამოიყენა.

თსუ-მ ერთხელ მოახერხა კარის ჩარჩოში დამიზნება, გუგუნავას კი არაერთხელ დაურტყეს.

საწყის ხუთ წუთში თსუ-მ ორი რეალური მომენტი გააცუდა, ორჯერვე დავით გოგოლაძეს არ გაუმართლა, ეტყობოდა, ზომაზე მეტად ნერვიულობდა ბიჭი.

ვერ გაიტან, გაგიტანენ — ფეხბურთის დაუწერელი კანონია. მურმან გოგოლაძემ ფლანგზე მეურვე ჩამოიცილა, იქვე თემურ სამხარაძეს დაუგდო ბურთი, რომელმაც საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი მოსეშვილი ყველას დაავიწყდა, ხოლო ბახვამ ბურთს თავი ისე დაუხვედრა, როგორც საქმისთვის იყო საჭირო.

1:0 ის ანგარიში არ არის, თავი საშშვიდობოს იგრძნო. „სიონიც" თავგაწირული იცავდა თავს და თავის მხრივ კონტრშეტევის შანსს არ უშვებდა ხელიდან.

თამაშს მურმან გოგოლაძემ დაუსვა წერტილი. გაგუას ფლანგური გარღვევა სტუდენტებმა ბოლომდე ვერ გააუვნებლეს. საჯარიმოს ხაზთან მცველების მოგერიებულ ბურთს გოგოლაძემ შეუჩერებლივ დაჰკრა, გიორგი გაბელიამ არეულობაში ბურთი გვიან დაინახა და სტუდენტთა იმედიც „სიონმა" წაიღო.

მატჩის შემდეგ თსუ-ს გუნდის უფროსმა ელგუჯა ხუციშვილმა ეს გვითხრა, ამ წუთისთვის ვერაფერს გეტყვით, გაურკვევლობაში ვართ, არც ის ვიცი, გადათამაშების, კიდევ ერთი იმედის, მომლოდინენი როგორ ვიქნებითო.

არ არის გამორიცხული თსუ შემდეგ შანსს არც დაელოდოს. სტუდენტთა სასოწარკვეთა ამის მანიშნებელი იყო, არადა, გუშინ თსუ ყველას შეეცოდა, ბოლნისელებსაც კი.

მურთაზ შელია ამირანს დაუბრუნდა

თბილისი
1 ივნისი
19 საათი
მიხეილ მესხი
800 (ტევადობა 16 000)

ამირანი 2:1 გაგრა

1:0 გველესიანი (20), 2:0 დ. კაკუბავა (27), 2:1 ზ. მუშკუდიანი (57)
ამირანი: ჟორჟოლიანი, გოგიტაძე, ბერიანიძე, ვ. გველესიანი, გამზარდია, ანჯაფარიძე, შალამბერიძე, დ. კაკუბავა, ლ. თოლორდავა, გადელია, ზაქარაია (მ. შელია 46)
სათადარიგონი: ჟვანია; გაბედავა, ი. თოლორდავა, რუხაია, სოსელია
გაგრა: ბოდოკია, რ. გაბლაია, ბარაბაძე, ღვინჯილია (კოპალიანი 73), კეკუტია, ე. ქუთათელაძე, ღონღლაძე (ა. გაბლაია 62), ზ. მინდავა, ჩიხრაძე, რცხილაძე, ზ. მუშკუდიანი
სათადარიგონი: გორდაძე; ი. ჩხეტიანი
გაფრთხილება: შელია (51), გველესიანი (73)
მსაჯები: ზ. ხუციშვილი (დმანისი); ე. ნარმანია (ტყვარჩელი), მ. ვეკუა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ფურსუნიში

როგორი ამბავია? მურთაზ შელია მშობლიურ „ამირანს" დაუბრუნდა, დემურ კაკუბავაც ოჩამჩირელთათვის ირჯება, გიორგი ჩიხრაძემ გაგრის გუნდში თამაში ირჩია. თემურ ჟორჟოლიანი, ყოფილი „ცხუმელი", ჩინეთის ჩემპიონი ქართველი მეკარე გახსოვთ? დღეს ისიც ოჩამჩირული კლუბის ღირსებას იცავს და შორეული აღმოსავლური ქვეყნის ჩემპიონი, ამჯერად აფხაზეთის ჩემპიონის ტიტულს უმიზნებს... დიახ, გუშინდლიდან თბილისი აფხაზეთის ჩემპიონატს მასპინძლობს, აფხაზეთის ოთხგუნდა ჩემპიონატს ფეხბურთში...

შორს წაგვიყვანს იმ ფეხბურთელების და საფეხბურთო მოღვაწეების გახსენება, რომლებიც ამ მადლიან ქართულ მხარეს უზრდია ჩვენი ფეხბურთისთვის, ხალხი სახელოვანი, დიადი და დაუვიწყარი — ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, ანატოლი ნორაკიძე და სხვანი და სხვანი. დღეს კი, ჯერაც აფხაზეთდაკარგულთ და ამ ლამაზი მხარის ფეხბურთს მონატრებულთ, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლამაზი ზეიმი გვაჩუქა. ამაზე დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში" მოგახსენებთ, გუშინ კი... გუშინ ოთხი გუნდი გამწკრივებულიყო ვაკის სარბიელზე, საქართველოს დროშის ქვეშ... ნაცნობი, მომღიმარი სახეები, გულშემატკივართა აპლოდისმენტები... აფხაზური ფეხბურთი ქომაგს დაუბრუნდა, ჯერ თბილისში... ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოედანზე გალის „მზიური" და სოხუმის „ცხუმი" დარჩნენ, პირველი შეხვედრა მათ შორის უნდა ჩატარებულიყო. ნუგზარ ბოჯგუამ („ცხუმის" მთავარმა მწვრთნელმა) ამ შეხვედრისთვის გუნდის სამი წამყვანი მოთამაშე მოისაკლისა. ისინი ჯონი ჯანელიძემ მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებში გამოიძახა. მიუხედავად ამისა, „ცხუმმა" დასაწყისშივე მოიპოვა ტერიტორიული უპირატესობა და რამდენიმე ეპიზოდში ქიქავას და თალაკვაძის მეცადინეობით ახლოსაც იყო ანგარიშის გახსნასთან, თუმცა შემდეგ „მზიურმა" თამაში დაალაგა. საგრძნობლად გააქტიურდა ლაშა ყოლბაია და ბურთიც ცხუმელთა საჯარიმოს გამოეკიდა, თუმცა პირველი ნახევარი უგოლოდ მიილია.

მეორე ტაიმში კი მართლაც დასანანი ინციდენტი მოხდა ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში... ზაზა კვეკვესკირმა ჩვენი ჩემპიონატისთვის ჩვეულად „მოიკითხა" გვერდითი მსაჯი და მეშკოვმა მას წითელი ბარათი აუფრიალა. გალელები მთავარ მსაჯს შემოეხვივნენ და მეშკოვს ხელიც კი მოხვდა. ფეხბურთელთა დასაწყნარებლად მწვრთნელებიც შეიჭრნენ მინდორზე... რბილად რომ ვთქვათ, გუშინდელ დღეს ამგვარი რამ არ ეკადრებოდა. სხვა თუ არაფერი, ის მსაჯები ხომ ანაზღაურების გარეშე ემსახურებოდნენ მატჩს. გალელები ათნი დარჩნენ და „ცხუმმა" თავგამოდებით შეუტია, ჯერ თალაკვაძეს გაუცუდდა დამაგირგვინებელი შეტევა, შემდეგ ქიქავამ ბურთი ხარიხას მოახვედრა. მალე იმავე თალაკვაძის ახლო მანძილიდან დარტყმულს ძელი დაუხვდა... შემდეგ კი იყო მოულოდნელი გოლი. განაბული ნიანგივით მეტოქის ნახევარზე ეულად ჩასაფრებულმა ყოლბაიამ კონტრშეტევაზე დაიჭირა სოხუმელები და კარიდან გამოვარდნილ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

ტურნირის ორგანიზატორებზე ძვირი როგორ უნდა დაგცდეს კაცს, მაგრამ ერთი უნდა ითქვას, „ამირანი" — „გაგრა" მატჩის მეორე ნახევრის 73-ე წუთზე „მიხეილ მესხზე" შემზარავი კივილი გაისმა. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ღვინჯილიამ გოლის გატანის საშუალება არ მისცა თემურ გადელიას და კარიდან გამოვარდნილ თანაგუნდელ მეკარეს საბედისწეროდ შეასკდა. ღვინჯილიამ წვივი გადაიტეხა, ამაოდ უხმობდნენ სასოწარკვეთილი ფეხბურთელები ექიმს, არ იყო გუშინ ექიმი სტადიონზე... გულშემყრილი ფეხბურთელი კერძო მანქანით გააქანეს საავადმყოფოში.

მეორე მატჩი კი შელია, კაკუბავა, გადელია, შალამბერიძით გაძლიერებულმა „ამირანმა" მოიგო, თუმცა გაგრელებმა ტოლი არ დაუდეს მეტოქეს და თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, უკეთეს შედეგსაც იმსახურებდნენ.

ერთწრიანი ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ „ამირანი" და „მზიური" დაწინაურდნენ. დღეს, მეორე ტურში, 17 საათზე, „ამირანი" „ცხუმს" ეთამაშება, ორი საათის შემდეგ კი „გაგრა" და „მზიური" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

პაატა კვანტალიანი

თბილისი
1 ივნისი
17 საათი
მიხეილ მესხი
800 (ტევადობა 16 000)

მზიური 1:0 ცხუმი

1:0 ყოლბაია (88)
მზიური: ა. ღურწკაია, თ. ღურწკაია, ზ. კვეკვესკირი, კანკავა, ყოლბაია, ქორთუა (თოდუა 78), კ. კვეკვესკირი, ჩიქობავა, ცაცუა, ჯღარკავა (სიჭინავა 15, დ. შელია 59), ჩხეტია
სათადარიგონი: ჭაჭუა; მ. სიჭინავა, არღნიშვილი, ლეფავა
ცხუმი: ასიტაშვილი, ნანიშვილი, ლ. მიქაძე, გ. საჯაია (ყალიჩავა 73), ლ. ცაავა, ოქრომელიძე, ქიქავა, შ. დანელია (ნარმანია 53), თალაკვაძე, არეშიძე (მიქაია 62), დევდარიანი
სათადარიგონი: გორდეზიანი; გოგუა
გაფრთხილება: ასიტაშვილი (59), მიქაძე (65), ცაცუა (65)
გაძევება: ზ. კვეკვესკირი (80)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); მ. ვეკუა (გულრიფში)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. პაპავა

GO, NORGE, GO!

ოსლოს ქუჩების სიმყუდროვეს ორადორი ცხენოსანი პოლიციელი იცავდა

დამოუკიდებელ ნორვეგიას გაუმარ-ჯოს! ლამაზ, წყნარ, მაძღარ, ევროსაბჭოს წევრ ნორვეგიას.

ასჯერ, ათასჯერ, ათიათასჯერ გაუმარჯოს — ეს ისე, ჩვენი მხრიდან კარგი ჟესტივით, თორემ მას შემდეგ, რაც არამზადა ჰიტლერმა 1940 წლის მაისში „ნორვეგიის ოპერაცია" წამოიწყო და ომის წაგებასთან ერთად ნორვეგიულ ნაცარშიც ჩაუვარდა თავისი რაიხსკოვზი, ეს ქვეყანა სულ გამარჯვებულია და ლამაზ, წყნარ, მაძღარ ცხოვრებას ეწევა.

პოლიციელის ნახვა გაგიჭირდებათ ოსლოში, ხალხო! თხუთმეტ კაცს ითვლიდა ქართველ ჟურნალისტთა დელეგაცია და საბოლოო ანგარიშში მხოლოდ ორი ცხენზე შემჯდარი პოლიციელი ქალ-ვაჟის ნახვა მოვახერხეთ. უბრალო არითმეტიკის ამბავია — ჩვენს დელეგაციის ერთ კაცზე საშუალოდ 0,13 პოლიციელი მოდიოდა (ნეტა, საქართველოშიც ასე იყოს).

ნორვეგიას, თუკი ოსლოს მაგალითზე ვიმსჯელებთ, შეიძლება ეწოდოს ქვეყანა, რომელიც მხიარულობს, მხიარულობს ყველა — თოთო ბავშვიდან დაწყებული ოლღა ბებიას ხნის ხალხით დამთავრებული. მხიარულებაცაა და მხიარულებაც — ნორვეგიელები პიკნიკური ხალხია, წამოიკიდებენ ზურგჩანთებს, სადმე სკვერში ბალახზე მოიკალათებენ და მთელ დღეს ხითხითში გაატარებენ ორიოდე ბუტერბროდისა და ერთი ბოთლი ლუდის აკომპანიმენტზე.

მოგეხსენებათ, კაცობრიობამ თავისი გარდერობის ისტორია ლეღვის ფოთლით დაიწყო და ამ ცივილიზაციის გადამკიდე, ეტყობა, ლეღვის ფოთლითვე დაასრულებს მას. სულ ორიოდე თვე ანათებს ნორვეგიაში მზე ქართულად და ამ ხნის განმავლობაში ისე მოიშილიფვებენ-ხოლმე ვიკინგთა მდედრი და მამრი შთამომავლები, გასაკვირი სულაც არაა, ნორვეგიული ვოიაჟის შემდეგ დაბნეული მზე ასე რომ ხრუკავს და ბდღვირს ადენს ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტოვან საქართველოს.

სკანდინაველები კეთილგანწყობილი, თბილი ხალხია. არასდროს არავისთვის დაიშურებენ ღიმილს, მათი წესრიგი და წეს-კანონისადმი მორჩილებაც შესაშურია, მაგრამ საქმე რომ კანონის ჩარჩოებს გასცდება, მერე იბნევიან. უბრალო მაგალითს მოვიყვანთ — ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ ქართველ ჟურნალისტებს მოამაგრა ავტობუსი, რომლის მძღოლი ერთდროულად გიდიც იყო, კეთილისმსურველიც და პატრონ-მყვარებელიც. იგი განსაკუთრებით ჩვენი ნაკრების პრეს ატაშეს, მამუკა კვარაცხელიას დაუმეგობრდა და გაცნობიდან ორიოდე საათის შემდეგ მხარზე შესმულიც გაატარ-გამოატარა, მოკლედ, იდილიური სურათი იყო. ჰოდა, ამ მამუკაზე გულშევარდნილმა კაცმა ნორვეგია — საქართველოს მატჩის დროს ნაყინი მარტო თავისთვის იყიდა და გვერდზე მჯდომ მამუკას არც კი შესთავაზა.

ქართულია ახლა ეს? ნორვეგიული თუა, ამაშიც ეჭვი მეპარება.

ცხოვრების დონით კი ნორვეგიელებს მარტო მეზობელი სკანდინაველები თუ შეედრებიან, 3 000 დოლარამდე საშუალო ხელფასი, დასაქმების მაღალი პროცენტი, აღმავალი მრეწველობა, უდეფიციტო ბიუჯეტი (ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა) და ნათელი მომავალი — ნორვეგიას სანატრელ ქვეყნად ხდის (განსაკუთრებით საქართველოს მოქალაქის თვალში, რომელსაც სილამაზის გრძნობა ზომაზე მეტად აქვს განვითარებული) საუბარი სილამაზეზე ჩამოვარდა და ორი (სამი, ოთხი... ათი) სიტყვის თქმა მუ ვიკინგებზეც შეიძლება, მაგრამ ნორვეგიელ ქალებზე ცალკე... ახლა კი ნორვეგიულ სპორტზე და იმ სტადიონის გულგვამზე ვისაუბროთ, სადაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მოუწია თამაში.

სპორტი

ნორვეგიელები სპორტული და სპორტის მოყვარე ხალხია. მოსწონთ ათასგვარ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა, ლაშქრობა, თხილამურები და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი.

აქამდე ნორვეგიაში პრიორიტეტულად ძირითადად ზამთრის სახეობები ითვლებოდა, მაგრამ ფეხბურთმა ამერიკა დაიპყრო და ნორვეგიას რა ხეირს დააყრიდა.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს ნორვეგიელებს ციგა და თხილამური გადაავიწყათ ბურთმა, არა ნორვეგიელს ბიორნ დალისა და ლასე კიუსის სახელს ვერც სოლშა დაავიწყებს და ვერ ფლო, მაგრამ ფეხბურთს უკვე გაშლილი აქვს თავისი საცეცები და მეტასტაზებივით მოსდებია ოსლოს და მის შემოგარენს.

ოსლო კი არა მარტო ნორვეგიული ეკონომიკისთვის ნიშნავს ბევრს, იგი სპორტის ნავსაყუდელიცაა. მდებარეობის გამო ოსლო ზამთრის სახეობათა ცენტრად ვერ იქცევა, მაგრამ ნორვეგიული ფეხბურთის მექად ქცევამდე სულ ცოტა აკლია (მით უმეტეს, სხვა საფეხბურთო ქალაქებიც მასთან ახლოა).

ადგილობრივი მდიდარი ფირმები და ერთობლივი საწარმოები დაუშურველად იხდიან ფულს ნორვეგიული სპორტის დასაფინანსებლად. სპორტის მეცენატობა იქ ღირსეული საქმეა და „საქმენი საგმირონი" ვიკინგებს მემკვიდრეობითაც უყვართ.

ზემოთ ვთქვი, რომ ფეხბურთი უკვე იქცა ნორვეგიის №1 სპორტად. იცით, სკანდინაველები დიდი საფეხბურთო ტრადიციებით თავს ვერ იწონებენ და ახლა ცდილობენ დაკარგულის ანაზღაურებას — ნორვეგიამ ხომ სულ ათიოდე წელია, ფეხბურთზე სერიოზულად დაიწყო ფიქრი. ჰოდა, შენდება, მშვენდება სტადიონები. ნორვეგიული სტანდარტებისთვის დიდი და ტევადი მსოფლიო ფეხბურთისთვის მცირეა და ვიკინგებსაც სწრაფად სურთ ამ ნაკლის აღმოფხვრა.

ულევოლი

ნორვეგიის „ეროვნული" „ულ-ევოლის" სტადიონია. ULEV-ALL-მა, რომელიც 1926 წელს გაშენდა, აქამდე არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა და ბოლოს 1997 წელს გაარემონტეს. თუმცა ეს სულაც არ არის ბოლო, ამტკიცებენ ნორვეგიელი ფეხბურთის მამები — ერთ ტრიბუნაზე კიდევ უნდა დავაშენოთ ადგილები და საბოლოოდ „ულევოლი" 30-ათასიანი უნდა გახდესო.

ახლა „ულევოლი" 26 000 მაყურებელს იტევს. თავიდან კი იგი ერთი კოხტა მინდორი იყო, რომელსაც ტრიბუნების ნაცვლად ირგვლივ ბალახით დაფარული მიწაყრილები ერტყა.

პირველი რეკონსტრუქცია სტადიონს 1932 წელს ჩაუტარდა, პირველი ტრიბუნებიც მაშინ აშენდა. ამის მერე კი მიაყარეს და მიაყარეს — 36, 38, 55, 62, 77, 83, 86, 92, 93, 97 წლებში „ულევოლი" იცვლიდა და იცვლიდა იერსახეს. ცენტრალურ შესასვლელში კედელზე გამოფენილია სტადიონის ფოტო-მატიანე, სადაც ნაჩვენებია, როგორ იცვლებოდა იგი.

სხვათა შორის, „ულევოლი" ნორვეგიის ნაკრების არენად 1991 წლიდან იქცა. ჩვენს ნაკრებთან შეხვედრამდე ნორვეგიის ეროვნულმა ნაკრებმა აქ 32 მატჩი გამართა. და მისი ყველა მეტოქის მაისურა სტადიონის ფოიეშია წარმოდგენილი.

32 მაისურიდან მხოლოდ [illegible] ის მატჩი 1991 წლის 28 აგვისტოს [illegible] და [illegible] ელებს 1:0 მოუგიათ.

26-ეა საქართველოს ნაკრების [illegible] მაისურა, რომლითაც ქართველებმა 1996 წლის 1 სექტემბერს ითამაშეს ოსლოში და, რა თქმა უნდა, 0:1 დამარცხდნენ.

ახლა ნორვეგიელთა მისურების ამ სტენდს 33-ე ქართული მაისურიც მიემატება, მის ქვემოთ ნორვეგიის ნაკრების ფოტოს მიაკრავენ და გაჩნდება ახალი წარწერაც — 30.05.99 ნორვეგია — საქართველო 1:0.

„ულევოლის" მინდვრის გრუნტი მძიმეა, ქვიშანარევი. ფეხბურთელს მასზე ფეხის მოკიდება უჭირს და შესაბამისად, მეტი ფიზიკური დატვირთვაც ხვდება.

ეს ისტორია — მატიანეებზე და ახლა „ულევოლის" დიზაინზეც. სტადიონი, როგორც ევროპაშია მიღებული, თითქმის ქუჩის სიმაღლეზეა გაშენებული, მინდორი კი ღრმულშია. „ულევოლის" ტერიტორია მოჭედილია ათასგვარი მაღაზიებით, ბისტროებით და ერთი აფთიაქით.

ცენტრალურ შესასვლელთან პატარა ბაღნარი და ექვსი თეთრი ბაირაღი გხვდებათ. დროშებზე ტიტებია გამოსახული. ნორვეგია რომ ჰოლანდია არაა, ამას კი ვხვდებით, მაგრამ ტიტების სიყვარულში ძალიან რომ ჰგვანან ერთმანეთს, აშკარაა.

„ულევოლს" ოთხი სხვადასხვა ფერის, სამი მხრიდან გადახურული ტრიბუნა და ერთი ცეროდენა ტაბლო აქვს. ტაბლოზე მხოლოდ დროის, ანგარიშისა და მოთამაშე გუნდების სახელის აღმნიშვნელი ასო-ციფრები ეტევა. მას სხვა დანიშნულება არცა აქვს, მაგრამ პატარა რომაა, ამიტომ ვუთმობ ყურადღებას. „პაიჭაძის" ტაბლოში ათიოდე „ულევოლის" ტაბლო გამოიჭრება.

ტრიბუნები ნორვეგიის ეროვნულ ფერებშია გადალებილი — წითელი, ლურჯი, თეთრი ფერები ჭარბობს.

საერთოდ, ევროპაში მიღებული ყოფილა სტადიონის ტრიბუნების რომელიმე რეკლამის დამკვეთი ფირმისთვის „მიყიდვა" — ასე შეუძენიათ „ულევოლზე" თავიანთი ტრიბუნები „კოკაკოლას", NORS TIPING-ს, BANKEN-ს და VG-ს.

კოკა-კოლას აქამდეც ვიცნობდით, NORS TIPING იქაური სატოტალიზატორო ფირმა გახლავთ, BANKEN — ერთ-ერთი ბანკი, VG — კი მძლავრი ნორვეგიული გაზეთი.

ნორვეგიელები იმუქრებიან, ამ რეკონსტრუქციას რომ მოვრჩებით, მერე ახალს დავიწყებთ და „კოკა-კოლას" ტრიბუნას კიდევ დავაშენებთ ადგილებსო.

სხვათა შორის, ამ ტრიბუნის მნიშვნელობა შეხვედრის დროს გამოჩნდა. იქ ნორვეგიელი „ჯუნგლები" ისხდნენ და ათასგვარი გულშემატკივრული ოინბაზობის წამომწყებიც ისინი იყვნენ.

„ულევოლი" წმინდად საფეხბურთო მოედანია. მინდორს და პლასტმასის სკამებს (რომლებზეც ნორვეგიელი ქომაგები, როგორც წესი, არ სხედან) ხუთიოდე მეტრი აშორებს. ნორვეგიელებს რომ ყველაფრის ზეიმად გადაქცევა ეხერხებათ, უკვე ვთქვით. ფეხბურთიც ასეა — ნორვეგია — საქართველოს მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მინდორზე გამოვიდა სასულე ორკესტრი თავისი დროშითა და თეთრებში გამოწყობილი მოცეკვავე გოგუცუნებით და სულ კლასიკური ჯაზის აკომპანემენტზე ამხიარულეს ქომაგები.

ქომაგები, რომლებიც, როგორც ყველგან, ყვირიან, ბღავიან, ღრიალებენ, ცეკვავენ, მაგრამ, სხვათაგან განსხვავებით, არ ამსხვრევენ და არ ჩხუბობენ. ცოტა სოცარი კია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ფეხბურთი ნორვეგიაში ქალებს უფრო აინტერესებთ. ჩემი შეხედულება მაინც ქართველი ჟურნალისტის შეხედულებაა, რომელსაც თვალში ეცა საფეხბურთო ტრიბუნებზე „თეთრ-თეთრი ნორვეგიელი ქალაების" სიმრავლე და...

თუმცა ჟურნალისტებზე და ქალებზე მომდევნო წერილში.

კონსტანტინე გოგიშვილი

თბილისი — ოსლო — თბილისი

„ულევოლის" სტადიონი მატჩის წინა დღეს

თამაშამდე „ულევოლზე" თვალსასეირო სანახაობაც გაიმართა

ემბლემა 2002

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკვე შეიქმნა ოფიციალური ემბლემა, რომელიც უდიდესი საფეხბურთო შეჯიბრების მუდმივი თანამდევი იქნება.

31 მაისს მსოფლიოს ჩემპიონატის ორი მასპინძლის — იაპონიის და კორეის დედაქალაქებმა ტოკიოსა და სეულში მსოფლიოს ჩემპიონატის ემბლემა ოფიციალურად წარადგინეს.

ემბლემაში გამოყენებულია გეომეტრიული ფიგურები, რაც, დიზაინერთა აზრით, სწორედ რომ ზედგამოჭრილია აზიური სულისკვეთებისთვის. ამასთანავე შერჩეულია ექვსი ფერი, რომლებიც განასახიერებენ ბუნებას, ვნებათაღელვას, ფეხბურთს, იმედს, თასს და დედამიწას.

— მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მასპინძლები ცდილობდნენ, ემბლემებში თავიანთი ქვეყნები აესახათ. ჩვენ ვეცადეთ, ემბლემაში კონკრეტულად იაპონია და კორეა კი არა, მთელი აზია ჩაგვეხატა — განაცხადა ფიფას ვიცეპრეზიდენტმა ჩუნგ მონგ ჯონმა.

— წრე აზიის ბევრი ქვეყნის კულტურაში დიდ როლს თამაშობს. ემბლემის შერჩევისას ამასაც ვითვალისწინებდით — განაცხადა კრის ლაითფუტმა, ემბლემის შემქმნელი კომპანია „ინტერბრენდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერის თქმით, როგორც კი ემბლემას ოფიციალურად მიიღებენ, იგი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ეგიდით ჩატარებულ თამაშებს და სხვადასხვა შეხვედრებს და მიღებებს აუცილებლად დაამშვენებს.

— დღეიდან მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატს ემბლემაც აქვს. ეს წინგადადგმული ნაბიჯია — განაცხადა ბლატერმა. მისივე თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორობის სურვილი უკვე გამოთქვა თორმეტმა კომპანიამ, ექვსმა კი ფიფაში შესატანი 35 მილიონი დოლარის გადახდაც იკისრა.

როიტერი

ირლანდიის მთავრობა იუგოსლავიის წინააღმდეგ

ირლანდიის მთავრობამ განაცხადა, რომ ევროკავშირის მხარდაჭერისა და ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩის, ირლანდია — იუგოსლავიის გადადების იმედი ჰქონდა. ირლანდიელები ფიქრობდნენ, რომ ევროკავშირი უეფაზე შესაბამის გავლენას მოახდენდა.

მთავრობის პრესმდივნის ცნობით, ირლანდიელი მინისტრები გუშინ საგანგებოდ შეიკრიბნენ და იმსჯელეს იუგოსლავიის საფეხბურთო დელეგაციისთვის ვიზების გაცემა-არგაცემის შესახებ, მაგრამ გადაწყვეტით ვერაფერი გადაწყვიტეს. ამრიგად, საავიზო ბოიკოტი ვერ შედგა.

„ევროკავშირის სპორტის მინისტრები ხვალ (ანუ დღეს) შეიკრიბებიან. მათ წინაშე ირლანდიის ტურიზმისა და სპორტისა მინისტრი ჯეიმს მაკდეიდი წარსდგება და თავის პოზიციას გააცნობს“ — ბრძანა პრესმდივანმა.

ირლანდიელებს იმედი აქვთ, რომ ევროკავშირის ხელისუფალნი უეფას ბოიკოტით დაემუქრებიან და ისიც იძულებული შეიქნება უკან დაიხიოს.

ევროკავშირელთა ხსენებული საგანგებო თათბირი გერმანიაშია დანიშნული. დაგეგმილია შეხვედრები ფიფასა და უეფას პრეზიდენტებთან, ზეპ ბლატერთან და ლენარტ იუჰანსონთან.

ვინაიდან ირლანდიელებმა ვიზების თაობაზე ვერაფერი გადაწყვიტეს, იუგოსლავიის დელეგაციამ ირლანდიის იმ საელჩოში, ათენში რომ მოქმედებს, დაუბრკოლებლად მიიღეს ქვეყანაში შესვლის უფლება. ასე რომ, ახლა, დუბლინში იმედის თვალით უეფასღა შეჰყურებენ.

ირლანდიის ხელისუფლების ასეთი ქმედების მიზეზი კოსოვოს კრიზისში ბელგრადის პოზიცია და იუგოსლავიის პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადება გახლავთ.

ქალბატონი სულ დაბერდა

იტალიიდან უეფას თასზე გასასვლელი პლეი ოფი

იუვენტუსი 1:1 უდინეზე

(პირველი მატჩი უდინეში 0:0)

1996 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი და ამ ტურნირის მომდევნო ორი წლის ფინალისტი ტურინის „იუვენტუსი“ უეფას თასზეც კი ვერ გავიდა. კარლო ანჩელოტის გუნდისთვის „უდინეზე“ გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, რომელიც საშინელი სანახავი გამოდგა, საპასუხო სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. მასპინძლები ფილიპო ინძაგის პენალტით დაწინაურა 23-ე წუთზე, თუმცა 71-ზე სტუმართა ბრაზილიელმა ფორვარდმა, სერია A-ს საუკეთესო მეგოლემ ამოროზომ პაოლო პოჯის შესანიშნავი პასი მისცა და მანაც წონასწორობა აღადგინა.

დარჩენილ დროში და მსაჯის მიერ დამატებულ 7 წუთში უდინელებმა ბევრი ოფლი ღვარეს, რათა სახელოვანი მეტოქის შეტევებისთვის გაეძლოთ და გაძლეს კიდეც.

— ძალიან რთული ჩემპიონატი იყო და ფინიშიც ურთულესი ჰქონდა. კარგი იქნებოდა უეფას თასზე გავსულიყავით, მაგრამ რას იზამ, მეტოქემ გვაჯობა — თქვა ანჩელოტიმ მატჩის შემდეგ.

ერთი სიტყვით, უეფას თასის გათამაშებაში იტალიიდან გავიდნენ სერია A-ს მეხუთეადგილოსანი „რომა“, მეორე პლეი ოფში „ინტერის“ მძლეველი „ბოლონია“ და „უდინეზე“.

REUTERS ტურინიდან

„იუვენტუსს“ ვერც მუდამ ენერგიულმა ედგარ დავიდსმა უშველა

ინგლისი

პლეი ოფი

I დივიზიონი

ბოლტონი 0:2 უოტფორდი

0:1 რაიტი (37), 0:2 სმარტი (89)

ელტონ ჯონი, ცნობილი მომღერალი და „უოტფორდის“ პრეზიდენტი:

— გრემ ტეილორს („უოტფორდის“ თავკაცი) მინდა ვუთხრა, რომ იგი ჩემი დიდი მეგობარია. დღეს არნახულ წარმატებას მივაღწიეთ და ეს გრემის დამსახურებაა. ნეტავ ყოველი კონცერტის წინ ასეთ ხასიათზე ვიყო — თქვა მან და სიეტლში გაემართა საკონცერტო ტურნეს ჩასატარებლად.

70 ათასმა ქომაგმა იხილა „უემბლიზე“ „ბოლტონსა“ და „უოტფორდს“ მატჩი, რომელიც უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა და პრემიერლიგის საკუთრიც მოიპოვა. ასგარიზინიკი რაიტმა გახსნა ლამაზი თავური დარტყმით, ხოლო მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე ალან სმარტმა საბოლოოდ გაუხსნა თავის გუნდს უძლიერესთა შორის გამსვლელი კარები. ასე რომ, მომავალ პრემიერლიგურ სეზონში პირველი დივიზიონის გამარჯვებულ „სანდერლენდთან“ და მეორეადგილოსან „ბრედფორდთან“ ერთად მეხუთე ადგილზე გასული, მაგრამ პლეი ოფში გამარჯვებული „უოტფორდიც“ ითამაშებს.

სლოვენია

32-ე ტური: ნოვა გორიცა — ბელტინჩი 3:0; მურა — მარიბორი 0:2; ველენიე — აიდოვშინა 4:3; კოროტანი — კოპერი 1:2; ოლიმპია — ცელიე 2:3; ტრიგლავი — დომზალე 0:1.

მარიბორი	32	18	9	5	70:29	63
ნოვა გორიცა	32	18	8	6	55:29	62
ველენიე	32	15	8	9	41:33	53
მურა	32	15	5	12	52:35	50
კოროტანი	32	14	6	12	44:44	48
ოლიმპია	32	12	7	13	52:48	43
აიდოვშინა	32	11	7	14	39:44	40
დომზალე	32	10	10	12	38:47	40
ცელიე	32	9	12	11	29:35	39
ბელტინჩი	32	9	6	17	36:61	33
კოპერი	32	8	8	16	34:59	32
ტრიგლავი	32	5	10	17	27:53	25

ლატვია

მე-8 ტური: ვალმიერა — პოლიციასი 1:1; სკონტო — ვენტსპილსი 3:1; დინაბურგი — რიგა 2:0; მეტალურგსი — რეზეკნე 6:0.

სკონტო	8	7	0	1	15:5	21
ვენტსპილსი	8	6	1	1	15:5	19
მეტალურგსი	8	6	0	2	28:6	18
დინაბურგი	8	2	4	2	5:5	10
ვალმიერა	8	2	2	4	7:11	8
პოლიციასი	8	2	2	4	11:17	8
რიგა	8	1	2	5	6:13	5
რეზეკნე	8	0	1	7	1:24	1

ჩეხეთი

30-ე ტური: ოლომოუცი — ტეპლიცე 2:0; სლავია — ხმელი 5:2; სლოვანი (ლიბერეცი) — დუკლა 4:0; ოპავა — ბანიკი (ოსტრავა) 0:0; დრნოვიცე — ბობი 0:0; კარვინა — ვიკტორია (ჟიჟკოვი) 0:1; ვიკტორია (პლზენი) — იაბლონეცი 2:3; ჰრადეცი — სპარტა 2:1.

საბოლოო ცხრილი

სპარტა	30	17	9	4	62:23	60
ტეპლიცე	30	16	7	7	55:30	55
სლავია	30	15	10	5	51:31	55
ოლომოუცი	30	12	11	7	42:34	47
ბანიკი	30	10	15	5	39:26	45
ხმელი	30	12	6	12	48:44	42
ბობი	30	11	8	11	37:33	41
ვიკტორია (ჟ)	30	12	4	14	31:46	40
ჰრადეცი	30	11	6	13	33:40	39
სლოვანი	30	9	11	10	33:34	38
დრნოვიცე	30	9	10	11	35:44	37
იაბლონეცი	30	9	8	13	37:46	35
დუკლა	30	8	9	13	28:41	33
პოტავა	30	8	8	14	40:54	32
ვიკტორია (პ)	30	8	8	14	26:43	32
კარვინა	30	6	4	20	27:55	22

სლოვაკეთი

30-ე ტური: ჟილინა — დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) 2:2; არტმედია — ჰუმენრე 2:0; ნიტრა — ინტერი (ბრატისლავა) 0:2; ტაურისი — რუზომბეროკი 2:3; დუბნიცა — ტრენცინი 0:2; კოშიცე — ბანეკი (პრიევიძა) 1:3; სლოვანი (ბრატისლავა) — სპარტაკი (ტრნავა) 0:1; ტატრანი — ბარდეიოვო 1:0.

საბოლოო ცხრილი

სლოვანი	30	21	7	2	56:11	70
ინტერი	30	21	5	4	64:15	68
სპარტაკი	30	19	7	4	59:20	64
კოშიცე	30	19	4	7	51:26	61
ტრენცინი	30	15	8	7	53:25	53
ჟილინა	30	15	3	12	36:42	48
რუზომბეროკი	30	12	10	8	31:31	46
ტატრანი	30	11	10	9	38:35	43
არტმედია	30	11	6	13	37:42	39
ჰუმენიე	30	10	5	15	24:37	35
დუკლა	30	8	10	12	34:46	34
ნიტრა	30	7	7	16	28:48	28
დუბნიცა	30	8	4	18	28:60	28
ბანიკი	30	6	6	18	34:56	24
ტაურისი	30	5	7	18	29:56	22
ბარდეიოვო	30	2	1	27	14:66	7

პოლონეთი

30-ე ტური: ამიცა — სტომილი 0:0; გკს (ბელხატოვი) — ოდრა 1:1; გკს (კატოვიცე) — ზაგლებიე 2:2; ლეგია — პოლონია 3:0; რუხი — გურნიკი 0:1; რაძიონკოვი — ლეხი 4:1; ვიძევი — ლკს 5:0; ვისლა — პოგონი 4:0.

საბოლოო ცხრილი

ვისლა	30	23	4	3	75:23	73
ვიძევი	30	18	2	10	50:33	56
ლეგია	30	16	8	6	41:25	56
ლეხი	30	17	3	10	55:36	54
პოლონია	30	13	7	10	38:31	46
რაძიონკოვი	30	10	11	9	40:35	41
გურნიკი	30	9	12	9	34:31	39
ზაგლებიე	30	9	11	10	42:44	38
სტომილი	30	10	7	13	29:38	37
რუხი	30	9	9	12	23:36	36
ლკს	30	8	10	12	33:45	34
ამიცა	30	9	7	14	31:39	34
პოგონი	30	9	6	15	33:54	33
ოდრა	30	8	8	14	33:41	32
ბელხატოვი	30	7	7	16	26:48	28
კატოვიცე	30	5	8	17	25:49	23

საბერძნეთი

34-ე ტური. პაოკ — პანიონისი 3:0; ოლიმპიაკოსი — აეკ 0:0; ეთნიკოსი (ა) — იონიკოსი 1:1; ქსანტი — აპოლონი 1:0; პრუდეფტიკი — არისი 2:1; ირაკლისი — პანლეფსინიაკოსი 2:3; პანლიკოსი — კავალა 2:0; ეთნიკოსი (პ) — ვერია 0:2; ოფი — პანათინაიკოსი 2:3.

საბოლოო ცხრილი

ოლიმპიაკოსი	34	27	4	3	82:22	85
აეკ	34	23	6	5	71:27	75
პანათინაიკოსი	34	23	5	6	66:36	74
პაოკ	34	19	5	10	52:31	62
იონიკოსი	34	17	9	8	64:36	60
არისი	34	19	3	12	53:43	60
ქსანტი	34	16	8	10	44:33	56
ოფი	34	16	3	15	50:44	51
ირაკლისი	34	13	8	13	55:45	47
კავალა	34	12	6	16	46:62	42
ეთნიკოსი (ა)	34	11	7	16	40:58	40
პრუდეფტიკი	34	10	9	15	28:37	39
პანლიეფსი	34	11	5	12	37:54	38
აპოლონი	34	9	9	16	42:62	36
პანიონისი	34	9	5	20	42:58	32
პანლეფსინ.	34	7	11	16	25:49	32
ვერია	34	6	5	23	20:55	23
ეთნიკოსი (პ)	34	0	8	26	17:82	8

თურქეთი

34-ე ტური: ქარაბუქი — ალთაი 1:1; საქარია — ანკარაგიუჯიუ 4:0; გენჩლერბირლიგი — ისთანბული 2:3; ადანა — ქოჯაელი 1:1; სამსუნი — ბურსა 1:1; ფენერბაჰჩე — ერზურუმი 4:1; დარდანელი — ბეშიქთაში 1:3; ტრაბზონი — ანთალია 2:3; გალათასარაი — გაზიანთეფი 0:0.

საბოლოო ცხრილი

გალათასარაი	34	23	9	2	85:30	78
ბეშიქთაში	34	23	8	3	58:27	77
ფენერბაჰჩე	34	22	6	6	84:29	72
ტრაბზონი	34	17	7	10	48:37	58
ქოჯაელი	34	14	8	12	44:37	50
ანთალია	34	14	7	13	46:47	49
გაზიანთეფი	34	12	12	10	51:48	48
გენჩლერბირლიგი	34	12	10	12	49:47	46
ისთანბული	34	12	7	15	48:55	43
სამსუნი	34	11	8	15	38:53	41
ალთაი	34	11	7	16	46:59	40
ბურსა	34	11	6	17	51:69	39
ერზურუმი	34	10	9	15	40:65	39
ანკარაგიუჯიუ	34	10	8	16	45:55	38
ადანა	34	10	8	16	37:53	38
საქარია	34	9	8	17	44:52	35
დარდანელი	34	8	8	18	34:49	32
ქარაბუქი	34	5	8	21	26:64	23

ვინ, რატომ, სად?

თასების თასი, რომელიც 1960-61 წლების სეზონიდან 39-ჯერ გათამაშდა აღარ არსებობს. ამრიგად, დარჩა ორი საკლუბო შეჯიბრი: ჩემპიონთა ლიგა და უეფას თასი. ეროვნული თასის მფლობელები, ამიერიდან, უეფას თასის გათამაშებაში გამოვლენ.

ჩემპიონთა ლიგა ორ ჯგუფურ ეტაპად იქნება დაყოფილი. პირველ ეტაპზე 32 გუნდი ითამაშებს, მეორეზე — 16. ე.ი. მეორე ეტაპზე გავლენ პირველის ჯგუფებში გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასულები. პირველი ეტაპის 32 გუნდიდან 16 პირდაპირ ჯგუფებში იქნება განთესილი, ხოლო კიდევ 16-ის ვინაობას სამი შესარჩევი რაუნდი გაარკვევს. ამგვარად, პრინციპი, რომლის თანახმადაც უეფას ყველა წევრი ქვეყნის ჩემპიონს ლიგაში თამაშის შანსი ეძლევა, დაცულია. აღსანიშნავია, რომ შესარჩევი ეტაპების რაოდენობა ადრინდელზე ერთით მეტია. რაც შეეხება უეფას თასის გათამაშებას, აქ შესარჩევ ეტაპთა რაოდენობა ორიდან ერთამდეა შემცირებული.

ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასს შორის კავშირი, უწინდელი სტრუქტურის შესაბამისად, მხოლოდ საწყის ეტაპზე არსებობდა: ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპიდან გავარდნილი გუნდები შეჯიბრებას უეფას თასზე განაგრძობდნენ. ახლა კავშირი კიდევ უფრო დიდია. რაც ძველად იყო დარჩა (იმ განსხვავებით, რომ ახლა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპიდან გავარდნილი გუნდები გადადიან უეფას თასზე), მაგრამ მას დაემატა სიახლე: რვა გუნდი, რომელიც ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე, თავიანთ ჯგუფებში მესამე ადგილზე გავა, უეფას თასის მესამე ეტაპზე გადაერთვება.

ნათელი სურათის შესაქმნელად (გავითვალისწინოთ, რომ ლიგაში ერთ ქვეყანას მაქსიმუმ ოთხი გუნდი შეუძლია ჰყავდეს) დავხედოთ ცხრილს, სადაც მთელი მექანიზმი ჩანს: რამდენი გუნდი გამოჰყავს ამა თუ იმ ქვეყანას და რომელ ეტაპზე ჩაერთვებიან ისინი შეჯიბრებებში.

ხშირია კითხვა: რა მოხდება თუ ჩემპიონთა თასის მფლობელი თავისი ქვეყნის ტიტულსაც მოიპოვებს? ამასთან დაკავშირებით სასურველია იმის დამახსოვრება, რომ ლიგაში დამატებითი ადგილი არავის, გარდა ქვემომოყვანილი ერთი შემთხვევისა, გამოეყოფა. ერთადერთი წახალისება ამა თუ იმ გუნდის შეჯიბრებაში განთესვა გახლავთ.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე 16 გუნდი ავტომატურად დაიშვება. ამ 16 გუნდს შორის უეფას რეიტინგში პირველ-მეექვსე ადგილებზე მყოფ ქვეყნებს ორ-ორი ადგილი აქვთ გამოყოფილი, 4-10 ქვეყნებს თითო. განმარტებისთვის: 26 მაისს ჩემპიონთა თასი ისეთ გუნდს რომ მოეპოვებინა, რომელიც თავისი ქვეყნიდან ლიგაში ვერ გადიოდა, მაშინ პირველ ჯგუფურ ეტაპზე იგი გავიდოდა და არა რეიტინგით მე-10 ქვეყნის ჩემპიონი. ამრიგად, ერთადერთი ვარიანტი იმისა, რომ ამა თუ იმ ქვეყანას ლიგაში ადგილი მომატებოდა (ეს ეხებოდა იტალიას, გერმანიასა და ესპანეთს, რომელთაც შეჯიბრებაში, ისედაც, გუნდების მაქსიმალური რაოდენობა უნდა გაეყვანათ) გახლდათ ის, რომ გუნდს, რომელიც ჩემპიონთა თასს მოიგებდა, თავისი ქვეყნიდან არ უნდა მიეღო ლიგის საგზური. ხსენებული სამი ქვეყნის შემთხვევაში მეოთხე ადგილზე გასული უეფას თასზე გადავიდოდა.

მაშ ასე, რეიტინგით მეათე ქვეყნის ჩემპიონი ლიგის ჯგუფში ავტომატურად გადის და მესამე შესარჩევ ეტაპზე აღარ თამაშობს. შესაბამისად, მესამე შესარჩევ ეტაპზე მის ადგილს იკავებს 16-ე ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც მეორე შესარჩევი ეტაპიდან თავისუფლდება, ხოლო მეორე შესარჩევ ეტაპზე მის მაგივრად 27-ე ითამაშებს.

როგორ ანგარიშობენ კოეფიციენტს?

ხუთსეზონიანი რეიტინგი, რომლის თანახმადაც ადგენენ, რომელმა ქვეყანამ რამდენი გუნდი უნდა გაიყვანოს ამა თუ იმ ევროპულ შეჯიბრებაში და მათ რომელი ეტაპიდან უნდა დაიწყონ ასპარეზობა, ამ სეზონის ბოლოსთვის ძირეულად შეიცვლება.

ადრე, ქვეყნის რეიტინგული ადგილის დათვლისას ხუთწლიანი პერიოდის ყველაზე ადრეულ სეზონს ბოლოთი შეცვლიდნენ (მაგალითად, 1993-94-ს 1998-99-ით) და ახალ კოეფიციენტებს ასე აჯამებდნენ. ამიერიდან, 1994-95 წლების სეზონიდან 1998-99 წლების სეზონამდე, ყველაფერი თავიდან დაითვლება, ხოლო შესარჩევ ეტაპზე დაგროვილი ქულები ორზე გაიყოფა და შეჯამდება.

ასეთი ცვლილება დიდი შეღავათი იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომლის კლუბებმაც ქულები ევროშეჯიბრებების საწყისი ეტაპებიდანვე მოიპოვეს.

ახალი რეიტინგი 1998-99 წლების სეზონის ბოლოს შედგება და მას 2000-2001 წლების გათამაშების წინ გაითვალისწინებენ.

საკლუბო კოეფიციენტებიც (რომელიც მეოთხედფინალებამდე განაპირობებს კენჭისყრისთვის განთესვას) აღარ იქნება მხოლოდ ბოლო ხუთ სეზონში (შესარჩევი ეტაპის მატჩების ჩაუთვლელად) დაგროვილი ქულების ჯამი. მის ჯამს, ქვეყნის კოეფიციენტის ნახევარიც მიემატება. ანგარიშისას დაითვლიან 1994-95 — 1998-99 წლების სეზონებს.

რაც შეეხება ევროტურნირებში მონაწილეთა განთესვას: ტიტულის მფლობელები ძველებურად პირველ ნომრებად განითესებიან. ამას გარდა, ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპის კენჭისყრისას უკვე იქნება შედგენილი განთესვის ჯგუფები, რითაც ერთი ქვეყნის გუნდების შეხვედრას აიცილებენ თავიდან, ხოლო შემდგომ, ლიგის ჯგუფების გამარჯვებულები ყოველთვის მეორე ადგილებზე ზევით განითესებიან.

ჩემპიონთა თასი

ჯგუფი	მესამე შესარჩევი ეტაპი	მეორე შესარჩევი ეტაპი	პირველი შესარჩევი ეტაპი		ქვეყანა	1/32 ფინალი	შესარჩევი ეტაპი
მანჩესტერი							
მილანი	ფიორენტინა			1	იტალია	ბოლონია,	
ლაციო	პარმა					რომა, უდინეზე	
ბაიერნი	ჰერტა			2	გერმანია	ვერდერი	
						ლაუტერნი	
ლევერკუზენი	დორტმუნდი					ვოლფსბურგი	
ბარსელონა	II ადგილი			3	ესპანეთი	თასის მფლობელი	
II ადგილი	IV ადგილი					V, VI ადგილი	
ბორდო	ლიონი			4	საფრანგეთი	ნანტი, ლანსი	
მარსელი						მონაკო	
ფეიენორდი	ეინდჰოვენი			5	ჰოლანდია	აიაქსი, ვიტესი,	
ტილბურგი						როდა	
არსენალი	ჩელსი			6	ინგლისი	ნიუკასლი, ლიდსი	
						ტოტენჰემი	
პორტუ	ბოავიშტა			7	პორტუგალია	თასის მფლობელი	
						ბენფიკა	
						სპორტინგი	
						სეტუბალი	
ოლიმპიაკოსი	აეკ			8	საბერძნეთი	პანათინაიკოსი	
						პაოკ	
						იონიკოსი	
						არისი	
სპარტა	ტეპლიცე			9	ჩეხეთი	სლავია	სიგმა
რუსენბორგი		მიოლდე		10	ნორვეგია	სტაბეკი	ვიკინგი
	შტურმი	რაპიდი		11	ავსტრია	ლინცერი	გრაცერი
	სპარტაკი	ცსკა		12	რუსეთი	ზენიტი	ლოკომოტივი (მ)
	კროაცია	რიეკა		13	ხორვატია	ოსიეკი	ჰაიდუკი
	გალათასარაი	ბეშიქთაში		14	თურქეთი	ანკარაგიუჯიუ	ფენერბაჰჩე
						ან საქარია	
	ჩემპიონი	II ადგილი		15	დანია	AB კოპენჰაგენი	III ადგილი
	ჩემპიონი			16	შვეიცარია	თასის მფლობელი	II, III ადგილი
		დინამო (კიევი)		17	უკრაინა	კარპატი	შახტიორი,
							კრიგბასი
		ვისლა		18	პოლონეთი	თასის მფლობელი	ვიძევი, ლეგია
		მტკ		19	უნგრეთი	დებრეცენი	II, III ადგილი
		გენკი		20	ბელგია		ლიერსი,
							ბრიუგე,
							ანდერლეხტი
		სლოვანი		21	სლოვაკეთი		დუკლა, ინტერი
							სპარტაკი
		რაპიდი		22	რუმინეთი		სტიაუა, დინამო
		აიკი		23	შვედეთი		გიოტებორგი
							ჰელსინგბორგი
		დინამო (თბ)		24	საქართველო		ტორპედო
							ლოკომოტივი
		ანართოსისი		25	კვიპროსი		აპოელი, ომონია
		რეინჯერსი		26	შოტლანდია		სელტიკი,
							კილმარნოკი,
							სტ. ჯონსტონი
		ჰაპოელი (ჰაიფა)		27	ისრაელი		ჰაპოელი (თ-ა)
							მაკაბი (თ-ა)
			ჩემპიონი	28	სლოვენია		თასის მფლობელი,
							II ადგილი
			დნეპრტრანსმაში	29	ბელარუსი		ბელშინა, ბეტა
			ვესტმანაიერი	30	ისლანდია		ლეიფტური,
							რეიკიავიკი
			ჰაკა	31	ფინეთი		ჰიკი, ვაასა
			სკონტო	32	ლატვია		რიგა,
							მეტალურგსი
			ლიტექსი	33	ბულგარეთი		ცსკა, ლევსკი
			სლოგა	34	მაკედონია		ვარდარი,
							სილექსი
			ჩემპიონი	35	ლიტვა		თასის მფლობელი,
							II ადგილი
			ჩემპიონი	36	იუგოსლავია		თასის მფლობელი,
							II ადგილი
			ზიმბრუ	37	მოლდოვა		შერიფი,
							კონსტრუქტორული
			ფლორა	38	ესტონეთი		ლევადია,
							სადამი
			ცემენტი	39	სომხეთი		შირაქი
							II ადგილი
			გლენტორანი	40	ჩრდ. ირლანდია		პორტდაუნი,
							ლინფილდი
			ლა ვალეტა	41	მალტა		ბირკირკარა
							სლიმა
			ბერი თაუნი	42	უელსი		კარდიფ სიტი,
							ქვიმბრან თაუნი
			სენტ პატრიკი	43	ირლანდია		ბრეი,
							კორკ სიტი
			ტორსჰვანი	44	ფარერეები		კლაქსვიკარი
							ბ 36
			ტირანა	45	ალბანეთი		თასის მფლობელი,
							ვლაუნია
			ჟენეს ეში	46	ლუქსემბურგი		მონდერკენჟი
							დუდელანჟი
			ქიაფაზი	47	აზერბაიჯანი		ნეფთჩი
							შამქირი
			სარაევო	48	ბოსნია		ბოსნა,
							რუდარი
					ლიხტენშტაინი		ვადუცი
					ანდორა		პრინჩიპატი

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალიდან ჩაებმებიან ინტერტოტის თასის 3 გამარჯვებული და ჩემპიონთა თასის მეორე შესარჩევი ეტაპიდან გამოთიშული 16 გუნდი. უეფას თასის შესარჩევ ეტაპს ფერო პლუის ორი მოწინავე ქვეყნის გუნდები შეემატებიან

REUTERS ბარსელონიდან

ჩემპიონთა თასის წლევანდელი გამარჯვებული მანჩესტერ იუნაიტედი ფინალური მატჩის წინ:
მარცხნიდან დგანან: პიტერ შმაიხელი, დუაიტ იორკი, ენდი კოული, რონი იონსენი, იაპ სტამი, რაიან გიგზი.
სხედან: იესპერ ბლომკვისტი, ნიკი ბათი, დევიდ ბექემი, გარი ნევილი, დენის ირვინი

და თასის მფლობელები?

ჯერ ასეა: თუ ეროვნული თასის მფლობელი ჩემპიონთა ლიგაში გადის, უეფას თასის საგზური ფინალისტს გადაეცემა. თუ ფინალისტსაც ლიგაში თამაშის უფლება აქვს, მაშინ ხსენებულ საგზურს ნახევარფინალისტები შეეცილებიან ერთმანეთს. თუ თასის მფლობელს ეროვნულ პირველობაზე დაკავებული ადგილის მიხედვით ისედაც უეფას თასზე უწევს გასვლა, მაშინ, ვაკანტური ადგილი გადაეცემა არა წაგებულ ფინალისტს, არამედ ცხრილში ერთით ქვედა ადგილზე გასულს.

2000/2001 წლების სეზონიდან დამარცხებული ფინალისტი უეფას თასზე გავა, მაგრამ თუ ის ჩემპიონთა ლიგის საგზურს ფლობს, ვაკანსია გადაეცემა არა ნახევარფინალისტს, არამედ ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ერთი ადგილით ქვედა გუნდს.

REUTERS ბარსელონიდან

„კამპ ნოუს" ტაბლო მანჩესტერელთა დიდებული გამარჯვების შემდეგ

სამშაბათობით და ოთხშაბათობით

1999/2000 წლების სეზონის დებულების შედგენისას უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა, საკლუბო შეჯიბრებათა კომიტეტის რჩევები გაითვალისწინა, მაგრამ აზრთა სხვაობა მაინც იყო. დავა, უპირატესად, ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის თამაშების დღეებს შეეხებოდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის სამშაბათი და ოთხშაბათია უპრიანი, ხოლო უეფას თასისთვის ხუთშაბათი. სამშაბათობით ლიგის თამაშებს კომერციული, ხოლო ოთხშაბათობით სახალხოდ მისაწვდომი ტელეკომპანიები გადასცემენ.

იმისთვის, რომ ქვეყნებს, რომელთაც უეფას თასზე სამი და მეტი გუნდი გამოჰყავთ, მეტი თავისუფლება მიეცეთ, უეფას თასის მატჩებს სამშაბათობითაც დანიშნავენ. თამაშები ცენტრალური ევროპის დროით 18 საათზე (საქართველოს დროით 21 საათზე) დაიწყება. საშინაო მატჩების სამშაბათობით დანიშვნა გუნდებს მოწინააღმდეგესთან და მის ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმების გარეშეც შეუძლიათ.

ინტერტოტოს თასის ნახევარფინალები ოთხშაბათს გაიმართება, ხოლო ფინალი — სამშაბათს.

ფეირ პლეი კი ასეა

1993-94 წლების სეზონის შემდეგ უეფას თასზე ფეირ პლეის ცხრილის ზედა სამი გუნდიც მონაწილეობს. ახალი სეზონიდან საგზურს მხოლოდ პირველი მიიღებს და „როიტერის" წუხანდელი ინფორმაციით, ეს საუკეთესო მაჩვენებლის მქონე შოტლანდიის „კილმარნოკია". ხოლო ორ, დანარჩენ მონაწილეს 9 ივნისს (ერთ კვირაში), ლოზანაში, ევრო 2000-ის შესარჩევი მატჩის (შვეიცარია — იტალია) შესვენებაზე, უეფა დაასახელებს. კენჭისყრა უშუალოდ მოედანზე გაიმართება და მას ცნობილი იტალიელი ვეტერანი, ფეირ პლეის კომიტეტის წევრი ჯაჩინტო ფაკეტი ჩაატარებს.

ყველა ქვეყანა, რომელმაც ფეირ პლეის რეიტინგში, სულ მცირე, 8 ქულა დააგროვა, კენჭისყრის ყულაბაში ამოყოფს თავს.

ბოლო დათვლის შემდეგ, ლიდერობენ: ინგლისი (8,20), ნროვეგია (8,18), უკრაინა (8,11), ფინეთი (8,08), ესტონეთი (8,08), დანია (8,05), შვედეთი (8,01) და გერმანია (8,00)

წლეულს მთავარი საკლუბო ჯილდო ინგლისელებმა მოიგეს, უეფასი და ბოლო თასთა თასი კი იტალიელებმა

ვინ ამოჰყვება ბადეს?

INTERTOTO CUP

გუშინ ინტერტოტოს თასზე სამონაწილეო განაცხადების წარდგენის ბოლო დღე იყო. თუმცა, მონაწილეთა ვინაობა უეფას ჯერ არ გაუცხადებია. სამაგიეროდ, ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ადრევე იზრუნა ინტერტოტოელთა დასაწყვილებლად.

აი, წლევანდელი გათამაშების წინასწარ ცნობილი ბადეც:

ესპანეთი
ისრაელი
აზერბაიჯანი
საფრანგეთი (2)
რუმინეთი (2)
ლიტვა
ბოსნია
ფარერები
იტალია (1)
თურქეთი (1)
იტალია (2)
მაკედონია (1)
სლოვაკეთი (1)
ჰოლანდია
შვედეთი (1)
ჩეხეთი (2)
ბელარუსი (2)
ინგლისი
ფინეთი
ესტონეთი
უელსი
მალტა
სლოვენია (1)
შვედეთი (2)
ავსტრია (2)
საფრანგეთი (1)
გერმანია (1)
სლოვენია (2)
შვედეთი (1)
ჩეხეთი (1)
რუმინეთი (1)
სომხეთი
ბულგარეთი
ბელგია (2)
ავსტრია (1)
ნორვეგია (1)
ბელარუსი (1)
ხორვატია
მაკედონია (2)
საქართველო
რუსეთი
ნორვეგია (2)
ლატვია
თურქეთი (2)
გერმანია (2)
ხორვატია (1)
ჩრდ. ირლანდია
ბელგია (1)
ისლანდია
ალბანეთი
დანია (2)
სლოვაკეთი (2)
ესპანეთი (2)
დანია (1)
პოლონეთი
მოლდოვა
ირლანდია
შვეიცარია (2)
ლუქსემბურგი
უნგრეთი

მადლობა ყველას!

საფრანგეთი 2:2 მსოფლიო

0:1 ალბერტი (57), 1:1 ჯორკაეფი (59პ), 1:2 ლასლანდი (75), 2:2 ანელკა (77)

საფრანგეთი: ბარტეზი (პორატო 52), ტურამი (ჯეტუ 52), ლებეფი, დესაი (ბლანი 75), კანდელა, ბოგოსიანი, პეტი, ჯორკაეფი, პირესი (დორასო 59), ანელკა, დუგარი (ვილტორდი 57)

მსოფლიოს ნაკრები: როსი (ვარმუეი 45), ციგე, საველიჩი (მარტინ ვასკესი 45), ვერლაატი (ისა 45), მალდინი (პოტიგერი 29, კელერი 63), პავონი (პაპენი 71), ბელმერი, ბენარბია (ალბერტი 45), შიფო (სვერისონი 59), პაპენი (ლასლანდი 45), სიმონე (მიურა 23, ბა 59)

ჟან-პიერ პაპენი ფეხბურთს საბოლოოდ გამოემშვიდობა. ეს მარსელში, სტადიონ „ველოდრომზე" მოხდა, სადაც საფრანგეთის ნაკრები პაპენის ყოფილ თანაკლუბელთაგან და მეგობართაგან შემდგარ მსოფლიოს ნაკრებს შეხვდა. სწორედ ამ ქალაქში გაიბრწყინა ყველაზე უფრო მეტად თავდამსხმელმა და ეს მან გამოსათხოვარ სიტყვაშიც აღნიშნა:

— დიდებულია, რომ ჩემი ბოლო მატჩი მარსელში გაიმართა, ქალაქში, რომელთანაც ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. დიდი მადლობა ყველას, ვინც დღეს პატივი დამდო და „ველოდრომზე" მოვიდა.

თავად შეხვედრა საინტერესო გამოდგა. ვარსკვლავები ორჯერ უგებდნენ ფრანგებს, რომლებიც ყველაფერთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის (5 და 9 ივნისს) ემზადებოდნენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონებმა ორჯერ გაათანაბრეს.

თავად პაპენმა მსოფლიოს ნაკრებში დაიწყო თამაში, მერე შეცვალეს და მერე კვლავ დაუბრუნდა მოედანს მიშელ პავონის ნაცვლად. ბოლო სახიფათო მომენტი სწორედ პაპენმა შექმნა, როდესაც მისი დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა. მანამდე ხარიხასვე მოარტყა იაპონელმა კაზუ მიურამ და ძელი შეაზანზარა ფრანგმა ვინსენ კანდელამ.



ჟან პიერ პაპენი



REUTERS მარსელიდან

ჟან პიერ პაპენს ცდა არ დაუკლია, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა

მატჩის მთელი შემოსავალი (შეხვედრას 60 ათასი ქომაგი დესწრო) პაპენის მიერ დაარსებულ გულით ავადმყოფ ბავშვთა ფონდში გადაირიცხა. სხვათა შორის, ფრანგი თავდამსხმელის ქალიშვილი ამელიც ამ სენით არის დაავადებული.

ჟან-პიერ პაპენს საფრანგეთის ეროვნულ გუნდში 54 მატჩი ჩაუტარებია და 30 გოლი გაუტანია. მისი ბოლო კლუბი მეორედივიზიონური „გინგამი" იყო.

პაპენს ოთხჯერ აქვს მოპოვებული საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული „მარსელთან" ერთად, 1991 წელს ამ კლუბში თამაშისას ჩემპიონთა თასის ფინალში დამარცხდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან". ბედის ირონიით, 2 წლის შემდეგ, როცა პაპენი უკვე „მილანში" ასპარეზობდა, იტალიელებმა ამავე ტურნირის გადამწყვეტ მატჩში სწორედ „მარსელთან" წააგეს. 1996 წელს მიუნხენის „ბაიერნთან" ერთად უეფას თასი მოიპოვა. უკანასკნელი მაღალი დონის კლუბი, რომელშიც ფორვარდი გამოდიოდა, საფრანგეთის ამჟამინდელი ჩემპიონი „ბორდო" გახლდათ.

ცნობის ფურცელი

ესპანეთში ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — ქვეყნის სუპერთასის მომგები „მალიორკას" მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა განაცხადა, რომ იგი გუნდში აღარ დარჩება, ამასთანავე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ლეგიონერთა შემცირება ბრძანა.

ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ორშაბათს, პალმა დე მალიორკაში, „პლაცა ბარსელონას" 15-ში, „მალიორკას" ოფისში კლუბმა პრესკონფერენცია მოაწყო. მწვრთნელმაც და პრეზიდენტმაც სათქმელი სწორედ იქ თქვეს.

— ექტორ რაულ კუპერი ჩვენთან აღარ იმუშავებს. მან „მალიორკადან" წასვლა ინება, თუმცა მიზეზი არ დაუკონკრეტებია — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა გუილემ რეინესმა.

თავად არგენტინელი მწვრთნელს ბევრი არ უსაუბრია, არც მომავალ კლუბზე უთქვამს რამე, უბრალოდ თქვა, ჩემი „მალიორკადან" წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ესპანეთიდან მივდივარო.

ესპანური პრესის ცნობით, „მალიორკას" უბრალოდ არ შეუძლია, კუპერს ის თანხა გადაუხადოს, რასაც მწვრთნელი ითხოვს. ამიტომ მან კუნძულელებზე გაცილებით მდიდარ კლუბ „ვალენსიაში" წასვლა არჩია.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც 1997 წლის ზაფხულში „მალიორკას" მწვრთნელად კუპერი დაინიშნა, გუნდმა 83-წლიანი ისტორიის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია — ქვეყნის თასის და თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა, ამასთანავე ესპანეთის სუპერთასი მოიგო.

რაც შეეხება მეორე ცნობას პირინეის ნახევარკუნძულიდან, იგი ლეგიონერებზეა.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ესპანეთის პროფესიონალურმა ლიგამ, ფეხბურთელთა ასოციაციამ და ესპანეთის სპორტის სამინისტრომ, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, განაცხადეს — 2000-2001 წლების სეზონიდან პრიმერა დივიზიონის კლუბებში არაევროკავშირის ქვეყნების ფეხბურთელთა რაოდენობა ექვსიდან ხუთამდე შემცირდება. სულ კლუბებს მოედანზე არა უმეტეს სამი არაევროკავშირელის გაყვანის უფლება ექნებათ, ნაცვლად, დღევანდელი ოთხისა.

ექტორ რაულ კუპერი

CANAL+ იტალიაში შეიჭრა

რუპერტ მერდოკის კომპანია NEWS CORP EUROPE-მა და მისმა პარტნიორებმა იტალიურ ტელევიზიას 130 მილიარდი ლირა გადაუხადეს და სერია A-ს რამდენიმე კლუბის აქციათა 65 პროცენტი მოიპოვეს.

ამ გარიგების შედეგად, რომელიც 2005 წლამდე იმოქმედებს, მერდოკის კომპანიამ ტელეტრანსლაციის 35 პროცენტი დაისაკუთრა. 18 პროცენტს იტალიური CECCHI GORI GROUP და SOCIETA DIRITTI SPORTIVI ფლობენ, 12-12 პროცენტი „ლაციოს", „პარმას", „ფიორენტინას" და „რომას" ეკუთვნით, ხოლო 35 პროცენტი TELECOM ITALIA-მ შეინარჩუნა.

სერია A-ს მატჩების ტელეტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად მრავალი ცნობილი კომპანია იბრძოდა, მათ შორის ფრანგული CANAL+. იგი თანახმა იყო, 2 ტრილიონი ლირა გადაეხადა იმ შემთხვევაში, თუ იტალიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა მატჩს ის გააშუქებდა. მაგრამ გარიგება არ შედგა.

მიუხედავად ფრანგული სატელევიზიო გრანდის მარცხისა, იგი ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა. CANAL+ გაისად „მილანის", „ინტერის" და „იუვენტუსის" სერია A-ში ჩატარებულ მატჩებს გადმოსცემს.

ეკა ჭკადუა

ფეხბურთის რუკასთან

ხორვატიის თასი მოიპოვა „ოსიეკმა", რომელმაც ფინალში „ციბალიას" 2:1 სძლია. ხორვატიის იუგოსლავიისგან დამოუკიდებლობის ანუ 1991 წლის შემდეგ „ოსიეკმა" პირველად მოიპოვა თასი.

სომხეთის თასის მფლობელი ზედიზედ მეორედ გახდა „ცემენტი", რომელმაც ფინალში „შირაკს" მოუგო 3:2.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ ერიხ რიბეკის თქმით, მოსალოდნელია, ნახევარმცველები — მარიო ბასლერი და ანდრეას მიოლერი გუნდში დაბრუნოს. ამ ფეხბურთელებმა ბოლო შეხვედრები კარგად ჩაატარეს და არაა გამორიცხული, ნაკრებშიც მოვიწვიოთ. ჩემი აზრით, ბუნდესნაკრები მათი დაბრუნებით ნახევარდაცვის ხაზში გაძლიერდება" — განაცხადა რიბეკმა. მისი თქმით, მიუნხენის „ბაიერნში" მოთამაშე ბასლერს და დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველ ანდრეას მიოლერს ორი თვეა, რაც აკვირდება.

იამაიკის ნაკრებმა ინგლისური პრემიერლიგის ნაკრებს 2:1 მოუგო. იამაიკელები, თავიდან, 2:0-ს იგებდნენ.

ალჟირის ჩემპიონატის ტიტული მოიპოვა „მულუდიამ". საამისოდ მან დამატებით დროში 1:0 სძლია „კაბილის".

ბრაზილიელი ფეხბურთელი, სონი ანდერსონი, ექვსი კვირით ჩამოშორდება სარბიელს. იგი დაშავებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ 5 და 9 ივნისს, ამხანაგურ მატჩებში, რომელიც ჰოლანდიის ნაკრებთანაა დაგეგმილი, მონაწილეობას ვერ მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ანდერსონს ეროვნულ გუნდში ერთ წელიწადზე მეტია არ უთამაშია.

თურქულმა „ფენერბაჰჩემ" თანამდებობიდან დაითხოვა გერმანელი მწვრთნელი იოახიმ ლოვი. მას სტამბოლელებთან ორწლიან კონტრაქტზე ჰქონდა ხელი მოწერილი, მაგრამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთ წელიწადს გაძლო.

შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი, იორგენ პეტერსონი მომავალი სეზონიდან „ქაიზერსლაუტერნში" ითამაშებს. 23 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. აქამდე იგი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" თამაშობდა. სატრანსფერო თანხა უცნობია.

ავსტრიის ეროვნული გუნდის ფორვარდი მარიო ჰაასი „გრაციდან" ფრანგულ „სტრასბურში" გადავიდა. 24 წლის მოთამაშემ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

საფრანგეთის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ალი ბენარბია „ბორდოდან" „პარი სენ ჟერმენში" გადადის. მას პარიზელებთან სამწლიანი კონტრაქტისთვის მოუწერია ხელი. გაზეთ „ეკიპის" ცნობით გარიგება ერთი თვის წინ მოხდა, მაგრამ მის შესახებ, ოფიციალურად, ახლა ითქვა. 30 წლის მოთამაშემ „პარი სენ ჟერმენმა" 3,3 მილიონი დოლარი გადაიხადა. გახსენებთ, რომ „ბორდომ", ერთი წლის წინ, ბენარბია „მონაკოსგან" 2,5 მილიონად შეიძინა. ბენარბია წარმოშობით ალჟირელია.

იტალიელი ფორვარდი მარკო სიმონე ფრანგული პსჟ-დან სამშობლოში ბრუნდება. როგორც ამბობენ, მისი ახალი გუნდი იქნება „ფიორენტინა".

ავსტრალიის ჩემპიონი გახდა „სამხრეთ მელბურნი", რომელმაც ფინალში, „ოლიმპიკ პარკზე" „სიდნეი იუნაიტედს" 3:2 მოუგო.

საფრანგეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე, ფაბიენ ბარტეზი „მონაკოში" რჩება. ბარტეზმა მონაკოელთა კლუბის პრეზიდენტ, ჟან-ლუი კამპორასთან შეხვედრის შემდეგ განაცხდა, რომ ამიერიდან ფინანსურად გარანტირებულია და შესაბამისად გუნდის გამოცვლას აღარ აპირებს.

დანიის ჩემპიონატის 31-ე ტურის თამაშები ოთხშაბათს გაიმართა: ოლბორგი — B93 2:0, ლუნგბიუ — ვეილე 2:0, სილკებორგი — ფრემადი 4:1, ერფოლგე — ვიბორგი 4:1, კოპენჰაგენი —ბრონდბიუ 1:0, ორპუსი — AB 3:1. ჩემპიონატს 63 ქულით „ოლბორგი" ლიდერობს. 58 ქულა აქვს მეორე ადგილზე მყოფ „ბრონდბიუს", ხოლო 53 ქულით მესამეზეა კოპენჰაგენის AB.

არგენტინის ნაკრების მცველმა, მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელმა, ხოსე შამოტმა უარი განაცხადა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში კოპა ამერიკაზე მონაწილეობაზე. „ამ სეზონში ძალიან ბევრი ტრავმა მივიღე და ძველებურად რომ ვითამაშო, დასვენება მჭირდება" — განაცხადა შამოტმა.

ფრანგული „მარსელი" უეფამ 500 ათასი შვეიცარიული ფრანკით ანუ 33 ათასი დოლარით დააჯარიმა. მიზეზი: უეფას თასის ფინალამდე, 12 მაისამდე ორი დღით ადრე, ფინალის მასპინძელ ქალაქში, მოსკოვში ჩატარდა თათბირი, რომელზეც ამ მატჩისადმი მიძღვნილი უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. თათბირს, წესითა და რიგით, „მარსელის" წარმომადგენლებიც უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ მათ იგი გააცდინეს.

უნგრეთის ჩემპიონმა მტკ-მ მწვრთნელი გამოცვალა. მომავალი სეზონიდან გუნდს უხელმძღვანელებს 44 წლის ჰოლანდიელი ჰენკ ტენ კატე, რომელიც ადრე „ვიტესსა" და როტერდამის „სპარტას" ედგა სათავეში. იგი თანამდებობაზე შანდორ აგერვარის შეცვლის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მტკ-ს უცხოელი მწვრთნელი არ ჰყოლია.

უკრაინის ჩემპიონატის ორი თამაში გაიმართა ორშაბათს. დნეპროპეტროვსკის „დრეპრმა" „მიკოლაევს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო, ხოლო „პრიკარპატიემ" სტუმრად კიევის ცსკა-ს 2:1 აჯობა.

ინგლისური „ჩელსის" ფრანგი მცველი, მარსელ დესაი შეიძლება „მარსელში" გადავიდეს. „საფრანგეთის ჩემპიონატის შემყურეს ერთადერთ გუნდად, სადაც კაცი შეიძლება გადავიდეს, „მარსელი" მესახება" — განაცხადა დესაიმ, თუმცა დასძინა, რომ მისი გადასვლა-არგადასვლის ამბავი, ჯერ, რამდენიმე კვირის მანძილზე არ იქნება ცნობილი.

შვეიცარიის კლუბ „ბაზელის" მწვრთნელად დაინიშნა კრისტიან გროსი, რომელიც შემოდგომით ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" წასვლის შემდეგ უმუშევარი გახლდათ. ინგლისურ კლუბში გადასვლამდე გროსი ციურიხის „გრასჰოპერს" წვრთნიდა და თან საკმაოდ შედეგიანად — 1994 წელს შვეიცარიის თასი მოაგებინა გუნდს, 1995 და 1996 წლებში კი ქვეყნის ჩემპიონატი.

გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ტომას ჰესლერი დორტმუნდის „ბორუსიიდან" „მიუნხენ 1860"-ში გადავიდა. მიუნხენური კლუბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჰესლერმა მათთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ 32 წლის თავდამსხმელი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 97-ჯერ უთამაშია, დორტმუნდულ კლუბში „კარლსრუედან" გადავიდა.

იტალიის სერია A-ში დარჩენილმა „პერუჯამ" განაცხადა, რომ კლუბს მომავალ სეზონში „ბოლონიას" მწვრთნელი კარლო მაცონე გაწვრთნის. მაცონე იუგოსლავიელ ვუადინ ბოშკოვს შეცვლის, რომელიც სეზონის დასრულებისთანავე გუნდიდან წავიდა.

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერის „ვილიარეალის" პრეზიდენტმა ფერნანდო როიხმა განაცხადა, რომ კლუბის მწვრთნელი ხოსე ანტონიო ირულეგი თანამდებობიდან გათავისუფლებულია.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ახალი სეზონი უმათეუსოდ

ის საბედისწერო ორი წუთი რომ არა, განვლილი სეზონი მიუნხენის „ბაიერნს“ ნამდვილად ტრიუმფალურად ჩაეთვლებოდა. მიხვდებოდით, ისევ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ვსაუბრობთ. თუმცა იმ მატჩში ნაწვნევმა დასანანმა მარცხმა მიუნხენელებს ეს სეზონი ოდნავ გაუუფერულა, თორემ წლეულს „ბაიერნის“ შედეგს უდავოდ წარმატებული ეთქმის. თავად განსაჯეთ, „ბაიერნმა“ ერთი წლით დაკარგული ჩემპიონობა დაიბრუნა, ევროპის ყველაზე პრესტიჟული გათამაშების ფინალში გავიდა და წინ ქვეყნის თასის გადამწყვეტი მატჩიც ელის — 12 ივნისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ ბავარიელებს ბრემენის „ვერდერი“ დაუპირისპირდება.

მარიო ბასლერს და კომპანიას ჩემპიონთა თასის ნაცვლად ყვავილები შერჩათ

შედეგი შედეგად და „ბაიერნის“ შემტევი და ლამაზი თამაში ცალკე აღნიშნას ნამდვილად იმსახურებს. მიუნხენელებმა ჩემპიონატი კარგად დაიწყეს, პირველი ექვსი მატჩი ქულის დაუკარგავად ჩაატარეს და ცხრილს სათავეშიც მოექცნენ. იქიდან კი სულ ერთხელ, ისიც ერთი ტურით, ჩამოქვეითდნენ და ჩემპიონის ტიტული დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მოიპოვეს. გუნდმა ქვეყნის თასზეც კარგად იასპარეზა, ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. რაც შეეხება მესამე ფრონტს — ჩემპიონთა ლიგას, იქ ბავარიელებმა ჯგუფური ტურნირის პირველივე თამაშში სტუმრად „ბრონდბიუსთან“ წააგეს, მაგრამ მერე „ბარსელონას“ ორჯერ ძლევით ფავორიტებშიც გაერივნენ. ეს ყველაფერი კი ახალი მწვრთნელის, ოტმარ ჰიცფელდის დამსახურება გახლდათ, რომელიც გასულ ზაფხულს მივიდა ბავარიულ კლუბში.

„ბაიერნში“ მუშაობას მუდამ ვნატრობდი. ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამისრულდა. აქ ისეთი ფეხბურთელები დამხვდნენ, რომლებსაც ნებისმიერი მწვერვალის დაპყრობა ძალუძთ. საამისოდ მეც მზად ვარ. ყველაფერს გავიღებთ იმისათვის, რომ ქომაგებს უზომო სიხარული მივანიჭოთ“ — თქვა ბავარიელებთან კონტრაქტის გაფორმებისთანავე ჰიცფელდმა და საქმესაც შეუდგა.

მწვრთნელმა, რომელმაც სახელი 1997 წელს „დორტმუნდთან“ ერთად ჩემპიონთა თასის მოგებით გაითქვა, მიუნხენურ კლუბში უმკაცრესი წესრიგი დაამყარა. „ბაიერნი“ მეგობრული და ერთ მუშტად შეკრული გახდა. არადა, მანამდე საკმაოდ არაჯანსაღი სიტუაცია მეფობდა. კლუბს „საფეხბურთო ჰოლივუდსაც“ კი უწოდებდნენ, თუმცა ჰიცფელდის მისვლამ ყველაფერი შეცვალა. მთელი სეზონის განმავლობაში „ბაიერნში“ ერთი პატარა უსიამოვნებაც კი არ მომხდარა. ფეხბურთელებსა თუ ხელმძღვანელობას შორის სრული ჰარმონია სუფევდა, რაც ნათელი მომავლის წინაპირობას ქმნიდა. ის საბედისწერო ორი წუთი რომ არა, ასეც იქნებოდა და მიუნხენიც ისე იზეიმებდა გამარჯვებას, როგორც 23, 24 და 25 წლის წინ. მაშინ „ბაიერნი“ ზედიზედ სამჯერ დაეუფლა ჩემპიონთა თასს.

26 მაისის შემდეგ ბევრს ეგონა, კლუბის საქმეები უკან-უკან წავიდოდა. „მიუნხენის „ბაიერნი“ ამ შოკიდან შესაძლოა, ვერც მომავალ ჩემპიონატში გამოვიდეს“ — დაწერა გასულ პარასკევს გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“. ამ აზრს ბევრი იზიარებდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჰიცფელდი კარგი ფსიქოლოგიც ყოფილა. შაბათს, ჩემპიონატის ბოლო ტურში სტუმრად, „ლევერკუზენთან“ მიუნხენელებს იმ მატჩის ფასი ადარც ეტყობოდათ.

„ფეხბურთი ხანდახან ულმობელია. გგონია, მოიგე და უცებ აგებ. ასეთი მარცხი არასდროს განმიცდია. გუნდმა ჩინებულად ითამაშა, თუმცა ბედმა გვიმუხთლა. ვიცი, ძალიან ძნელია ამის დავიწყება, მაგრამ უნდა შევძლოთ. წინ ხომ გერმანიის თასის ფინალი და მძიმე ახალი სეზონი გველის“ — განაცხადა „მანჩესტერთან“ თამაშის შემდეგ მიუნხენელთა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა. „კაიზერ ფრანცის“ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ იგი ბედთან შერიგებას არ აპირებს. ეს გერმანელებს არასოდეს ჩვევიათ.

არ შეიძლება, წლევანდელ „ბაიერნზე“ რაიმე დაწერო და ორი ფეხბურთელი არ გამოყო. ლოთარ მათეუსმა და შტეფან ეფენბერგმა მთელი სეზონი მეტად სტაბილურად ჩაატარეს. „ეფე“ ნახევარდაცვის ბურჯი გახლდათ, მათეუსი კი — დაცვისა. ვისაც არ ახსოვს, 26 მაისი გაიხსენოს.

ამ წერილს აქვე დავასრულებდით, მაგრამ გუშინ საღამოს ბეკენბაუერმა ერთი ახალი ამბავი გაავრცელა. პრეზიდენტის თქმით, მათეუსის ამერიკულ „მეტროსტარზში“ გადასვლას, ლოთარის კონტრაქტზე ხელმოწერაღა აკლია. „მეტროსტარზი“ ალბათ გახსოვთ. ამ გუნდში, რომელსაც ცნობილი იუგოსლავიელი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი ხელმძღვანელობს, ცოტა ხნის წინ დავით მუჯირი გახლდათ გასინჯვაზე.

ჩემპიონატის ბნელი დასასრული

ახლახან დამთავრებულ გერმანიის ჩემპიონატში ქართველ ქომაგთა ყურადღება უპირველეს ყოვლისა „ფრაიბურგისკენ“ იყო მიპყრობილი. პირველ ბუნდესლიგაში სეზონის წინ დაბრუნებულ კლუბში ხომ საქართველოს ეროვნული ნაკრების სამი ფეხბურთელი თამაშობს. ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გუნდმა ჩემპიონატის დაწყების წინ მოკრძალებული მიზანი დაისახა. „ფრაიბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ვოლკერ ფინკემ თავიდანვე თქვა, ჩვენი მიზანი მეთხუთმეტე ადგილზე გასვლაა. ეს საფეხური კი კლუბს პირველ ბუნდესლიგაში ადგილს უნარჩუნებდა. საბოლოოდ „ფრაიბურგმა“ მე-12 ადგილი დაიკავა, თუმცა ეს დიდი ოფლისღვრის შედეგად შეძლო. არადა, სამხრეთ გერმანიის პატარა ქალაქის გუნდმა ჩემპიონატი მართლაც კარგად დაიწყო, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი იაშვილმაც შეიტანა. მისი გოლების წყალობით „ფრაიბურგი“ ცხრილის პირველ ნაწილშიც დამკვიდრდა. მალე ქართველმა თავდამსხმელმა მძიმე ტრავმა მიიღო და თანაგუნდელებს გამოაკლდა, რამაც კლუბზე უარყოფითად იმოქმედა. მიუხედავად ამისა, პირველი წრის შემდეგ „ფრაიბურგს“ გავარდნა მაინც არ ემუქრებოდა. მაგრამ დაიწყო მეორე წრე და მასთან ერთად კრიზისიც, რომელსაც ფინკეს შეგირდებმა 24 აპრილს დააღწიეს თავი, როცა სტუმრად „კაიზერსლაუტერნს“ სძლიეს. მანამდე ჩატარებულ 10 მატჩში კი სულ 6 ქულა აიღეს და მეორე ბუნდესლიგის ზღურბლზე აღმოჩნდნენ. ამ პერიოდში გუნდს ყველაზე მეტად მაღალი კლასის თავდამსხმელი აკლდა, რომელიც კობიაშვილის, ცქიტიშვილის თუ სხვათა გარღვევებს დააგვირგვინებდა. თუმცა „ფრაიბურგს“ გაუმართლა, „ლაუტერნის“ შემდეგ „აინტრახტსაც“ მოუგო და მდგომარეობაც გამოისწორა, მაგრამ დროებით. მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი ბოლო ტურისთვის გადაიდო, სადაც სტუმრად „ნიურნბერგს“ უნდა სწვეოდა.

მოდით, ის ვთქვათ, რასაც ბევრი ფიქრობს (მით უმეტეს, ამას გერმანელი ჟურნალისტებიც ამტკიცებენ), ბოლო ტურში რამდენიმე მატჩი, მათ შორის „ნიურნბერგი“ — „ფრაიბურგი“, მთლად სუფთა თამაში არ ყოფილა. შესაძლოა, გერმანელ კოლეგებთან ერთად ვცდები, მაგრამ ეს თუ ასეა, ჩათვალეთ, „ნიურნბერგი“ ქართველთა გუნდს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდება, რადგან უკანასკნელ წუთებში მეორე გოლი არ გაატანინა. მატჩი ფრედ რომ დასრულებულიყო, მაშინ ორივე გუნდი რჩებოდა, მაგრამ აქ ერთი ფაქტიც არ უნდა დაგვავიწყდეს, მეორე საეჭვო მატჩი — „აინტრახტი“ — „ლაუტერნი“, ნებისთ თუ უნებლიედ, რამდენიმე წუთით გვიან დასრულდა და ადვილი შესაძლებელი იყო, ფრანკფურტელებს მეექვსე გოლიც გაეტანათ. ამ შემთხვევაში კი „ფრაიბურგი“ ვარდებოდა. რა გამოდის? თუ ეს ლოგიკა მართალია (საფუძველსმოკლებული ნამდვილად არ გახლავთ), გამოდის, რომ ფინკემ ნიურნბერგელი კოლეგა გაწირა.

ასეა თუ ისე, „ფრაიბურგი“ გაისადაც პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს. ბოლო თამაშის შემდეგ, ფინკე მოგების მიუხედავად ხასიათზე არ იყო, მაგრამ ჟურნალისტებისთვის მაინც მოიცალა და იცით, რა თქვა? „იმედი მაქვს, ფრანკფურტში თამაში ჩაწყობილი არ ყოფილა. ჩვენ წლეულს დასახულ მიზანს მივაღწიეთ. თანაც გუნდმა გამოცდილება მიიღო. ვიმედოვნებ, მომავალ ჩემპიონატს რამდენიმე საფეხურით მაღლა დავასრულებთ. მთავარია, ისევ ტრავმებმა არ გაგვტანჯოს“ — ბრძანა მან.

ფრანკფურტის „აინტრახტს“ კი შეუძლია, დანაპირები შეასრულოს. კერძოდ, 8 მარტს კლუბს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, მაგრამ თავის დროზე იუბილე არ გადაიხადა. „ჯერ პირველ ბუნდესლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ და შემდეგ ორივე ფაქტს ერთად აღვნიშნავთ“ — განაცხადა მარტის დასაწყისში კლუბის პრეზიდენტმა როლფ ჰელერმა. „აინტრახტზე“ ცოტა ხნით ადრე საუკუნოვანი იუბილე ბრემენის „ვერდერსაც“ ჰქონდა, რომელმაც ასევე გაჭირვებით შეძლო ბუნდესლიგაში დარჩენა. ისე, „ვერდერის“ გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან გუნდი ქვეყნის თასის ფინალშია გასული და „ბაიერნთან“ მარცხის შემთხვევაშიც უეფას თასზე ითამაშებს.

ჩემპიონატის მთავარი სიურპრიზის შემოქმედი კი ბერლინის „ჰერტა“ გახდა. ბერლინელებმა მთელი სეზონი სტაბილურად, ძალიან კარგად ჩაატარეს და თავის ისტორიაში საუკეთესო შედეგსაც მიაღწიეს. ჰერტელებმა ბრინჯაოთიც დაიმშვენეს მკერდი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშიც გაინაღდეს, რაც უპირველეს ყოვლისა ორი პიროვნების დამსახურება გახლავთ. მიხაელ პრეეტცმა 23 გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირის წოდება მოიპოვა, ხოლო გუნდის თავკაცი იურგენ რიობერი ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელობაზეც აცხადებს პრეტენზიას.

ყველა უფრო მეტს ელოდა კრისტოფ დაუმის „ლევერკუზენისგან“, რომელმაც მიუნხენის „ბაიერნს“ კონკურენცია მხოლოდ პირველ წრეში გაუწია, მეორეში კი შინ თუ გარეთ ბევრი ქულა დაკარგა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც ნაადრევად შეწყვიტა. მეორე წრეში „ლევერკუზენს“ ვერც საუკეთესო ფეხბურთელის ულფ კირსტენის ფორმაში შესვლამ უშველა. კირსტენმა სეზონის ბოლოს გოლების გატანას კი მოუხშირა, მაგრამ პრეეტცს ველარ აჯობა.

შარშანდელმა ჩემპიონმა „კაიზერსლაუტერნმა“ ბოლო ტურებში იმდენი მოახერხა, განაღდებული ჩემპიონთა ლიგის საგზური დორტმუნდის „ბორუსიას“ გადაულოცა. ოტო რეჰაგელის გუნდს ბოლო ტურში სტუმრად „აინტრახტთან“ ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ საეჭვოდ დამარცხდა. რატომ საეჭვოდ, ეს ზემოთ უკვე ვთქვით.

მართლაც საბრალონი არიან ფრიდელ რაუში და მისი „ნიურნბერგი“. ფინკესგან განწირულმა მწვრთნელმა თამაშის შემდეგ გუნდიდან თავისი წასვლის შესახებ განაცხადა, მაგრამ გუნდის პრეზიდენტმა მიხაელ როტმა გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ცნობისათვის, რაუშმა ჩემპიონატი „გლადბახში“ დაიწყო, მაგრამ იქიდან ცუდი შედეგებისთვის გამოაძევეს, თუმცა „გლადბახს“ ამით მაინც არაფერი ეშველა.

ისე, რაუშის ბედი წლეულს კიდევ თერთმეტმა მწვრთნელმა გაიზიარა. აღსანიშნავია, რომ „შტუტგარტს“ და „ვერდერს“ სათავეში რიგრიგობით ოთხი მწვრთნელი ედგა. „შტუტგარტს“ — შეფერი, როლფი, ედრიონი და რანგნიკი. „აინტრახტს“ — ერმანტრაუტი, ლიპერტი, ფანცი და ბერგერი.

ვანო ოძროპირიძე

№	გუნდი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	შინ						სტუმრად					
1	ბაიერნი (2)		2:0	1:1	2:2	4:0	3:0	5:3	3:1	3:1	1:1	2:0	2:0	1:0	6:1	3:1	2:0	4:2	4:2	34	24	6	4	76:28	78	14	3	0	48:15	45	10	3	4	28:13	33
2	ლევერკუზენი (3)	1:2		2:2	3:1	2:2	3:0	1:2	2:0	1:1	1:1	0:0	1:1	2:0	3:1	2:1	3:0	2:0	4:1	34	17	12	5	61:30	63	9	6	2	33:15	33	8	6	3	28:15	30
3	ჰერტა (11)	1:0	0:1		3:0	1:1	2:0	6:1	1:3	2:1	2:0	2:0	1:0	1:0	2:0	3:1	3:0	4:1	4:1	34	18	8	8	59:32	62	14	1	2	38:10	43	4	7	6	21:22	19
4	დორტმუნდი (10)	2:2	1:0	0:3		1:0	2:1	2:1	2:0	3:1	3:0	3:0	2:1	2:1	2:0	3:1	3:0	0:1	1:1	34	16	9	9	48:34	57	14	2	1	35:10	44	2	7	8	13:24	13
5	ლაუტერნი (1)	2:1	0:1	4:3	1:0		1:1	1:0	3:0	1:1	4:1	1:1	0:2	4:0	3:2	2:1	2:0	2:3	2:1	34	17	6	11	50:47	57	11	3	3	33:18	36	6	3	8	17:29	21
6	ვოლფსბურგი (14)	0:1	1:0	2:1	0:0	2:1		4:1	4:2	1:0	0:0	3:2	1:1	2:4	1:1	2:0	1:1	4:1	7:1	34	15	10	9	54:48	55	10	5	2	35:16	35	5	5	7	19:32	20
7	ჰამბურგი (9)	0:2	0:0	0:4	0:0	2:0	1:1		4:1	3:0	2:2	3:1	2:1	1:1	1:0	0:1	2:0	1:0	3:0	34	13	11	10	47:46	50	9	5	3	25:14	32	4	6	7	22:32	18
8	დუისბურგი (8)	0:3	0:0	0:0	3:2	3:1	6:1	2:3		1:1	1:2	2:0	1:0	2:0	4:1	2:1	1:1	2:0	2:2	34	13	10	11	48:45	49	9	5	3	32:18	32	4	5	8	16:27	17
9	მიუნხენი (13)	1:1	0:2	2:0	2:0	1:2	2:3	0:0	0:0		4:5	1:1	2:0	1:3	2:1	4:1	1:2	2:1	3:1	34	11	8	15	49:56	41	7	4	6	28:23	25	4	4	9	21:33	16
10	შალკე (5)	1:3	0:1	0:0	1:1	0:2	2:0	1:4	2:0	2:2		1:0	1:1	1:2	1:0	2:3	2:2	2:2	1:0	34	10	11	13	41:54	41	5	5	6	20:23	21	5	5	7	21:31	20
11	შტუტგარტი (4)	0:2	0:1	0:0	2:1	4:0	1:2	3:1	0:0	0:1	2:1		3:1	1:0	1:1	2:0	0:0	4:2	2:2	34	9	12	13	41:48	39	8	5	4	25:15	29	1	7	9	16:33	10
12	ფრაიბურგი (-)	0:2	1:1	0:2	2:2	0:1	0:0	0:0	2:2	1:2	0:2	2:0		0:2	3:0	2:0	1:0	1:1	2:1	34	10	9	15	36:44	39	5	6	6	17:18	21	5	3	9	19:26	18
13	ვერდერი (7)	0:1	2:2	2:1	1:1	0:1	0:1	0:0	1:1	1:4	1:0	2:2	2:3		0:3	1:2	2:3	1:1	4:1	34	10	8	15	41:47	38	4	6	7	23:24	18	6	2	9	18:23	20
14	ჰანზა (6)	0:4	1:1	1:2	2:0	2:0	3:3	0:1	3:0	4:1	2:2	3:0	0:2	2:1		2:2	1:1	3:0	1:1	34	9	11	14	49:58	38	7	6	4	30:22	27	2	5	10	19:36	11
15	აინტრახტი (-)	1:0	2:3	1:1	2:0	5:1	0:1	2:2	0:0	2:3	1:2	1:1	3:1	0:2	2:2		3:2	1:0	0:0	34	9	10	15	44:54	37	6	6	5	26:21	24	3	4	10	18:33	13
16	ნიურნბერგი (-)	2:0	2:2	0:0	0:0	1:1	1:1	1:1	0:2	1:5	3:0	2:2	1:2	1:1	2:2	2:2		2:2	2:0	34	7	16	11	40:50	37	3	11	3	23:23	20	4	5	8	17:27	17
17	ბოხუმი (12)	2:2	1:5	2:0	0:1	1:2	0:2	2:0	0:2	2:0	1:2	3:3	1:2	2:0	2:3	0:0	0:3		2:1	34	7	8	19	40:65	29	5	3	9	21:28	18	2	5	10	19:37	11
18	გლადბახი (15)	0:2	2:8	2:4	0:2	0:2	5:2	2:2	0:2	2:0	3:0	2:3	3:1	0:1	1:1	1:1	0:2	2:2		34	4	9	21	41:79	21	4	4	9	25:35	16	0	5	12	16:44	5

ბომბარდირი

მიხაელ პრეეტცი

კლუბი — ჰერტა
პოზიცია — თავდამსხმელი
დაბადების თარიღი — 1967 წლის 17 აგვისტო
დაბადების ადგილი — დიუსელდორფი (გერმანია)
„ჰერტაში“ გადავიდა 1997 წელს „ჯატენშაიდიდან“.
ჩემპიონატში გაიტანა 23 გოლი.

ვლადიმერ სტეფანია ველოსიპედის პედლებს ატრიალებს

ამერიკაში გოგოს თუ არ იცნობ, ზედაც არ უნდა შეხედო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩვეული, მხოლოდ მართლაც რჩეულთათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ხვდება სახელოვანი ვლადიმერ სტეფანია „სარბიელს“. დაღლილობა რას მიქვია, საუბარზე უარს როგორ გეტყვით, ეგ არის, ძალიან მომშივდა და იქნებ ჩემთან, შინ წამობრძანდეთ, ცოტა წავიხემსოთ და მერე ჩემი თავი გენაცვალოთო, ალალად გვითხრა.

...უკვე შინ ვართ, სტეფანიების ოჯახში. დიასახლისი სახლში არ არის (ვოვას დედა და ძმა სლოვენიაში არიან), ამიტომ ბატონი ზაური დატრიალდა და სახელდახელოდ ჩინებული სუფრა გაშალა. ვოვამ ქართული კერძებით გული რომ იჯერა, მზად ვარ, რაზეც გნებავთ ვისაუბოროთ, მკითხეთ და გიპასუხებთო, თქვა...

ქართველი ვლადიმერ სტეფანია და ამერიკული „სიეტლ სუპერსონიქსი“, ჩვენებური კალათბურთელი და მისი პირველი პროფესიული სეზონი, ყოველივე ამის სტეფანიასეული შეჯამება-შეფასება. აი, ჩვენი ძირითადი სასაუბრო თემა.

— თავდაპირველად ის ვთქვათ, სამშობლოში რამდენი ხნით ჩამოხვედით და ახლო მომავალში რა გეგმები გაქვთ.

— სიეტლში ივლისის დასაწყისისთვის უნდა გავფრინდე. ამ დროს იქ საზაფხულო თამაშები იწყება. მართალია, ეს უფრო გასართობი რამაა, მაგრამ ახალბედა კალათბურთელისთვის ამ შეხვედრებში მონაწილეობა აუცილებელია. მანამდე კი მთელი ერთი თვეა და ამ დროს როგორც მინდა, ისე გავატარებ. სიმართლე გითხრათ, ეს ჯერ არ გადამიწყვეტია.

— „სონიქსისთვის“ სეზონი მაშინ დამთავრდა, როცა გუნდი პლეი ოფის მიღმა დარჩა. რამდენადაც ვიცი, მას შემდეგ აღარც გივარჯიშია. თუ ასეა, აქამდე რატომ არ ჩამოხვედით?

— წამოსვლა მეორე დღესვე შემეძლო, მაგრამ არ ვიჩქარე. ამის მიზეზი ფეხის ტრავმა იყო. ყოველდღე ექიმთან დავდიოდი, ვმკურნალობდი. საქმეს შუა გზაზე ხომ არ მივატოვებდი? კურსი ჩავამთავრე და წამოვედი.

— გავიგეთ, აქეთობისას სლოვენიაშიც შეგივლიათ. მხოლოდ ოჯახის წევრების მოსანახულებლად ჩახვედით ლიუბლიანაში, თუ სხვა რამ საქმეც გჭონდათ?

— „ოლიმპიას“ ექიმს შევხვდი. ჩემი სლოვენიაში ჩასვლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. მან ყველაზე კარგად იცის ჩემი ორგანიზმისა, ხუთი წელი თვალყურს მადევნებდა. ვიფიქრე, ჩავალ, მუხლებს გავასინჯებ, იქნებ რაიმე მირჩიოს-მეთქი.

— გამოდის, ამერიკელ მკურნალებს მაინცდამაინც არ ემადლიერებით.

— არა, არც მთლად ასეა. უბრალოდ, იქ ყველაფერს მანქანა აკეთებს. ტექნიკა აქვთ ისეთი, რომ ექიმებს თითქმის ეკარგებათ ფუნქცია. მე კი ამ მანქანებს ვერაფერი გავუგე, ვიფიქრე, ისევ ნაცად ხერხს მივმართავ, იქნებ ასე უფრო მოვირჩინო-მეთქი მუხლები.

— ბოლოს და ბოლოს, რა დაადგინეთ, რა გჭირთ?

— ვინც მნახა, ყველა მეუბნება, ნუ ნერვიულობ, საშიში არაფერია, მალე გაგივლისო. არადა, როგორ გინდა, არ ინერვიულო? ჯანმრთელი თუ არ ვიქნები, გამოვა რამე?

ისე, ასეთი რამ უფრო ტანმაღალ მოთამაშეებს ემართებათ. მეც კარგა ხანია, ეს პრობლემა მაწუხებს და დაახლოებით მიზეზსაც ვხედავ. საქმე ისაა, რომ ბარძაყის უკანა კუნთები წინასთან შედარებით ნაკლებად მაქვს განვითარებული. ამტომაც სირბილისას, მოძრაობისას მუხლები ბოლომდე იშლება და ძალიან იტვირთება, რასაც ველარ უძლებს. სლოვენიელმა ექიმმაც სწორედ ეს მითხრა, ფეხის უკანა კუნთები მეტად უნდა დატვირთო, მოაღონიერო და ნახავ, ყველაფერი კარგად იქნებაო.

— რაკიღა ის მაინც გაგიგიათ, რა და როგორ უნდა გაკეთოთ, რაღა გიჭირთ, იმრომებთ და, ალბათ, მიზანსაც მიაღწევთ. ამ თემაზე საუბარი ისედაც ძალიან გაგვიგრძელდა. სხვა კი თითქმის არაფერი გითქვამთ. მოდით, ახლა განვლილ სეზონს გადავავლოთ თვალი.

— პირველი სეზონის კვალობაზე უკმაყოფილო არ ვარ. ანდა, უკმაყოფილო რატომ უნდა ვიყო, არ მესმის. ის, რომ თამაში ხშირად არ მიწევდა, ბევრს არაფერს ნიშნავს. ვარ იდეალურ პირობებში, რაზეც ბავშვობისას მიოცნებია, თითქმის ყველაფერი მაქვს. ვიცი, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ჰოდა, როგორც მოვინდომებ, ისე იქნება. ვიშრომებ? კიდევ უფრო მეტს მივაღწევ, თუ არადა, რაც ვარ, მალე ისიც აღარ ვიქნები.

— თვითკმაყოფილებას რომ გრძნობთ, ერთი მხრივ, კარგიცაა, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მიღწეულს დასჯერდებით?

— ასეთი რამ გამორიცხულია. შენი თავის მტერი უნდა იყო კაცი, ასე რომ ფიქრობდე. კმაყოფილებაში მე ფუფუნება როდი ვიგულისხმე. ფული რა არის? დღეს გაქვს, ხვალ აღარ გექნება, ფული უნდა გერგებოდეს ადამიანს. მთავარია, შენ თავთან იყო მართალი. მეც ის მახარებს, რომ ყოველივეს ჩემი შრომის ფასად მივაღწიე. ახლა რა ვქნა? ფეხი ფეხზე გადავიდო და გული დავიარხეინო? არა, ასე არ მოხდება. ბოლომდე უნდა ამოწურო ჩემი შესაძლებლობები, სხვა თუ არაფერი, წმინდა სპორტული ინტერესი მამოძრავებს.

საერთოდ, ჩემი დღევანდელი ყოფა და ცხოვრების ამერიკული წესი ერთ დიდ და კარგად მომართულ ველოსიპედს მაგონებს. მე ზედ ვზივარ და პედლებს ვატრიალებ, ამასობაში კი წინ მივდივარ. ახლა მთავარია, ჯანმა არ მიმტყუნოს, უფრო მოვღონიერდე, თორემ ველოსიპედს მერე სხვა მოახტება და იქნებ ისე გააქანოს, თვალიც ვერ მივადევნო. მგონი, მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ.

— მიგიხვდით და მერე როგორ. თქვენი კარგად მესმის და ყველაფერში გეთანხმებით. ეგ არის, ქართველი კაცის მენტალიტეტს არ ახასიათებს ის, მთავარი, რაზეც თქვენ ახლა საუბრობთ. ფაქტია, თქვენხაირად ჩვენში ცოტანი თუ აზროვნებენ.

— მენტალიტეტი იქით იყოს. ასეთი რამ ჩვენთან თუ არსებობს, ისიც საკითხავია. ეს საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. სხვა თემა მოვძებნოთ.

— მოდით, ისევ სიეტლს დავუბრუნდეთ. იქაურ ცხოვრებას როგორ შეეგუეთ?

— ჩვეულებრივად, ჩემთვის ჯარ წუნარად, უზმაუროდ. სხვანაირად იქ ვერ იქნები, უფრო სწორად, სურვილი არ გიჩნდება. მით უმეტეს, თუ კალათბურთელი ხარ და მთელი ქალაქი გიცნობს, ცდილობ, ყურადღების ცენტრში არ მოხვდე. ძირითადად თამაშებით და ვარჯიშით ვარ დაკავებული. ბარში იშვიათად თუ შევივლი, ხანაც იქაურ მეგობრებს ოჯახში ვესტუმრები. ვვაზშმობთ, ვსაუბრობთ...

— რაიმე ისეთი ხომ არ შეგემთხვათ, რამაც გადაგაწყვეტინათ, ხალხმრავლობას თავი აარიდოთ?

— იყო რაღაც-რაღაცეები, თუმცა მოსაყოლად არც ღირს. უბრალოდ, ხალხია ისეთი, ცდილობენ, რამენაირად პროვოკაცია მოგიწყონ, ანკესზე წამოგაგონ. იციან, რომ ცნობილი კაცი ხარ, ფული გაქვს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, გადამხდელი ხარ. მაგათაც მეტი რა უნდათ.

თანაც, ხომ იცით, კანონები აქვთ ისეთი, შეიძლება ჭკუიდან გადახვიდე. ამას წინათ მეგობარმა მითხრა, ერთ-ერთ შტატში მამაკაცმა ქალს 30 წამზე მეტ ხანს თუ უყურა, მანდილოსანს შეუძლია, სასამართლოში უჩივლოს, აქოდა, მორალურად შეურაცხმყვესო.

— ახლა არ მითხრათ, ეს რომ გავიგე, ქალისკენ აღარც გამიხედიაო.

— მთლად ეგრე, აბა, როგორ იქნება, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა იყო. გოგოს თუ არ იცნობ, ზედაც არ უნდა შეხედო. იქაურები ყველაფრის მკადრებლები არიან.

— ჩამოსულებიც იქნებიან, ისეთები, თქვენ რომ გაგიგებენ და ალალად დაგაფასებენ.

— არიან რუსები, ალბანელები, იუგოსლავიელები, მაგრამ ამერიკელების შემყურე, ისინიც მოწამლულები არიან. ყველა გამორჩენაზე ფიქრობს, როგორ წავღლიტოო, თავში სულ ეს უტრიალებთ. რა ვიცი, მოსაწონი იქ ჯერ ვერავინ ვნახე...

— თავად გუნდში როგორი ატმოსფეროა. განსაკუთრებულად თუ მეგობრობთ ვინმესთან?

— ურთიერთობა ყველასთან კარგი მაქვს. რაც მართალია, მართალია, მეგობრული გუნდია, თუმცა ქართველებმა რომ ძმაკაცობა ვიცით, იქ ეერე არ არის. ყველაზე ახლოს მაინც შრემპფთან ვარ. კარგი ბიჭია.

— ჟურნალისტები ხომ არ გაბეზრებენ თავს?

— არა, მაგრამ დაგეშილები არიან. მტრისას, თუ ოდნავ ფეხი გადაგიბრუნდა, მეორე დღესვე საქვეყნოდ გამოგაჭენებენ. მთელ ქალაქში ჩასაფრებულები არიან და თავიანთ მომენტს ელიან. გინდა, არ გინდა, ქუჩაშიც კი დაბული ხარ.

ისე, ყოველი თამაშის შემდეგ ათი წუთი ჟურნალისტებს ეთმობათ. ქალი, კაცი, მნიშვნელობა არა აქვს, შემოგივარდება გასახდელში, შენ კი ხშირად თითქმის შიშველს გიწევს ინტერვიუს მიცემა. ათი წუთი რომ გავა, შეგიძლია, ხმა აღარ გასცე, მაგრამ იქამდე უარს ვერ ეტყვი. ცოტა უხერხულია, მაგრამ რას იზამ, წესია ასეთი.

— ვოვა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩვენი ნაკრების მარცხის ამბავს უკვე გაიგებდით. მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც ერთხმად აღიარებდნენ, შვეიცარიაში სტეფანია რომ გვყოლოდა, სამეულში უეჭველად მოვხვდებოდითო.

— გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, იქნებ ასეც ყოფილიყო, მაგრამ ჩემი ჩამოსვლა ხომ, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი, მუხლები მტკიოდა და იქ თამაშს ფიზიკურად ვერ შევძლებდი. მეორეც: ამისათვის ჩვენი კალათბურთის ფედერაციას „სონიქსისთვის“ დაზღვევის ფული უნდა გადაეხადა. ეს თანხა კი, როგორც ვიცი, სულ ცოტა, 25 ათასი დოლარი იყო. კლუბის დირექტორმა მითხრა კიდეც, შენი მუხლებით თამაში ახლა ძალიან სარისკოა, მაგრამ თუ მაინც არ იშლი, კი, ბატონო, წადი, ითამაშე, ოღონდ დაზღვევის ფული წინასწარვე უნდა მივიღოთო. ამას ჩემი კომენტარი, ვფიქრობ, აღარ სჭირდება: ჩვენი ფედერაციისთვის ეს თანხა საოცნებოა...

გიორგი გიკაშვილი
ბადრი კეთილაძის ფოტოები

შინ მისვლისთანავე სტეფანიამ ქართულ გაზეთებს გადახედა, „სარბიელის“ მკითხველი კი ამ ავტოგრაფით მოიკითხა:

ვლადიმერ სტეფანია	თამ.	წუთი	2-ქულიანი	3-ქულიანი	საჯარიმო	მოხსნა	პასი	ჩაჭრა	დაფარ.	ქულა
1998-1999. სიეტლი	23	313	53-125	0-3	21-40	75	12	10	23	127

ერთმანეთს მონატრებული ბედნიერი მამა-შვილი: ზაურ და ვლადიმერ სტეფანიები

ვლადიმერ სტეფანიამ მშობლიური და თანაც შინაური კერძების გემოც გაიხსენა

28 ტური

ანონსი

2 ივნისი. ვერის ბაღი. 14 საათი

მაკაბი — თსუ

თსუ-მ იკითხოს, თორემ წლეულს „მაკაბიმ“ ბრძოლა უკვე შეწყვიტა. უფრო სწორად, ამ გუნდს საომარი არც არაფერი დარჩა, რადგან გათამაშების ცხრილში მეშვიდე საფეხურზე გამგრეგულ „მაკაბის“ ქულები ისე აქვს ნაგროვები, აწი ძალიანაც რომ მოინდომოს, ვეღარ აღწევდება. ისევე, როგორც ზურგს უკან მდგომი მეტოქეებისთვის არის მიუწვდომელი.

ერთი სიტყვით, „მაკაბი“ მერვე ეროვნულის მეშვიდეადგილოსანია და დარჩენილი შეხვედრებიც ამ გუნდისთვის მხოლოდ ფორმალურია.

...ეი, თსუ კი, ოთხეულში მოხვედრა რომ ამოუჭრია გულში, დღეს უეჭველად ორ ქულას გეგმავს, რაც ბუნებრივია. ჯერ ერთი, სტუდენტთა უპირატესობა შემადგენლობის მხრივაც აშკარაა და მოწინააღმდეგის ძლევა არც უნდა გაუჭირდეთ. მეორეც, პლეი ოფზე მეოცნებე თსუ-სთვის ახლა თითოეულ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მწვრთნელ-მოთამაშეებმა კარგად იციან, რომ პატარა ფეხის გადაბრუნებაც კი ძვირად დაუჯდებათ — ოთხეულს მიღმა აღმოჩნდებიან.

...ეს მაინც, თსუ ამ წყვილში უდავო ფავორიტია და ვფიქრობ, წარმატებაში თავად კალათბურთელებსაც არ ეპარებათ ეჭვი. ახლა, წესით, სტუდენტობა მომდევნო, „აზოტთან“ გასამართ შეხვედრაზე უფრო უნდა ზრუნავდეს, რუსთაველებსაც უნდა აჯობონ, თორემ ვიცე-ჩემპიონებთან წარუმატებლობის შემთხვევაში დღევანდელ მოგებასაც ფასი დაეკარგება.

27 ტური

ანონსი

2 ივნისი. ვერის ბაღი. 15. 30 საათი

კოლხა — სდასუ

ჩემპიონატის მიწურულს ორივე გუნდი უმიზნოდ დარჩა. წინა გათამაშების ბრინჯაოს პრიზიორი სდასუ წლეულს საერთოდ პლეი ოფშიც ვერ მოხვდა და მეექვსე ადგილს დასჯერდა. „კოლხას“ კი მერვე ადგილს ვეღარავინ შეეცილებოდა.

ასე რომ, ამ გუნდების შეხვედრაში დიდ შეხლა-შემოხლას არც უნდა ველოდოთ. მაინცდამაინც არც ქომაგი უნდა იწვოდეს ამ დაპირისპირების ნახვის სურვილით.

საკითხავი ერთიაა: შეძლებს ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებული „კოლხა“ სდასუელების დამარცხებას? — აქამდე ხომ ასეთი რამ არასდროს მომხდარა.

ქალთა ევროპის ჩემპიონატი (პოლონეთი)

A ჯგუფი

28 მაისი: ლატვია — ხორვატია 76:71, რუსეთი — გერმანია 65:48, საფრანგეთი —სლოვაკეთი 56:43

29 მაისი: ხორვატია — გერმანია 73:63, რუსეთი — საფრანგეთი 59:53, სლოვაკეთი — ლატვია 68:43

30 მაისი: სლოვაკეთი — გერმანია 75:61, საფრანგეთი — ლატვია 63:56, რუსეთი — ხორვატია 73:50

B ჯგუფი

28 მაისი: ჩეხეთი — იტალია 67:52, ლიტვა — პოლონეთი 79:72, იუგოსლავია — ბოსნია 93:48

29 მაისი: ლიტვა — იტალია 63:57, პოლონეთი — იუგოსლავია 81:74, ჩეხეთი — ბოსნია 90:59

30 მაისი: იუგოსლავია — ლიტვა 59:55, ჩეხეთი — პოლონეთი 78:75, იტალია — ბოსნია 64:44

თითო ჯგუფიდან მეოთხედფინალში გადის 4 საუკეთესო გუნდი. შემდეგ შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

პლეი ოფისკენ მუსიკის თანხლებით

1 ივნისი თბილისი ვერის ბაღი	29 ტური

კოლხა 87:100 სტუ

I ტაიმი 45:42

კოლხა: ბ. ბერიშვილი (24), თოდუა (2), კვაჭაძე (11), კეიდია (23), უგრეხელიძე (22); გ. ულენტი (3), ლ. ვაშაკიძე (2)

სტუ: მიქაძე (2), გ. გაგნიძე (19), გ. ნაცვლიშვილი (4), მინაშვილი (17), ოთიურიძე (17); სუხიშვილი (8), ტულუში (8), დ. მოისწრაფიშვილი (9), ლოსაბერიძე (11), ცქიტიშვილი (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

1 ივნისი თბილისი ვერის ბაღი	29 ტური

სდასუ 77:99 თსუ

I ტაიმი 36:52

სდასუ: ორჯონიკიძე (15), არჩვაძე (5), ლ. აბულაძე (25), გიგაური (6), ხარაძე (4); ჭურდანი (6), უძილაური (2), მაჭარაძე (14)

თსუ: ვეფხვაძე (2), წონელია (13), მარკოიშვილი (4), ქარაბაკი (30), ხელაშვილი (5); გ. არსიაშვილი (16), მშვილდაძე, მგალობლიშვილი (20), დოლიძე, ქარჩავა (5), თაბუაშვილი (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

მიმდინარე ჩემპიონატში „კოლხას“ და სტუ-ს სრულიად განსხვავებული მიზნები ჰქონდათ დასახული.

სტუ-მ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა დაისახა მიზნად, ხოლო „კოლხას“ სურდა, უძლიერესთა შორის შეენარჩუნებინა ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთმა, ისე მეორე გუნდმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა. რატომ არ შესრულდა სტუ-სა და „კოლხას“ გეგმები სრულად, ახლავე მოგახსენებთ.

მართალია, სტუ ვადაზე ადრე მოხვდა პლეი ოფში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ერთ-ერთი მედლის მფლობელი გახდება. სტუდენტებს „ვიოთას“ სახით მრისხანე მეტოქე ეყოლებათ ნახევარფინალში. წარუმატებლობის შემთხვევაში ისინი იტოვებენ ბრინჯაოს მედლიებს მოპოვების შანსს, მაგრამ იმასაც ხომ მოპოვება უნდა. „კოლხას“ მე-8 ადგილს ვეღარავინ შეეცილება და უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსს ინარჩუნებს. ამისათვის მას „მაკაბისთან“ ერთად მოუწევს ბრძოლა პირველი ლიგის ორ საუკეთესო — „სამედიცინო აკადემიის“ და „ბათუმის“ გუნდებთან. ბოლო წრის დარჩენილ შეხვედრებს აღნიშნული გუნდებისათვის ფორმალური მხარეღა აქვს. ალბათ, ამიტომაც დაასვენა სტუ-მ უცხოეთიდან დაბრუნებული ლეგიონერები (ვახტანგ ნაცვლიშვილი, რეზო ჩხეიძე) და თუ არ ჩავთვლით ოთიურიძეს, ახალგაზრდა კალათბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. სტუდენტები მე-11 წუთამდე ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ „კოლხამ“ ანგარიშის გათანაბრებასთან ერთად დაწინაურებაც შეძლო. სოხუმელთა რიგებში განსაკუთრებით საქართველოს კადეტთა ნაკრების წევრები: ბუბა ბერიშვილი, უგრეხელიძე და კეიდია გამოირჩეოდნენ. რომ არა დაცვაში ძალიან სუსტი თამაში, „კოლხას“ უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იქნებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე პირველი ტაიმის ბოლოს სტუმრებმა შეძლეს წინ გასვლა და შესვენებაზე სამქულიანი უპირატესობით წავიდნენ — 45:42.

შესვენების შემდეგ „კოლხა“ კვლავ აქტიურობდა. შესანიშნავად შედის ფარქვეშ ბუბა ბერიშვილი, ბურთსაც ათავსებს კალათში და პლუს ერთი საჯარიმოს გამოყენებით კიდევ უფრო ზრდის თანაგუნდელთა უპირატესობას. მეტოქეს არც სტუ-ს წევრი ოთიურიძე დარჩა ვალში, რომელსაც ერთ ქულამდე (46:47) დაჰყავს სხვაობა. საფინალო სირენამდე 8 წუთით ადრე ტაბლოზე ანგარიში „კოლხას“ უპირატესობას აღნიშნავდა. ამ შეხვედრაში სტუმრებს თუ რამე დაალალტებდა, ეს დაცვაში ცუდი თამაში უნდა ყოფილიყო. მართლაც, სტუმრები მთლიანად გადაერთვნენ თავდასხმაში და დაცვა ბედის ანაბარად მიატოვეს. ბუნებრივია, ამით ისარგებლა სტუ-მ და მეტოქე უკან მოიტოვა. იყო მომენტები, როდესაც სტუდენტები ორჯერ, ხანდახან სამჯერაც კი ესროდნენ ფარის ქვევიდან ბურთს კალათში, რადგან ხელის შემშლელი არ ჩანდა. შეცდომებით და ნაკლით მდიდარ შეხვედრაში სტუმ უფრო ივარგა და ძირითადად დაცვის ხვრინი თამაშით უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ჯერ კიდევ მებრძოლ გუნდთან სამარცხვინო დამარცხებას გადაურჩა.

როლანდ ღაბუჩიძე

ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა 29-ე ტურიდან გამოტანილი სდასუ — თსუ-ს შეხვედრა, თავის დროზე რომ ჩატარებულიყო, რადგან მაშინ ორივე გუნდს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდა. ამჟამად სდასუ მიმდინარე ჩემპიონატში ერთადერთი გუნდია, რომლის ბედიც საბოლოოდ გაირკვა და მე-6 ადგილს ვეღარავინ შეეცილება. თსუ კი პლეი ოფში მოხვედრის შანსს კვლავაც ინარჩუნებს. გამოტოვებულ შეხვედრებში მას წაგების უფლება არა აქვს, რადგან ბოლო ტურში უკვე გავარდნილი „შევარდენის“ დამარცხების შემთხვევაშიც იგი პლეი ოფს მიღმა რჩება, თუნდაც მისმა უშუალო კონკურენტმა „დინამომ“ სტუ-სთან დარჩენილი შეხვედრა წააგოს.

მართალია, თსუ-ს კვლავაც დიმიტრიადის გარეშე უწევდა ასპარეზობა (რომელიც ფედერაციისაგან გამოტანილ სასჯელს იხდის), მაგრამ მაინც მეტოქეზე უკეთეს სიტუაციაში იმყოფებოდა, რადგან სდასუ-მ თორთლაძის, ქევხიშვილისა და გიგაშვილის სახით წამყვანი მოთამაშეები მოისაკლისა. უძილაურსა და მაჭარაძეს კი ტრავმები ახალი მოშუშებული ჰქონდათ.

კალათში პირველი ბურთი ლევან ქარაბაკის სროლის შემდეგ ჩაშვა და თსუ დაწინაურდა. მეტოქემ მალე გაათანაბრა, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო. როდესაც ტაბლოზე 16:10 იყო, თსუ-ს სასარგებლოდ, გუნდი უცბად მოეშვა. ამით, რა თქმა უნდა, სდასუ-მ ისარგებლა და დუდუ ორჯონიკიძის აქტიური თამაშის შედეგად სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა — 15:16. სიტუაციის კიდევ უფრო გართულების თავიდან აცილების მიზნით თსუ-ს მთავარმა მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ წუთშესვენება აიღო და კალათბურთელები გვარიანადაც შეახურა. არ ვიცი, კონკრეტულად რა უთხრა ბატონმა ნოდარმა თავის მოთამაშეებს, მაგრამ თსუ-ს უპირატესობა წუთშესვენების შემდეგ აშკარა გახდა. ლევან მგალობლიშვილმა ზუსტი პასებით გამოიჩინა თავი, ხოლო ფარქვეშ ქარაბაკი ბატონობდა.

კურიოზით დაიწყო შეხვედრის მეორე ნახევარი. მსაჯებმა თამაშის განახლების ნიშანი მისცეს, მაგრამ დარბაზში შესვენების დროს ჩართული მუსიკა არ შეწყვეტილა. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მატჩი მუსიკის თანხლებით, თსუ-ს წარმომადგენელს, წარსულში ცნობილ კალათბურთელს, თბილისის „დინამოსა“ და ყოფილი სსრკ-ს ნაკრების წევრ ბატონ ვლადიმერ უგრეხელიძეს რომ არ გამოეთქვა პროტესტი. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ ვერის ბაღში, რომ ასპარეზობა სამეჯლისო ცეკვებში რამდენიმე დღის წინ დამთავრდა და ამჯერად სარბიელი კალათბურთელებს ეთმობოდათ.

მეორე ტაიმში თსუ-ს უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა და მატჩმა სანახაობრივად ინტერესი დაკარგა. სდასუ დიდი ხნით ადრე შეეგუა დამარცხებას, ხოლო თსუ-მ პლეი ოფში მოხვედრისათვის მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვა.

დავით აბრამიძე



REUTERS სან ანტონიოდან

სან ანტონიო — პორტლენდი. შონ ელიოტმა გადამწყვეტი სამქულიანი ისროლა

1999 NBA PLAYOFFS

პლეიოფრენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

ელიოტმა რა ქმნა ეს ...

დასავლეთი

სან ანტონიო — პორტლენდი 2:0

31 მაისი

სან ანტონიო 86:85 პორტლენდი

სან ანტონიო: ჯონსონი (10), ელი (11), ელიოტი (22), დანკანი (23), რობინსონი (14); ჯეკსონი, კერსი (4), კერი, როუზი (2), პერდიუ

პორტლენდი: სტუდემაიერი (15), რაიდერი (3), გრანტი (10), ვოლესი (13), საბონისი (17); ჯეკსონი (7), ოგმონი (8), ვილიამსი (3), ენტონი (4), ონილი (5), კატო

შონ ელიოტი დიდხანს მოევლინებათ ღამეულ კოშმარებში პორტლენდელებს. სან ანტონიოს ფრთამ თავზარი დასცა მეტოქეს და მისი ბოლო სამქულიანი „ბლეიზერსს“, შესაძლოა, ძვირადაც დაუჯდეს. იქნებ გუნდი ფსიქოლოგიურად ისე მოიშალოს, რომ სერიაც იოლად დათმოს...

...დამთავრებამდე 9,9 წამი რჩებოდა. პორტლენდი ორი ქულით, 85:83 იგებდა. შონ ელიოტმა მოედნის მარჯვენა კიდეში მიიღო პასი. პორტლენდელმა სტეისი ოგმონმა პასი კინაღამ ჩაჭრა, მაგრამ ელიოტმა ბურთიც შეინარჩუნა და წონასწორობაც: დრიბლინგი ისე დაიწყო, რომ ფეხი გვერდით ხაზს არ გადააცდინა. სროლა როცა გადაწყვიტა, მის წინ 211-სანტიმეტრიანი რაშიდ ვოლესი აისვეტა გაშლილი ხელებით. ელიოტმა მაინც გარისკა და ისროლა. სან ანტონიომ სამი ქულა მიითვალა.

ელიოტი იმ დღეს კარგად ესროდა სამქულიანებს: 7-დან 6 ბურთი ჩააგდო შორიდან. ახლოდან კი სამი ცდიდან ორჯერ იმარჯვა. მის ბოლო სამქულიანს კი ლამის პოემები მიუძღვნეს:

„ბედნიერი ვარ, რადგან შონის თოფში კიდევ ერთი ტყვია იყო დარჩენილი“ — მარიო ელი, სან ანტონიოს მსროლელი.

„რა ჰქვია ასეთ სროლას? შესანიშნავი სროლა“ — დევიდ რობინსონი, სან ანტონიოს ცენტრი.

„ეს დაუჯერებელი სროლა იყო. მზად ვარ, ელიოტს 100 დოლარი გადავუხადო და კიდევ ერთხელ ვნახო მისი ნასროლი“ — მაიკ დანლიეი, პორტლენდის მწვრთნელი.

„თავადაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე ეს“ — შონ ელიოტი, გადამწყვეტი სამქულიანის ჩამგდები.

ელიოტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სან ანტონიომ თითქოს ნაღდად არ იცოდა, რას აკეთებდა. პორტლენდმა პირველი მეოთხედი 31:20 მოიგო, ტაიმი — 48:34, ხოლო მეორე ტაიმში ერთხანს 18 ქულითაც დაწინაურდა. სან ანტონიოს მაღლები, რობინსონი და დანკანი თავიდან ვერ ყოჩაღობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში თამაში ააწყვეს და პორტლენდის ცენტრი საბონისი ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ მეოთხე მეოთხედში მოედანზე საერთოდ აღარ გამოსულა.

...და მაინც, პორტლენდი უპირატესობას ინარჩუნებდა. დამთავრებამდე 1,55 წუთით ადრე სტუმრები 84:76 იგებდნენ. ჯონსონმა — ორიანი, ხოლო ელიოტმა სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა. იქვე რობინსონმა ბურთი ჩაჭრა და ელიმ, რომელსაც უხეშად ეთამაშნენ, ორი სამქულიანით პორტლენდის უპირატესობა ერთქულიანი გახადა. დამთავრებამდე 33 წამი რჩებოდა.

ბლეიზერსელმა სტუდემაიერმა ნაჩქარევად ნასროლი კი ააცილა, მაგრამ უოლტ ვილიამსმა კვლავ მას მიაწოდა მოხსნილი ბურთი და სფურზელები დაჯარიმდნენ. სტუდემაიერმა ერთი საჯარიმო გამოიყენა. სან ანტონიოს შეტევისთვის 12 წამი რჩებოდა.

მერე კი შონ ელიოტმა გაიბრწყინა.

სან ანტონიო მატჩში პირველად და უკანასკნელად დაწინაურდა. პორტლენდი მიასკდა მეტოქის კალათს, მაგრამ ჯიმ ჯეკსონს ნასროლი დაუფარეს, ხოლო უოლტ ვილიამსმა ააცილა.

სან ანტონიომ ზედიზედ მერვე საპლეიოფო გამარჯვება მოიპოვა. ფსიქოლოგიურად მოშლილ პორტლენდს სერიის მოსაგებად ხუთ დარჩენილ მატჩში ოთხი მოგება სჭირდება. მომდევნო მატჩი პორტლენდში პარასკევს გაიმართება. ბლეიზერსს, შესაძლოა, დიდი ძალა დააკლდეს — გუნდის ბომბარდირმა აიზია რაიდერმა ხელახლა იტკინა მარჯვენა მუხლი და მატჩის უდიდესი ნაწილი სკამზე გაატარა. დეიმონ სტუდემაიერი კი ერთობ გულმოკლული იყო შეხვედრის ბოლოს: „ამჟამად დაუძლურებულნი ვართ და დავიღალეთ ამ გუნდთან (სან ანტონიოსთან) წაგებებით“.

ქახა ხურციძე

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲑᲐᲐ

ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲛᲓᲔ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲡ



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ახლახან ბრატისლავაში გამართულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე გიორგი ვაზაგაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ისევე, როგორც ნესტორ ხერგიანმა. ვაზაგაშვილი საევროპო ნაკრებში ბოლოსღა, ჯონდო მუზაშვილთან საკონტროლო შეხვედრის მერე შეიყვანეს. ისიც 73 კგ-ში და არა 66-ში, რომელშიც მთელი სეზონი ჭიდაობდა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და მწვრთნელებმაც მის ნაცვლად გიორგი რევაზიშვილი დააყენეს. ამიტომაც ვაზაგაშვილს ბრატისლავაში წასასვლელად ბოლო შანსად ვაკანტური 73 კგ დარჩა. თავად გიორგი 67-ს იწონის, მაგრამ ევროპაზე წასვლა უნდოდა და ამ შანსის მოსაპოვებლად ბოლომდე იბრძოლა. გაუმართლა კიდეც — ბრატისლავაშიც წავიდა და მედალიც ჩამოიტანა. არც იმის გახსენება იქნება უადგილო, რომ ვაზაგაშვილმა მთელი შარშანდელი სეზონი ფედერაციადეპარტამენტთან მიუღებელ ფულზე დავა-კამათის გამო გააცდინა.

— გიორგი, პირად ჯილდოებს ბრატისლავაში კიდევ ერთი შემატეთ. ევროპის ამ ჩემპიონატით კმაყოფილი ხართ?

— არა, რადგან კარგად ვიყავი მომზადებული და ოქროს მედლის მოგებაც შემეძლო. ბრატისლავაში რომ მივდიოდი, მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობდი. ამას სხვას არ ვუმხელდი, თორემ ჩემი თავისა მეჯეროდა. ჩემპიონატზეც გამოჩნდა, რომ ოქროს მოპოვება შემეძლო.

— ნაკლებად ჩვეულ, უფრო მძიმე წონაში რომ ასპარეზობდით, არ გაფიქრებდათ?

— 73 ჩემთვის მართლაც ნაკლებად ჩვეული წონაა, მაგრამ იქ ჭიდაობის გარდა სხვა გზა არ მქონდა. „მშობლიურ“ — 66 კილოში საერთაშორისო ტურნირებზე სუსტად გამოვედი. სამაგიეროდ, გიორგი რევაზიშვილმა იჭიდავა კარგად და ამ წონაში ადგილი დაიმსახურა. მას ეს ეკუთვნოდა და მწვრთნელებმა სამართლიანადაც გადაწყვიტეს. დამრჩა 73 და მისთვის დავიწყე მზადება. მაგრამ აქაც ყველაფერს მე ვერ ვწყვეტდი. კონკურენტებიც მყავდა — დავით ნადარაია და ჯონდო მუზაშვილი. მერე ნადარაია გამოგვაკლდა და დარჩა მუზაშვილი. მწვრთნელებმა ის იტალიის საერთაშორისო ტურნირზე გაგზავნეს. ჩემს ევროპაზე წასვლას მისი შედეგებიც განსაზღვრავდა. საბოლოოდ, მწვრთნელებმა საკონტროლო შეხვედრების შემდეგ მე დამაყენეს ნაკრებში.

— ზემოთქმული — კარგად ვიყავი მომზადებულიო, ცოტა უცნაურად მეჩვენება. თქვენ ხომ ევროპამდე საერთაშორისო ტურნირებზე ძალიან სუსტად გამოხვედით.

— ეს გაცდენილი სეზონის ბრალია. ევროპამდე კი სამი თვე კარგად ვივარჯიშე. იმ პერიოდში მწვრთნელებს ჩემთვის ერთი შენიშვნა არ მოუციათ. პირიქით, ყველა დასვენებას მირჩევდა, გადაიღლებიო. ეტყობა, ჩემსავით გამოცდილი კაცისთვის კარგი სამთვიანი მზადება ევროპული მედლის მოსაპოვებლად საკმარისია.

— ისიც თქვით, ჩემპიონობა შეიძლოო. არადა, პირველივე შეხვედრა მომავალ ჩემპიონთან, იტალიელ ჯუზეპე მადალონისთან წააგეთ. მიზეზად რას მიიჩნევთ?

— მოგვიანებით რომ შემხვედროდა, ალბათ, აუცილებლად მოვუგებდი. სასტარტო მღელვარება მაინც სხვაა. თანაც, საერთაშორისო ტურნირებზე სუსტი ასპარეზობა ტვირთად მაწვა. მანამდე ერთი-ორი შეხვედრა მოგებული რომ მქონოდა, მასთან საჭიდაოდ სულ სხვა განწყობით გავიდოდი.

— მაგრამ ჩემპიონობაზე მეოცნება კაცს სუფთად წაგება მაინც არ ეკადრება.

— დამთავრებამდე 15 წამით ადრე ჩუით ვაგებდი. მწვრთნელებმაც შემახსენეს და მეც ვიცოდი, დარჩენილ დროში მას არავინ გააფრთხილებდა. ამიტომ შეტევის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. მეც გავრისკე და მეტოქემ გამომიჭირა.

— დანარჩენები?

— დანარჩენებს ყველას მოვუგე.

— მომავალში რომელ წონაში იჭიდავებთ?

— საქართველოს ჩემპიონატზე 66 კილოში ვიასპარეზებ. 73 ჩემი წონა არ არის.

— მსოფლიოსთვის სად, ვისთან მოემზადებით?

— სადაც ნაკრები მოემზადება.

— ახლაც, უწინდელივით კუთვნილი თანხა რომ დაგიგვიანონ, სპორტს ისევ განუდგებით?

— არა, რადგან ჩემი გუნდიდან ჩამოშორება ბევრს აძლევს ხელს. მაგრამ ხელფასი საერთოდ რომ გამიუქმონ, სპორტიდან მაინც არ წავალ. ერთ წელიწადში ხომ ოლიმპიური თამაშებია.

— ესე იგი, ოლიმპიადის გამო მსხვერპლზეც თანახმა ხართ?

— ეგრეა. მე ატლანტის ოლიმპიადაზე უმედლოდ დავრჩი. სპორტიდან ოლიმპიური მედლის გარეშე წასვლა კი არ მინდა.

— იმ გაცდენილ სეზონს ხომ არ ნანობთ?

— არა, რადგან მაშინ მშვენივრად დავისვენე. ვფიქრობ, ეს ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად კარგიცაა.

— რევაზიშვილთანაც შერიგებულხართ. ბრატისლავაში წასვლამდე შეკრებაზე გნახეთ. ერთმანეთს ესაუბრებოდით.

— მე მასთან ცუდი ურთიერთობა არასდროს მქონია. ის ძალიან ძლიერი ძიუდოისტია და მასზე აუგს ნამდვილად ვერ ვიტყვი. რომელს დაგვაყენებენ 66 კილოში, ეს მწვრთნელთა გადასაწყვეტია. ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით და ერთმანეთს არასოდეს ვექიშპებოდით.

— დიპლომატიური პასუხია, მაგრამ ჩვენ გვახსოვს თქვენი ადრინდელი ინტერვიუები, სადაც საწინააღმდეგოს ამბობდით.

— ეგ იმიტომ, რომ მე ვკითხულობდი მის ინტერვიუებს, სადაც სხვანაირი კითხვა-პასუხი იყო.

— ესე იგი, ეს იყო პასუხის პასუხი?

— დიახ, ასეა.

— სპორტსმენობას ვის უმადლით?

— უპირველესად, მამაჩემს — თეიმურაზს. ის რომ არა, ჩემგან არაფერი არ გამოვიდოდა. მამაჩემი თვითონ იკლებდა, ოჯახს აკლებდა, ოღონდ კი ჩემთვის გზა გაეკვლია. ის თავადაც ყოფილი სპორტსმენია — ახალგაზრდობაში თავისუფალს ჭიდაობდა. სწორედ ისაა ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი.

არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ბერდია გუგავას. ის ოჯახის წევრივით მპატრონობდა. ერთი ხანობა ჩავარდნა მქონდა. ის კრიზისი სწორედ ბერდია გუგავამ დამაძლევინა.

— რა არის თქვენთვის ძიუდო — პოპულარობა, გამდიდრების წყარო, სახელი თუ მოწოდება?

— უპირველესად, სახელი, მაგრამ როცა სპორტს თავს აკლავ, მისით ცხოვრობ და ბევრსაც სწირავ მას, ის შენი ცხოვრებაა.

— წარმატება თუ ცვლის რაიმეს თქვენს ცხოვრებაში?

— ნამდვილ წარმატებად მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონობას ვთვლი.

— ევროპის ორგზის ჩემპიონობას არა?

— სპორტსმენი, რომელიც თავისი მიღწევით კმაყოფილდება, სპორტსმენი არაა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲖᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲣᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

ᲖᲔ-12. ᲕᲘᲜᲐᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲗᲔᲙᲐ

REUTERS დანიდინელები

ჯვაროსანმა ჯასტინ მარშალმა დანიდინელ ბაირონ კელეჰერს (ბურთით) ლელოს გატანა არ დაანება

RUGBY SUPER 12

ᲯᲕᲐᲠᲝᲡᲜᲔᲑᲛᲐ ᲜᲐᲮᲔᲛᲕᲐᲠᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲔᲡ

დანიდინი. ქერისბრუქი.

30 მაისი. 42 000 მაყურებელი

ᲓᲐᲜᲘᲓᲘᲜᲘ — ᲙᲠᲐᲘᲡᲩᲘᲠᲩᲘ

19:24 (14:9)

დანიდინი: ჰოეფლი, ოლივერი, მიუსი, ტიმინსი (მელინგი 66), ბლეიქი, რენდელი, კრონფელდი, მაკა, კელეჰერი, ბრაუნი, ლიმა, ალატინი, როპატი, ლენი, ვილსონი

2ლ — ბრაიან ლიმა, ისიტოლო მაკა; 2ს — ტონი ბრაუნი; 1ა — ბრენდან ლენი

კრაისტჩერჩი: ფიკი, ჰამეტი, სომერვილი, ბლექადერი, მაქველი (ლანკასტერი 59), თორნი, გარდინერი (რობერტსონი 41), სარიჯი, მარშალი, მერთენსი, რალფი, გიბსონი (ფლინი 75), ბერიმანი (მოგერი 65), სოოალო, მაკდონალდი (ლილი 10).

2ლ — დერილ გიბსონი, აფატო სოოალო; 1გ, 3ს და 1ა — ენდრიუ მერთენსი

მაშ ასე. დასრულდა სამხრეთი ნახევარსფეროს უპირველესი საკლუბო ტურნირი, დასრულდა კრაისტჩერჩელი „ჯვაროსნების“ ზედიზედ მეორე გამარჯვებით, რომელშიც ლომის წილი ოლ ბლექსელმა ენდრიუ მერთენსმა დაიდო. მატჩის დასრულებას 10 წუთი აკლდა, მერთენსმა 30 მეტრიდან რომ გაიტანა არეკნი და თანაგუნდელები 10 ქულით დააწინაურა — 24:14. მატჩის მიწურულს მასპინძელ შერკინების ნახევარმცველ ბაირონ კელეჰერს ლელოს გატანის მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ჯასტინ მარშალმა, რომელიც ასევე შერკინების ნახევარმცველია, ზედ ლელოს ხაზთან მოახერხა მეტოქის შებოჭვა, რითაც გუნდი წაგებას გადაარჩინა. ამ ფაქტს მარშალისთვის კიდევ ერთი, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა — მეცხრე ნომრად მოთამაშე ბაირონ კელეჰერი, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს წლევანდელი გათამაშების აღმოჩენად, მარშალის სანაკრებო კონკურენტიცაა. სეზონის განმავლობაში ჯვაროსანს მასმედია არ სწყალობდა, კელეჰერმა კი პირიქით, წლევანდელ გათამაშებაში აშკარად დაჩრდილა კონკურენტი, თუმცა ფინალში პირიქით მოხდა — მარშალმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა კელეჰერი და მსოფლიოს თასზე ბურთაობის წინაპირობაც შეიქმნა.

მატჩში მეორე საინტერესო დუელიც შედგა ორ მეათე ნომერ და ასევე სანაკრებო კონკურენტებს — კრაისტჩერჩელ ენდრიუ მერთენსსა და დანიდინელ ტონი ბრაუნს შორის. ვისი ვარ მარჯვებითაც დასრულდა დაპირისპირება, წერილის დასაწყისიდან მიხვდებოდით.

შეხვედრის საწყის ოც წუთში მეტოქეებმა თითო-თითო საჯარიმო გაუტანეს ერთმანეთს. სტუმართაგან მერთენსმა იყოჩაღა, მასპინძელთაგან — ბრაუნმა. ამის მერე მცირე უპირატესობას დანიდინელები დაეუფლნენ და ჯერ ბრენდან ლენიმ, მერე კი სამოელმა ვეტერანმა ბრაიან ლიმამ მასპინძლები 14:9 დააწინაურეს.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი გარკვეულწილად შეიცვალა — სტუმართა დაცვა ლამის გაუვალი გახდა. ამის წყალობით „ჯვაროსნებმა“ მატჩის ბოლოსთვის 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. შეხვედრის განახლებიდან თხუთმეტ წუთში მარშალმა თითმაშა შესანიშნავად, საბოლოოდ დერილ გიბსონს გადასცა ბურთი და მანაც პირდაპირ ძელებს შორის გაიტანა ლელო. მერთენსაც არ გასჭირვებია გარდასახვა. აქედან ხუთ წუთში კიდევ ერთმა სამოელმა, ამჯერად უკვე „კრაისტჩერჩელმა აფატო სოოალომ ივარგა და ანგარიშში სხვაობა უფრო სოლიდური გახადა.

შეხვედრის ბოლო 10 წუთი კი იძალეს მასპინძლებმა, სტუმრები საკუთარ სალელოე მოედანს მიაჯაჭვეს, სამჯერ საჯარიმოს დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ სამჯერვე გათამაშება არჩიეს, მიზანს კი მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს — ისიტოლო მაკამ გაიტანა ლელო, რომელიც ვერ „გარდასახა ბრაუნმა.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲮᲝᲛ ᲐᲠ...

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ნაკრები ავსტრალიას ჩავიდა და რამდენიმე „პროვინციული მოთელვის“ შემდეგ 12 და 19 ივნისს ვოლაბებთან ორტესტა შებმას აპირებს. საამისოდ ირლანდიელები ჩინებულად განწყობილან და შიში რაა, ნერვიულობის ნატამალიც არ ეტყობათ.

„მერე რა, რომ მათთვის უკვე 20 წელია, არ მოგვიგია. ჩვენ ამჟამინდელ შემართებას ეგ ვერაფერს დააკლებს. ეგეც არ იყოს, ავსტრალიის ნაკრები — ჩემთვის რაღაც უცნობი მიზეზების გამო — ერთადერთია, რომლის წინააღმდეგაც ჩვენ ყოველთვის გამორჩეული სიამოვნებით ვთამაშობთ“ — ამბობს ირლანდიელთა თავკაცი უორენ გეტლენდი.

უიმედობას არც გუნდის კაპიტანი დიონ ოკვინეგენი უჩივის. მისი თავდაჯერება ნაკრების მიერ „ხუთი ერის“ წლევანდელ პირველობაზე ნაჩვენებ ჯიგრიან თამაშსა და იმ გარემოებას ეყრდნობა, რომ ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის არსებული „კლასობრივი ნაპრალი“ ბოლო დროს მაქსიმალურად დავიწროვდა.

„ამ სეზონში დიდი მატჩები ჩავატარეთ... ამიტომაც ბიჭებს აღარაფრის ეშინიანთ“ — დასძენს ოკვინეგენი.

ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ოქტომბერ-ნოემბერში ევროპაში გასამართ მსოფლიოს თასზე ავსტრალია და ირლანდია ერთ შესარჩევ ჯგუფში არიან. ამდენად, მათ საიენისო შეხლა-შემოხლას დამატებითი დატვირთვაც ექნება. დატვირთვა, რომელიც ნაკრებებს სამსოფლიოთასო ტვირთს ან მაგრად შეუმსუბუქებს, ან ძალიან დაუმძიმებს. გააჩნია, რა და როგორ...

პირველი ტესტი ბრისბენში შედგება, მეორე — პერტში.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა მხოლოდ ცაღა იყო

ორშაბათს ექსპედიცია „მშვიდობიანი კავკასია 99"-ის წევრი მთამსვლელები, რომლებმაც დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა დალაშქრეს, მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. მთამსვლელებმა პატრიარქს უთხრეს, თქვენგან ლოცვა-კურთხევა 12 მარტს მივიღეთ და 12 მაისს მწვერვალზე ავედითო. პატრიარქმა მთამსვლელებს დაწვრილებით გამოკითხა ლაშქრობის დეტალები, რაც ალპინისტებმა იქ გადაღებული ფოტოსურათებით უფრო ნათელი გახადეს.

პატრიარქი იყო პირველი, ვინც ეს ფოტოსურათები იხილა, „სარბიელის" მკითხველი კი მეორეა, ვისაც ამის საშუალება ეძლევა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მწვერვალზე ასვლის ურთულესი ფრაგმენტები, ჩვეულებრივ, ფირზე აღუბეჭდავი რჩება. მეტად სახიფათო ადილებზე მთამსვლელები ამაზე აღარც ფიქრობენ, რაკი ამგვარი საქმიანობა, შესაძლოა, სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეთ. ეგ კი არა, ჯომოლუნგმაზე ფოტო ან კინოკამერის ატანას ყველა როდი ცდილობს. იქ თითოეული გრამი ხომ კაცს თითო ფუთად ეჩვენება. თანაც, ხშირად ფოტო-კინოკამერა ყოვლად გამოუსადეგარი ხდება, რადგან იქაურობა ან შედედებულ რძესავით ნისლში უჩინარდება, ან აპარატურა იყინება (ჩვეულებლივ, მწერვალზე 20-30 გრადუსი ყინვაა, ხშირად მეტიც).

ასეა თუ ისე, ახლა გთავაზობთ ექსპედიციის მეთაურის ბენო ქაშაკაშვილის მიერ გადაღებულ სურათებს.

ჯომოლუნგმაზე მთამსვლელებმა ექსპედიციის სახელწოდებიდან გამომდინარეააფრიალეს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის დროშები, აგრეთვე „ავსტრიის ავიახაზების" ვიმპელი, რომელმაც ჩვენი მთამსვლელების მგზავრობა უზრუნველყო, როგორც სპონსორმა.

ეს სურათი ჩვენს ოთხეულს: ბენო ქაშაკაშვილს (მარცხნიდან), აფი გიგანს, ბიძინა გაჯაბიძესა და ლევონ სარქისოვს გადაუღო ექსპედიციის შერპამ მთამსვლელმა ნავანგლიმ, ვინც პირველად ავიდა ჯომოლუნგმაზე. ამ ფოტოსურათის გადაღების სცენას გაბადრული შესცქეროდა ექსპედიციის მეორე შერპი ჩევანგ დურჯი, რომელიც ასევე პირველად ავიდა ჯომოლუნგმაზე.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ ჩევანგ დურჯი გახლავთ შვილი სახელგანთქმული ანგ რიტასი, სწორედ იმ ანგ რიტასი, რომელიც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ყველაზე ბევრჯერ — ცხაჯერ ასულა და ცხრაჯერვე ჟანგბადის ბალონების გარეშე. ამასთან, ჩევანგ დურჯი მეორეა, ვინც მამის კვალზე ავიდა ჯომოლუნგმაზე. პირველი იყო პიტერერ ჰილარი — ჯომოლუნგმას პირველდამპყრობის ედმუნდ ჰილარის შვილი.

შეგახსენებთ, რომ ურეკორდოდ არც ჩვენი მთამსვლელები ჩამოსულან ჯომოლუნგმადან — თბილისელი ლევონ სარქისოვი აღმოჩნდა უხუცესი (60 წლისა და 161 დღისა), ვინც „დედამიწის სახურავს" მიაღწია.

8000 მეტრზე მდებარე ბოლო საიერიშო ბანაკიდან 11 მაისს ღამის 10 საათზე გასული ჩვენი მთამსვლელები დილის 10 საათზე შეჩერდნენ, ირგვლივ მიმოიხედეს და დაინახეს, რომ ყველა გზა ქვემოთ ეშვებოდა, ზემოთ კი უსასრულო, ულურჯესი ცის გუმბათიღა იყო მხოლოდ. მთამსვლელები აქ 40 წუთამდე შეჩერდნენ, ჟანგბადის სასუნთქი ნიღბები მოიხსნეს და „დედამიწის სახურავის" ერთობ გაიშვიათებულ ჰაერს „გემო" გაუსინჯეს. მთამსვლელებმა ცოტა ხნით სათვალეც მოიხსნეს (რაც ბიძინა გუჯაბიძეს ლამის ძვირად დაუჯდა — თვალები ასტკივდა, ცხელქვიშაჩაყრილივით აეწვა და შეიძლებოდა უარესიც დამართნოდა), რათა იქაურობა ბუნებრივ ფერებში აღექვათ და სურათებიც გადაეღოთ, ამ ფოტოზე კი ბენო ქაშაკაშვილს და აფი გიგანს ხედავთ ზედ მწევერვალზე.

ჩვენმა ბიჭებმა მწვერვალზე ნახეს ყვითელი ალპინისტური ქვეშაგები, რომელიც ხუთიოდე დღის წინათ იქ დატოვა ნეპალელმა მთამსვლელმა ბაბუ შერპამ, რომელმაც ჯომოლუნგმას კენწეროზე 20 საათი გაატარა, რაც დედამიწის უმაღლეს წერტილზე ყოფნის ხანგრძლივობის რეკორდია.

საერთოდ, ამ მწვერვალზე მთამსვლელები ზოგჯერ ტოვებენ გამოცლილ ჟანგბადის ბალონებს, 1975 წელს კი ჩინელთა ექპედიციამ იქ ფუნდამენტურად დაარჭო გეოდეზიური შტატივი და ზედ ბელად მაოს პორტრეტიანი დროშაც ააფრიალა, რათა დაედასტურებინათ, მიზანს მივაღწიეთო (ისინი 1960 წელსაც ავიდნენ ჯომოლუნგმაზე, მაგრამ მაშინ დასავლეთმა ეს არ დაიჯერა).

ასეთი ხედები იშლება 7800 მეტრის სიმაღლიდან.

კარვებს გაღმა მოსჩანს მწვერვალი პუმორი (7145 მ). მართალია, ეს მწვერვალი მსოფლიოს 100 უმაღლეს პიკთა შორის ვერ ხვდება (ასეულს ასრულებს ყარაყორუმზე, ბალტოროს რაიონში აღმართული უორდ პიკი, 7300 მეტრი სიმაღლისა, მგონი დღესაც დაულაშქრავი მწვერვალი), მაგრამ თავისი სილამაზითაც და სირთულითაც ძალზე განთქმული შვიდიათასიანია.

პუმორის გამოღმა, თოვლყინულეთში ჩვენი მთამსვლელები ერთ თოკში ჩაბმულან და მწვერვალისკენ მიიწევენ.

იმავე სიმაღლიდან ასე მოსჩანს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ, დარში თუ ავდარში, დღისით თუ ღამით განუწყვეტლივ ამგვარად ბოლავს და ბოლავს.

ეს ყველაფერი და სხვაც მრავალი ვიდეოკამერით აღბეჭდა ბიძინა გუჯაბიძემ, რომელმაც ჯამში ათსაათიანი ფირი გადაიღო. ამ სურათზე იგი ზედ მწვერვალზეა აღბეჭდილი.

საინტერესოა, რომ ჯომოლუნგმას წვერზე პირველი კინოკადრები 1963 წელს გადაიღეს ამერიკელმა მთამსვლელებმა ბარი ბიშოპმა და ლუთერ ჯერსტადმა (აღსანიშნავია, რომ იქიდან პირველი პირდაპირი რადიოკავშირიც მათ დაამყარეს), თუმცა, მას შემდეგ ასეთ გადაღებას ცოტა თუ ახერხებს, თანაც ხარისხიანად. ამიტომაც, როცა ჩვენი ექსპედიციის მიერ მწვერვალზე გადაღებული ვიდეოკადრები ნეპალშივე იხილეს, ამერიკის „ნეშენალ ჯეოგრაფიკის" წარმომადგენლებმა მისი შეძენა მოინდომეს, რადგან მათი სპეციალურად ამ საქმისთვის აღჭურვილი ექსპედიციის ნამუშევარი დაიწუნეს.

ავთანდილ გურასაშვილი

გერმანიაში ორკვირიანმა ვარჯიშმა

ნინო სალუქვაძეს სამი ოქრო მოაგებინა

ტირღია უცხოელები და პირღია ქართველები

სამწუხაროდ, საქართველოში თითო-ოროლადა დაგვრჩა სახელოვანი სპორტსმენი, საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით რომ გაგვახარებს, ისეთი. ერთი მათგანი ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძეა, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი.

წლევანდელი სეზონი მისთვის წარმატებულია. წარმატებები კი მიუნხენის საერთაშორისო ტურნირით დაიწყო (მას მონაწილეთა სიძლიერის გამო მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატსაც უწოდებენ). იქ ნინომ ორი ოქროს მედალი (სპორტული და პნევმატური პისტოლეტით სროლაში) მოიპოვა. ამას მოჰყვა ევროპის ჩემპიონატი სპორტული იარაღით სროლაში — მეოთხე ადგილი და ოლიმპიური ლიცენზია. მერე კი დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპები. ამ დღეებში ნინომ სეულში მოგებული ვერცხლის მედალი გერმანიაში ოქროზე „გადაცვალა", მილანში კი, 26-30 მაისს, ორივე სახეობაში ოქრო დაისაკუთრა. ამით მან პნევმატური და სპორტული იარაღით სროლაში მსოფლიოს თასის სუპერფინალში მონაწილეობა გაინაღდა. რაც მთავარია, სალუქვაძე ჯერჯერობით სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიამიღებული ერთადერთი ქართველი სპორტსმენია, თუმც სხვებს ჯერ სალიცენზიო ტურნირები არ დაწყებიათ. ლიცენზია პნევმატურში შარშანდელ მსოფლიოზე მოიპოვა, სპორტულში — წლევანდელ ევროპაზე.

როგორც კი დაასრულა ნინომ მილანში თავისი გამოსვლა, შეჯიბრების დამთავრებას არ დაუცადა და უმალ თბილისს მოაშურა.

— ნინო, უპირველესად, გილოცავთ ოქროს მედლებს. მათი მოპოვება იოლი არ იქნებოდა.

— გერმანიაში 74 ქვეყნის მსროლელები ჩამოვიდნენ. ამდენი მონაწილე მიიზიდა ოლიმპიურმა ლიცენზიამ, რომელსაც მხოლოდ გამარჯვებული იღებდა. შეჯიბრი მიუნხენში ჩატარდა. სამწუხაროდ, მას ცუდი ამინდი დაემთხვა, რამაც დაბალი შედეგები განაპირობა. სპორტული პისტოლეტით სროლაში წინასწარი სროლების შემდეგ 583 ქულით ვლიდერობდი. ფინალში ბოლო ადგილზე მყოფ მონღოლ მსოფლიოს ჩემპიონ მუკბაირ დორსურენს სამი ქულით ვუსწრებდი, სხვები კი ერთი-ორი ქულით ჩამორჩებოდნენ. ფინალშიც ყველაზე უკეთ ვისროლე და საბოლოოდ მეორეზე გასულ რუს ოლიმპიურ ჩემპიონს, ოლგა კლოჩნევა-კუზნეცოვას თითქის ხუთი ქულით ვაჯობე.

მეორე დღეს, პნევმატური პისტოლეტით სროლაში ცოტა გამიჭირდა. წინასწარი სროლების შედეგი — 386 ქულა თითქოს არ იყო ცუდი, მაგრამ ჩინელებმა — ჯი რენმა და ლუნ ტაომ 390 ქულა მიითვალეს. მათ ერთით ჩამორჩნენ რუსები — სვეტლანა სმირნოვა და ირინე პოპოვა. ურიგოდ არც სხვა ფინალისტებს უსვრიათ. ფინალში მეხუთე შედეგი კი ვაჩვენე, მაგრამ საბოლოდ მაინც მეშვიდე ადგილზე დავრჩი.

მიუნხენიდან მილანში წავედით. იქაც ორი დღე ზედიზედ, შეუსვენებლად ვასპარეზობდით. პირველ დღეს პნევმატურით ვისროლეთ. ფინალში 388 ქულით შევედი. ერთით ჩამომრჩა იაპონელი ტომოკო პასუკავა, დანარჩენმა ექვსმა კი 385 ქულა დააგროვა. ესეც მაღალი შედეგია, ცხრილის სიმჭიდროვე კი დაძაბულობას გვიჩვენებს. ფინალში ყველას გაგვიჭირდა. ცოტ-ცოტა ყველას მოგვეცარა ხელი. პოლონელმა მიროსლავა საგუნმა, იმავე ჯი რენმა და ბელარუსმა ევგენია გალუზოვამ ცოტათი კიდეც მაჯობეს, მაგრამ რადგან წინასწარი სროლები უფრო დიდი უპირატესობით მოვიგე, ორი სერიის ჯამში მაინც პირველზე გავედი.

ნინო სალუქვაძე

ვარჯიშ დროს ნინოს ვიტო

სპორტული პისტოლეტით სროლაშიც ფინალში საუკეთესო შედეგით, 588 ქულით შევედი. იქაც ყველას გავასწარი — 101,4 ქულა გავაკეთე და ყველაზე იოლად ეს ოქრო მოვიპოვე. შედეგებიც არაა ცუდი. წინასწარ სროლებში ჩემს მდევარს, ბულგარელ დიანა იორგოვას სამი ქულა მოუგე. საბოლოო შედეგით კი — ხუთ ქულაზე მეტი. ის მაინც მეორე ადგილზე გავიდა და ოლიმპიური ლიცენზიაც მოიპოვა, რადგან მე ადრე მქონდა მიღებული. ამიტომ ბულგარელები სიხარულით მეცხრე ცაზე ფრინავდნენ — ისინი ულიცენზიოდ რჩებოდნენ. ამის შემდეგ ხომ მხოლოდ ორი სალიცენზიო ტურნირია — ატლანტის მსოფლიოს თასი და ევროპის ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტით სროლაში.

— წლევანდელ სეზონში სტაბილურად ასპარეზობთ. ათ დღეში სამი ოქროს მედალი კი მართლაც ღირსშესანიშნავი მიღწევაა. მიუნხენ-მილანამდე თქვენ დორტმუნდში ემზადებოდით. ეს ოქროები ამის დამსახურებაა თუ საქართველოში გაგიუმჯობესეს სავარჯიშო პირობები?

— დორტმუნდში მართლაც საუკეთესო პირობებში ვვარჯიშობდი. რაც მთავარია, იქ მხოლოდ ვარჯიშზე ვფიქრობდი და სხვა არაფერზე. მაგრამ მე მთელი ზამთარი, ოქტომბრიდან მოყოლებული, თბილისში ვემზადებოდი. აქ ელემენტარული პირობებიც კი არ მაქვს, თუმცა ერთი დღეც არ გამიცდენია ვარჯიში. 30 დეკემბერსაც კი ტირში ვიყავი. არა იმიტომ, რომ ასე მერჩივნა: თუ რამეს მიღწევა გსურს, ასე უნდა გაკეთო. თავდაუზოგავი ვარჯიში დამიფასდა.

— ხემოთ თქვით, სავარჯიშო პირობები არ მაქვსო. ადრინდელ ინტერვიუშიც გვითხარით, რომ სადაც ემზადებოდით, ოლიმპიური ჩემპიონის სავარჯიშო დარბაზის გარდა ყველაფერს ჰგავდა. ვატყობ, პირობები არც ახლა, ოლიმპიადის მოახლოებისას, გაუუმჯობესებიათ.

— მე ისევ ასკ-ს დარბაზში ვვარჯიშობ. იქ მომსახურე პერსონალი, რაც შეუძლია, ყველანაირად მეხმარება. მაგრამ რა ვუყო სიცივეს ან უშუქობას? თუმცა, აპრილიდან ელექტროენერგიას უკეთ გვაწვდიან. არადა, როგორია— ვარჯიშობ, აზარტში შეხვალ, უცებ კი შუქი გამოგერთვება და მის მოსვლას უნდა ელოდო. ამასობაში განწყობა ქრება და დენი თუ საერთოდ მოვიდა, ვარჯიშისთვის ხელახლა უნდა განწყო. მსგავსი რამ ისე მთრგუნავს, რომ ზოგჯერ ვარჯიში მიმიტოვებია და შინ წავსულვარ. დიდი შედეგების მისაღწევად ყოველდღე 3-4 საათი მაინც უნდა ივარჯიშო.

დორტმუნდის ტირი 20 წლის წინაა აშენებული. ასკ გაცილებით ახალია, მაგრამ არაერთხელ გაძარცვულა. ისინი, როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

— მდგომარეობის გამოსწორების იმედი თუ არის?

— ვერ გეტყვით. დაპირებებს თუ დავუჯერებთ, სპორტდეპარტამენტის ტირი აქამდეც უნდა მოეწესრიგებინათ. მაგრამ რად გინდა — ისიც დახურულია. საქართველოში ღია ტირი არაა, დახურულში ვარჯიში კი წარმატებისთვის საკმარისი არაა. დორტმუნდშიც ძირითადად ღია ტირებზე ვვარჯიშობდი. უმათოდ ვერც სიდნეიში მივაღწევ რამეს.

— პესიმისტური სიტყვებია. ჩვენ კი თქვენგან ოლიმპიურ მედალს ველით. ამით რა გინდათ თქვათ — ამისი იმედი ნუ გვექნება?

— წარმატებისთვის პირობებია საჭირო. როგორ პირობებსაც შემიქმნიან მოსამზადებლად, ისეთი იქნება შედეგიც. მე კი ვამბობ, რომ ღია ტირი აუცილებელია. ვერც უცხოეთში წავალ მოსამზადებლად დიდი ხნით, რადგან ოჯახი და ქმარ-შვილი მყავს. მათ ხანგრძლივად ვერ მოვშორდები.

— ატლანტაში, მსოფლიოს თასის ბოლო, მეოთხე გათამაშებაში მონაწილეობა იუარეთ. წლეულს სხვაგან სად იასპარეზებთ?

— ივლისის ბოლოს ევროპის ჩემპიონატია, აგვისტოს ბოლოს კი მსოფლიოს თასის სუპერფინალი. მე ორივეგან ვცდი ძალას და ამით წლევანდელ სეზონსაც დავამთავრებ.

— ამით ოლიმპიადისთვის მზადების წლევანდელ პროგრამასაც ამოწურავთ?

— წლეულს ამ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ტურნირზე გამოვედი. ბევრი ქულა არ დამიგროვებია, მაგრამ ეს არც იყო მთავარი. ამ შედეგებს ადრე, შეიძლება ითქვას, თვალდახუჭული ვაღწევდი. ამ სეზონში სპორტული ფორმის შენარჩუნებაზე ვზრუნავდი, სამომავლოდ კი, იმედია, შედეგებსაც გავაუმჯობესებ.

ირაკლი თავაძე

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

შვეიცარიის ჩემპიონატი. XIV ტური

2.06	ბაზელი — ლუცერნი	1,8	3,2	3,5
	გრასჰოპერი — ქსამაქსი	1,15	5,0	8,0
	ლოზანა — სერვეტი	1,9	2,9	3,6
	სტ. გალენი — ციურიხი	3,4	2,9	2,0

კირინის თასი

3.06	იაპონია — ბელგია	3,0	2,9	2,2
6.06	იაპონია — პერუ	2,5	2,9	2,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVII ტური

6.06	ტრევიზო — ატალანტა	2,7	2,9	2,2
	მონცა — კიევო	1,9	2,5	5,6
	ლუკეზე — კოზენცა	2,2	2,7	3,4
	ჩეზენა — ჯენოა	2,2	2,2	3,8
	ვერონა — ნაპოლი	1,3	3,0	9,0
	ლეჩე — პესკარა	1,6	2,8	5,6
	კრემონეზე — რავენა	2,4	2,8	2,7
	ბრეშა — რეჯანა	1,3	4,2	5,3
	რეჯინა — ტერნანა	1,3	3,3	7,5
	ფ. ანდრია — ტორინო	2,5	2,7	2,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი XL ტური

5-6.06	ტოლედო — ალბასეტე	1,2	5,0	9,0
	ეიბარი — ბარსელონა B	2,0	3,0	2,6
	სპორტინგი — ერკულესი	1,4	4,0	4,0
	ლას პალმასი — ოსასუნა	1,6	3,0	5,6
	მალიორკა B — ბადახოსი	1,7	3,1	4,4
	ატლეტიკო B — ლეგანესი	1,3	4,0	6,5
	რაიო ვალეკანო — მერიდა	1,3	4,0	7,5
	ლოგრონიესი — რეკრეატივო	1,6	3,2	4,4
	ლეიდა — ორენსე	1,3	4,0	7,5
	ნუმანსია — სევილია	2,3	2,7	3,0
	კომპოსტელა — მალაგა	2,3	2,8	2,9

ამხანაგური მატჩები

5.06	ბრაზილია — ჰოლანდია	1,8	2,9	4,2

კალათბურთი. NBA

4.06	პორტლენდი — სან ანტონიო	1,3	12,0	2,8

ხელბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი ეგვიპტეში

2.06	ტუნისი — არგენტინა	1,1	8,0	5,3
	დანია — მაროკო	1,1	8,0	5,3
	ესპანეთი — ალჟირი	1,05	8,0	8,0
	მაკედონია — ს. არაბეთი	1,05	8,0	8,0
	გერმანია — კუბა	1,05	8,0	8,0
	ხორვატია — კუვეიტი	1,1	8,0	5,3
	უნგრეთი — ნიგერია	1,02	8,0	10,0
	რუსეთი — ნორვეგია	1,03	8,0	12,0
	შვედეთი — კორეა	1,05	8,0	8,0
	საფრანგეთი — ავსტრალია	1,03	8,0	10,0

ჩემპიონი

შვედეთი	2,5	უნგრეთი	10,0
რუსეთი	2,5	ხორვატია	10,0
საფრანგეთი	4,0	გერმანია	12,0
ეგვიპტე	5,0	დანია	25,0
ესპანეთი	5,0	კორეა	25,0
იუგოსლავია	8,0	ნორვეგია	50,0

დანარჩენი 100,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

STANLEY CUP PLAYOFFS

ბუფალო ფინალშია!

31 მაისი

აღმოსავლეთი

სერიის ანგარიში

ტორონტო — ბუფალო 1:4

ტორონტო — ბუფალო 2:4

0:0 2:2 0:2

1:0 სალივანი 20'33 (3); 1:1 ბრაუნი 27'14 (7); 2:1 კ. კინგი 32'44 (1); 2:2 ვარადა 36'44 (5); 2:3 რასმუსენი 51'35 (2); 2:4 უორდი 58'58 (6)

„ძალიან ბედნიერი ვარ. პლეი ოფის ფინალში მოხვედრა უდიდესი მიღწევაა, MVP-ს ტიტულზე უფრო სასიხარულო" — მსოფლიოში საუკეთესო მეკარე დომინიკ ჰაშეკს არასდროს დაუფარავს, რომ მისი მთავარი მიზანი თასის მოპოვებაა. წლეულს ბუფალო ერთობ ახლოსაა მიზანთან.

ტორონტოსთან მეხუთე შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ „ხმლებმა" თავიანთ ისტორიაში მეორედ მიაღწიეს პლეი ოფის ფინალს (პირველი ფინალი 1975 წელს ფილადელფიასთან 2:4 დათმეს). შეგახსენებთ, რომ ბუფალო შარშანაც გავიდა ნახევარფინალში, სადაც ვაშინგტონთან დამარცხდა, მაგრამ დიდი გამოცდილება მიიღო. წლევანდელ თასის გათამაშებაში ამიტომაც გამო-ჩნდა სრულიად სხვანაირ გუნდად. იმავე ჰაშეკის თქმით, ბუფალო უფრო მობილიზებული, კონცენტრირებული და მოწადინებული გახდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს „ხმლების" მწვრთნელის, ლინდი რაფის დამსახურება, რომელმაც ორი წლის განმავლობაში უვარსკვლავო გუნდს (ცხადია, ჰაშეკი არ იგულისხმება) ბრწყინვალედ შეათვისებინა სპლეიოფო ტაქტიკა და სტრატეგია. ამჯერად, როგორც რაფმა აღნიშნა, მან ძირითადი აქცენტი მესამე და მეოთხე მატჩებზე გააკეთა, რომელთაც მისი აზრით, სერიის ბედი უნდა გადაეწყვიტა. „ხმლებმა" იძალეს კიდეც და მეტოქე გატეხეს.

„ნეკერჩხლის ფოლებმაც" სერიოზული ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს. მეხუთე მატჩში გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ (სტუმრებმა ისევ რიცხვმრავლობა გამოიყენეს). ვარადას გოლამდე მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ, ორჯერ წინაც გავიდნენ. სტივ სალივანის შემთხვევითი შაიბის შემდეგ (ფორვარდის დარტყმული შაიბა ალექსეი ჟიტნიკის ყვანჯმა აისხლიტა, ჰაერში ავარდა და მეკარის ზურგს უკან აღმოჩნდა) მათ ლამის გაორმაგეს ანგარიში, მაგრამ სერგეი ბერეზინის დარტყმის მომენტში მატს სუნდინი მეკარის მოედანზე იმყოფებოდა. გარდატეხა კი მესამე პერიოდში მოხდა. ტორონტოს ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი, სერგეი ბერეზინი დაუშავდა, რამაც მასპინძელთა შეტევებს სიმწვავე მოაკლო. სტუმრებმა კი სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს — ბრაიან ჰოლცინგერის დარტყმა კერტის ჯოზეფმა უხეიროდ მიიგერია და ახალბედა ერიკ რასმუსენმა გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. ჰაშეკი კი პირიქით, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში ბრწყინავდა. მატს სუნდინის ურთულესი დარტყმის მოგერიების შემდეგ მასპინძლებს ყველა იმედი გადაეწურათ.

ასე რომ, ბუფალო ფინალშია და კლუბის კაპიტან მაიკ ჰეკას თქმით, ძალიან სურს, აღმოსავლეთის ძალა აჩვენოს დასავლელებს.

ჩვენ ისღა დაგვჩენია შეგახსენოთ, რომ ბოლო სამ ფინალში დასავლეთის გუნდებმა მშრალი ანგარიშით გაიმარჯვეს.

სამველ ღარიბიანი

ქაქა და მეკობრე გაპეპლდნენ?!

ლორან ჟალაბერსა (საფრანგეთი, ონსე) და მარკო პანტანის (იტალია, მერკატონე უნო) ორთაბრძოლა, გრძელდება. ამდენად, „ჯიროც“ არ კარგავს ინტერესს და მე-16 ეტაპის მოგებულიც მხოლოდ ფოტო-ფინიშის საშუალებით გაარკვიეს. ფრანგს იტალიელზე ოდნავ ადრე გადაეკვეთა ხაზი საბოლოო სპრინტის დროს. დიახ, რა გასაკვირიც უნდა იყოს, ორმა ნამდვილმა ეტაპი ორ ჰეპელასავით გაითამაშა, რითაც ბრეშიას მეზობელ პატარა ლომბარდიულ ქალაქ ლუმეზანეს მოსახლეობა საკმაოდ გაახარა.

ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე გაბრიელე მისალიამ და პაოლო ბეტინიმ შეუტიეს და მცირედ უპირატესობასაც მიაღწიეს. თუმცა პელოტონმა, რომელსაც „ონსეს“ წევრები უძღვებოდნენ, მალე სიჩქარეს უმატა და ლტოლვილები 8-9 კილომეტრის შემდეგ ჩაყლაპა. ამ დროს პაოლო სავოლდელიმ სცადა გაქცევა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სპორტსმენებს 450 მეტრიღა რჩებოდათ გასავლელი, ჟალაბერმა რომ გაუტია და მიუხედავად იმისა, რომ გვერდით ჰყავდა ჯილბერტო სიონი მის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

აღარავის, გარდა პანტანისა, რომელმაც მთელი ძალა მოიკრიბა, ფრანგის ბორბალში ჩაჯდომა მოახერხა და კინაღამ აჯობა კიდეც.

ასეთი ფინიშის შემყურე იტალიელმა ჟურნალისტებმა „ილ პირატის“ ისიც კი ჰკითხეს, ოქტომბერში ვერონაში გასამართ სატრეკო ველოსიპედის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ არ აპირებდა მონაწილეობას. „არა, სპრინტერად არ გარდავქმნილვარ. უბრალოდ, დღეს გამონაკლისი მოხდა“ — მშვიდად ახსნა პანტანიმ იმდღევანდელი ამბავი.

მე-17, 212-კილომეტრიანი ეტაპი ლუმეზანესა და კასტელფრანკო ვენეტოს შორის ბლიილევენსის (?) გამარჯვებით დასრულდა, საერთო ჩათვლაში კი კვლავ „მეკობრე“ ინარჩუნებს პირველობას.

გაგი გურული

მეჩვიდმეტე ეტაპი

ლუმეზანე — კასტელფრანკო ვენეტო (212 კმ)

1. **მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) 5 სთ, 42 წთ, 29 წმ**
2. **მატეო ტოსატო (იტალია, ბალანი)**
3. **დარიო პიერო (იტალია, ნავიგარე)**
4. **სერგეი სმეტანინი (რუსეთი, ვიტალიციო)**
5. **მასიმო სტრაზერი (იტალია, მობილვეტა)**

საერთო ჩათვლა

1. **მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) 78 სთ, 35 წთ, 36 წმ**
2. **პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) +2:05 წთ**
3. **ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) +2:06**
4. **ივან გოტი (იტალია, პოლტი) +2:33**
5. **დანიელ კლავერო (ესპანეთი, ვიტალიციო) +2:43**

REUTERS ლუმეზანედან

მარკო პანტანი და ლორან ჟალაბერი (მარჯვნივ) ერთმანეთს სპრინტშიც გადაეყარნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი რიოდან



REUTERS პარი ზიდან

ფერნანდო მელიგენი

ესპანური არმადის ნაცვლად წლევანდელ როლან გაროსზე აფრები სამხრეთამერიკულმა გაშალა.

შარშან კაცების ტურნირის ოთხი ნახევარფინალისტისგან სამი ესპანელი იყო, მაგრამ ამჯერად მეოთხედფინალში მოთიხნარე ქვეყნის ერთადერთი წარმომადგენელი — ალექს კორეტხა დარჩენილი. სამაგიეროდ, ამათი ადგილი ურუგვაელმა (პირველად ისტორიაში), ჩილელმა და ორმა ბრაზილიელმა დაიკავეს.

„რა თქმა უნდა, თიხნარი ჩვენი საყვარელი საფარია, მაგრამ საქმე კიდევ სტიმულის გაზრდაშია. ახალი ჩოგბურთელები გომესის, რიოსის გამო მოვიდნენ, ხალხის, რომლებმაც გზა გაკვალეს“ — მიაჩნია გუსტავო კუერტენს, რომელიც დამსახურებულთა სიაში საკუთარ სახელს მხოლოდ თავმდაბლობის გამო არ მოიხსენიებს.

თანამემამულეს ფერნანდო მელიგენიც ეთანხმება: „როდესაც შენი მეგობარი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირს იგებს (კუერტენის მიერ „როლან გაროსზე“ გამარჯვება იგულისხმება), ეს შენც თავდაჯერებას გმატებს და გარწმუნებს, რომ შეუძლებელი არაფერია.“

ყოველ შემთხვევაში, პარიზში „გუგას“ ხელმეორე ტრიუმფი ყველას შესაძლებლად მიაჩნია. „როლან გაროსზე“ ჩატარებულ 4 მატჩში ბრაზილიელმა ერთადერთი სეტი წააგო და მისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ჯერჯერობით ვერავის მოუხერხებია.

მერვედფინალში ჩეხმა ბოგდან ულიახმა თავიდან ცოტა წაიფაფხურა და 3:0 დაწინაურდა, მაგრამ კუერტენის ლაზერივით ფორჰენდ-ბექჰენდებმა მალე თქვეს თავიანთი სათქმელი და მატჩიც ფორმალობად იქცა — 6:4, 6:4, 6:2.

„1997 წლისგან განსხვავებით, საკუთარი თავისგან ახლა უფრო მეტს მოველი. ზოგჯერ ეს საქმეს ართულებს, მაგრამ თანდათან ზეწოლასთან გამკლავებასაც ვსწავლობ. სწორედ ამიტომაა, უფრო მეტ მატჩებს რომ ვიგებ და ბოლო ორი თვეა, თავდაჯერებულად და კარგად ვთამაშობ“ — თუმცა „გუგას“ არც მეტოქეების პატივისცემა აკლია.

როდესაც კუერტენს სთხოვეს, „ბებერი“ აგასის მიერ ახალგაზრდა მოიას დამარცხებაზე აზრი გამოეთქვა, „გუგამ“ ამერიკელისთვის ფრიად სასიამოვნო რამ უპასუხა: „თავად რამდენი წლისა ხართ? რატომ ამბობთ, რომ აგასი ბებერია? ვფიქრობ, ანდრე კიდევ რამდენიმე წელი ითამაშებს და როდესაც კარგ ხასიათზე იქნება, ყველას მოუგებს კიდეც.“

თუ კუერტენის მეოთხედფინალისტობა მოულოდნელი არ ყოფილა, ფერნანდო მელიგენის მსგავსი წარმატება მართლაც პატარა სენსაციაა. რაფტერის მძლეველმა ძვალტყავა ბრაზილიელმა მერვედფინალში ესპანელ ფელიქს მანტიასაც (14) გამოუყვანა წირვა 6:1, 5:7, 7:5, 7:6 (7:1) და ყველას განუცხადა, კუნთები ჩოგბურთში მთავარი სულაც არ არისო: „ჩემი ძალა გულიდან და გონებიდან მოდის, სულაც არაა აუცილებელი, შვარცნეგერი იყო, რომ ჩოგბურთი ითამაშო. მე ბოლომდე ვიბრძვი, ბევრს დავრბივარ და ტვინს ვიყენებ.“

კაცები. მერვედფინალი: ალექს კორეტხა (6, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:2, 7:5; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:3), 6:1. კაცები, მეოთხედფინალი: დუბინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — მარსელო რიოსი (9, ჩილე) 7:6 (7:4), 6:2, 6:7 (6:8), 6:3; ანდრე აგასი (13, აშშ) — მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) 6:2, 6:2, 6:0

ქალებმა კი ამასობაში ნახევარფინალისტების გარკვევაც მოასწრეს.

მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისისათვის ვინუს უილიამსის დამმარცხებელ ბარბარა შვარცს დიდი უსიამოვნებები არ მიუყენებია. ულიარახის არ იყოს, ავსტრიელმაც მხოლოდ დასაწყისში გაიბრძოლა და 2:0-თაც დაწინაურდა, სანამ გამჭრიახი მეტოქე გასაღებს მოარგებდა.

„პირველ ხუთი წუთის მანძილზე ასე მეგონა, დაბომბვაში მოვხვდი-მეთქი, მაგრამ მერე თანდათან ავუღე ალღო, საით აპირებდა დარტყმას, რითაც ცოტათი გავანერვიულე კიდეც. მგონი, დღეს ძალიან საზრიანად ვითამაშე“ — აღნიშნა მოგვიანებით ჰინგისმა, რომელმაც ზედიზედ 7 გეიმი მოიგო და უჩვეულოდ სიმეტრიული მატჩის ორივე სეტში 6:2 იმარჯვა, თანაც თითოეულს ზუსტად 30 წუთი დაახარჯა.

გაიმარჯვა უბერებელმა შტეფი გრაფმაც. „ფროილაინ ფორჰენდმა“ ლინდსი დევენპორტთან (2) მესამე ხელში 5:1 უპირატესობა გაუშვა ხელიდან და საკუთარი შეცდომებით ოთხი მატჩ-პოინტიც გაანიავა, თუმცა საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა 6:1, 6:7 (5:7), 6:3.

მეოთხედფინალი. ქალები: არანჩა სანჩეს ვიკარიო (7, ესპანეთი) — სილვია პლიჩკე (ავსტრია) 6:2, 6:4; მონიკა სელეში (3, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:1, 6:4.

იუნიორების „როლან გაროსზე“ ამ დღეებში ორთაბრძოლაში ჩვენებური ირაკლი ლაბაძეც ჩაერთო და უკვე ორი მატჩის მოგებაც მოასწრო.

ირაკლი ტურნირზე მესამედაა განთესილი. პირველ წრეში მან ხორვატული გვარის, მაგრამ შვედეთის მოქალაქე ფილიპ პრპიჩი დაამარცხა 6:7 (3:7), 6:1, 6:1, მეორეში იტალიელი ფრანჩესკო ალდი — 6:3, 6:4 და ახლა უკვე თავით ფეხებამდე ხორვატ მარიო ანჩიჩს დაეჯიდება.

ავთანდილ სვანიძე

თურმე ქალი სდომებია

ანდრეი მედვედევმა ჩოგბურთში ძალიან ბევრს მაშინ მიაღწია, როდესაც 19 წლის ხუჭუჭთმიანი და უდარდელი ბიჭი იყო, ტყვიასავით დარტყმებითა და მოურიდებელი პასებით პრესკონფერენციებზე. მაგრამ წინსვლის ნაცვლად ბოლო ხუთ სეზონში ნელ-ნელა, სტაბილურად დაიძრა ფსკერისკენ — ერთ დროს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ამჟამად კლასიფიკაციაში მე-100 გახლავთ.

სწორედ ამიტომ ჯუნიფერ კაპრიატის მკვლელთით აღდგომასთან ერთად წლევანდელი როლან გაროსის მთავარ მოულოდნელობად გვარიანად გამლოტებული უკრაინელის მეოთხედფინალისტობა გახლავთ.

თავად მედვედევი ამ პატარა სასწაულს და სპორტისადმი ინტერესის ხელახლა გაღვივებას თავისი სიყვარულის დაბრუნებას უმადლის, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ორიოდ თვის წინ იგი ყოფილ გელფრენდს, გერმანელ ჩოგბურთელ ანკე ჰუბერს შეურიგდა.



REUTERS პარი ზიდან

ანდრეი მედვედევი

„პირად ცხოვრებაში გარკვეული პრობლემები მქონდა, რისი გადატანაც ჩემთვის აუაღრეზად ძნელი იყო, რადგან მგრძნობიარე და ზედმეტად ემოციური ვარ“ — აღნიშნა „ეკიპისთვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში მედვედევმა.

ჩოგბურთელს მაშინ ეშველა, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდა — სეზონის დასაწყისში მაჯის ტრავმის გამო ექიმმა მას თამაში აუკრძალა: „ამაზე უკეთესი არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ანკეს შევხვდით. ორი კვირა ერთად გავატარეთ და ტელევიზიით ჩოგბურთს ვუყურებდი. მოთამაშეებს რომ დავაკვირდი, ვიფიქრე, დიდი ვერაფერი ხვითოები არიან, ამათ ისევ შემიძლია მოვუგო-მეთქი. სწორედ ასე დამიბრუნდა თამაშის წყურვილი“.

მაგრამ იმ შავმა დღეებმა მედვედევს საკუთარი თავის და დანარჩენი საჩოგბურთო სამყაროს პატივისცემაც დაუკარგა. „მოთამაშეები მილოცავდნენ ხოლმე, მაგრამ ძირითადად ირონიულად. ასე რომ, მირჩევნია, მარტო ვიყო. გასახდელში არც კი შევდივარ, ტანსაცმელს სავარჯიშო დარბაზში ვიცვლი და შხაპსაც იქვე ვიღებ. ასე არავისთან საუბარი არ მიხდება“.

თუმცა, შესაძლოა, მალე რწმენაც დაბრუნდეს — მერვედფინალში დამარცხებულმა მეტოქემ არნო დი პასკალმა მედვედევს გულითადად მიულოცა გამარჯვება და ქების სიტყვებიც არ დაიშურა: „ცენტრალურ კორტზე ხშირად არ ხდება, რომ მეორე ჩოგბურთელმა ხელი ჩამოგართვას და „ბრავო“ გითხრას. ამისთვის მას დიდ პატივს ვცემ, ამან მართლა შემძრა. არნო ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ეს იტყვები გულიდან მოდიოდა, თავი ბედნიერად ვიგრძენი“.

ახლა, თითქმის უკვე დაღვინებულს, მედვედევს აღარ უჭირს წარსულის გახსენება, სადაც, ალბათ, ზედმეტად ბევრს ზედმეტად ადრე მიაღწია.

„ძალიან სწრაფად ვიშოვე ბევრი ფული. მე ახალგაზრდა ვიყავი, იმ ქვეყნიდან, სადაც ცხოვრება იოლი არ იყო. მალე იმაზე დავიწყე ფიქრი, ღირდა თუ არა გიჟიეთ შრომა და ვარჯიში და ჩოგბურთი უკვე სულაც არ მადარდებდა. ძალიან ბევრი სისულელე ჩავიდინე. ახლა ვნანობ, რომ ამდენი დრო დავკარგე, მაგრამ ის მტკივნეული და სასტიკი გაკვეთილი, რომელიც ცხოვრებამ ჩამიტარა, ღირდა ამად“.

ახლა მედვედევს ძველი მეგობარი ანდრეი რებროვი ავარჯიშებს, თავადაც ყოფილი ჩოგბურთელი. იგი ჰუბერთან ერთად პარიზის ცენტრიდან კარგა მოშორებულ სასტუმროში ცხოვრობს. როლან გაროსზე საკუთარი წარმატებით კი თავადაც სხვებზე არანაკლებ გაკვირვებულია: „ზედიზედ ოთხი მატჩი დიდი ხანია, არ მომიგია. თავადაც არ მჯერა. აქ საკუთარი თავისგან არაფერს ველოდი, ამიტომ მოლოდინს უკვე გასულ ორშაბათს, პირველი მატჩის მოგებით გადავაჭარბე. ახლა კი მეოთხედფინალი მელის. მერწმუნეთ, ეს სასწაულია“.

ტურნირის ფავორიტ გუსტავო კუერტენთან შეხვედრაში მედვედევს უმძიმესი გამოცდა ელის, თუმცა იგი იმედიანადაა განწყობილი: „ამ ტურნირამდე ვარჯიშზე ანკესაც კი ვერ ვუგებდი, მაგრამ ბოლო დღეებში ყველაფერი შეიცვალა. თუ კუერტენი მომიგებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ წინასწარ არავის დავნებდები, მას ბოლომდე დახარჯვა მოუხდება“.

პირველად დიდი ხნის მანძილზე, უკრაინელი ამჟამად არაფერს უჩივის და იმითაც კმაყოფილია, რაც აქვს: „თავს იმითაც ბედნიერად ვგრძნობ, თუ უბრალოდ ჯანმრთელი ვიქნები. იქნებ ეს მავანი ამერიკელის სტანდარტულ პასუხად მოგეჩვენოთ, მაგრამ დამიჯერეთ, ასეა. „იმედი მაქვს, ჯანი არ მიმტყუნებს და ვარჯიშიც შემეძლება“.

P.S. თუ ორშაბათს გამოსულ გერმანულ გაზეთ „რაინ-ნეკარ-ციტუნგს“ ვენდობით, საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ მედვედევი და ჰუბერი დაქორწინდებიან. ამის შესახებ ჟურნალისტებისთვის ჰაიდელბერგის ერთ-ერთი რესტორნის მფლობელს განუცხადებია, რომელიც ხელისმოკიდედ ყოფილა დაპატიჟებული.

შეყვარებულ წყვილს ჰაიდელბერგში უკვე სახლიც შეუძენია, სადაც ტურნირებიდან მოცალეობის ჟამს აპირებს დროის გატარებას. მოკლედ, სრული იდილიაა.

EGYPT JUNE 1999

ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ეგვიპტე. 1 ივნისი

B ჯგუფი

ეგვიპტე — ბრაზილია 28:19

ბადრი კეთილაძე ოსლოდან

შენი თვალები, ავი თვალები...

მასმედიას საკადრისი პატივისცემით არც ჩვენს ეროვნულ სტადიონზე ეპყრობიან და თურმე არც ოსლოურ „ულევოლზე“. ამის დასტურად „სარბიელის“ ფოტორეპორტიორის ბადრი კეთილაძის მიერ იქ გადაღებული და აქ განმარტებული ეს ფოტოც იკმარებს: უსაფრთხოების იქაური დამცველები თავისუფალი პრესის თვისტომ წარმომადგენელს ჩვენთვის არცთუ უცნობი თავაზიანობით ეპყრობიან და მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოხვედრის საშუალებას არ აძლევენ. სხვათა შორის, იქნებ ისიც შეამჩნიოთ, მარჯვნივ მდგარი ჯელი ჩვენებურის ობიექტივს ავი თვალით რომ მოშტერებია და ჰა-ჰა, სადაცაა ეძგერება კიდეც... თუმცა, ღვთისა და აგერ ამ მოჭიდავე კაცის მადლით, ყველაფერი მაინც კარგად დამთავრებულა. „პროფესიული უფლებებისთვის“ მებრძოლ ჩვენს უცნობ კოლეგას ისეთი აურზაური აუტეხავს, რომ სკანდალს გარიდებული ძალოვნები ჟურნალისტებს გასცლიან და მათთვის ხელი აღარაფერში შეუშლიათ.



REUTERS სანდან ბენეტ ბერგერიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის ფორმულა

წყლის „ფორმულა 1“ ალბათ უსუსური რამე გგონიათ, არა?! მაშინ აგერ ამ ჩქაროსნული კატარღის მესაჭეს, ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ გვიდო კაპელინისაც ჰკითხეთ... არა, ძმაო, ეგ ის კაცია არაა, ვაგლახად ცხვირის აბზუებას იმსახურებდეს. აკი ამ ფოტოსაც მაშინ უღებენ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის გუშინწინდელ სანკტპეტერბურგულ რბოლას ზვიად მარტოობაში ასრულებს...

REUTERS ინდიანაპოლისიდან

ინდი მინდა

კენი ბრეკმა 30 მაისს თავისი პირველი „ინდი-500“ მოიგო, ჯერ გამარჯვებულ მანქანაზე შემოჯდა, მერე დაფნის გვირგვინით გულბოყვი შეიმკო და ბობოლა თასის გვერდით სამახსოვრო ფოტოც გადაიღო.

წყალქვეშა ტყორცნა

ეს კაცი, ბიუნ-ჰიუნ კიმი ბეისბოლის ლიგის რიგით მესამე კორეელი მოთამაშეა... მსოფლიოს მასმედიის ყურადღება მან თავის წარმომავლობაზე მეტად ბურთის ტყორცნის ამ უცნაური სტილის გამო დაიმსახურა. სტილს თურმე „წყალქვეშა“ ჰქვია და მას იდაყვ-მკლავების რაც უფრო არაბუნებრივი ამოტრიალებით შეასრულებ, თურმე მით უფრო მაგარი ეფექტი მოაქვს. ჰოდა, ეგ ეფექტი არ მოეშალოთ კორეელ კიმსა და მის არიზონულ „დაიმონდბეკებს“...



REUTERS კალგარიდან

ვიზიარებთ...

კეტჩ-ჭიდაობის ცნობილი ვარსკვლავი ოუენ ჰართი ამას წინათ კანზასში გამართული ასპარეზობისას ერთი რთული ილეთის შესრულებას შეეწირა... საწყალი ბიჭი გუშინ კალგარიში დაასაფლავეს. ამ ამბავს კეტჩ-ჭიდაობის მრავალი გამოჩენილი ფალავანი დაესწრო, მათ შორის დიდულვაშა ჰალკ ჰოგანიც, რომელსაც მათი ამქრის ერთი წევრთაგანი ძმაკაცის დაღუპვის გამო დარდიანად თანაუგრძნობს...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ ბურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, შამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარტიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29